

178 /
1974/2



საზოგადოებრივი სამართალი

საქართველოს კვლევითი კომისიის გამომცემლობა

1974

5



საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი-ოქტომბერი
1974 წელი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრიკორავისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი შ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზ. რატანი — რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები დიდი ამოცანების წინაშე	3
მ. ზალათურია — კანონი დეპუტატის სტატუსის შესახებ — ახალი ნაბიჯია დემოკრატიის განვითარებაში	12
გ. დევდარიანი — იურიდიული ფაქტების დადგენის ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში	21
გ. ძაგანია, გ. ქველიძე — ექვმიტანილის დაკავება როგორც დანაშაულის აღკვეთის საშუალება	29
გ. გაბუნია — პროტექციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ	38
ნ. ერჭომაიშვილი, ლ. ისაკაძე — ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის სრულყოფისათვის	43
გ. ნადარეიშვილი — ნუ შევცვლით მეცნიერებას პარტიოტული რიტორიკით	55
ივ. სურგულაძე — წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ვულგარიზაციის წინააღმდეგ	65
ოფიციალური მასალა	73
გ. პაიჭაძე — პროფესორ იასე ცინცაძის დაბადების 70-ე წლისთავის გამო	81
არბიტრაჟის პრაქტიკა	83
მმაჩის ორგანოების პრაქტიკა	86
ინფორმაცია	88
ნეკროლოგია	96

72529

12530

СОДЕРЖАНИЕ

З. Ратиани — Органы юстиции республики перед лицом больших задач	3
М. Багатуриа — Закон о статусе депутата — новый шаг в развитии демократии	12
Г. Девдариани — Некоторые вопросы судебной практики в установлении юридических фактов	21
К. Дзаганиа, Г. Квелидзе — Задержание подозреваемого как способ пресечения преступления	29
В. Габуния — Об ответственности за протекцию	38
М. Эркомашвили, Л. Исакадзе — К совершенствованию рассмотрения дел в порядке надзора	43
Г. Надареишвили — Не подменять науку патриотической риторикой	55
Ив. Сургуладзе — Против вульгаризации культурного наследия прошлого	65
Официальный материал	73
Г. Паичадзе — К 70 летию профессора Иасе Цинцадзе	81
Практика арбитража	83
Практика органов загса	86
Информация	88
Некролог	96



სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 3591
ტირაჟი 15.098
შე 15524

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ზ. ზარაშაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, გ. კარაშაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაყიძე, ვ. ქვიციანი, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1974 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრესბ. 107.

გადაეცა წარმოებას 2/X-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-74 წ., ქალაქის ზომა 70 X 108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 საარსიცვთ-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ჩეხოსლოვაკიის იუსტიციის ორგანოები დიდი ამოსანების წინაშე

ზ. რაბინანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე

კომუნისტური პარტიის ბელადი და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს, ფუძემდებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იუსტიციის ორგანოების მოღვაწეობას, მის როლს სახელმწიფო მმართველობის მთელ სისტემაში. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე საბჭოთა მთავრობის შედგენის პირველსავე დღეს შეიქმნა იუსტიციის სახალხო კომისარიატი, რომელიც ფრიად ფართო ფუნქციებით აღიჭურვა. ისტორიულად ამ დროიდან იწყება ძველი, ექსპლოატატორული სახელმწიფო მექანიზმის და მისი შემადგენელი ნაწილის — სასამართლოს მსხვერვისა და ახალი, სოციალისტური სახელმწიფო აპარატის, აგრეთვე სასამართლო დაწესებულებათა სისტემის ჩამოყალიბების და სრულყოფის ხანა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს მაშინ დაევალა შეემუშაებინა სასამართლო ორგანოების მოწყობის პრინციპები და ამასთან ერთად ხელმძღვანელობა გაეწია იუსტიციის დაწესებულებათა ყველა რგოლისათვის. სახალხო კომისარიატმა წარმატებით გაართვა თავი ამ მისიას და მართლაც, რომ უდიდესი როლი შეასრულა ახალ, სოციალისტურ უფლებრივ ურთიერთობათა დადგენაში, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში.

ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე იუსტიციის სამინისტროს ამოცანები და ფუნქციები კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა. მისი მოღვაწეობის, ისე როგორც ყველა სხვა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის საფუძველია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები, პარტიისა და მთავრობის დირექტივები კანონიერების შემდგომი განმტკიცების, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სრულყოფის თაობაზე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო მოწოდებულია ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოს საბჭოთა კანონიერების რეალურად განხორციელება ცხოვრებაში, დაიცვას სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა კანონით გარანტირებული ინტერესები, სრულყოს მუშაობა დამნაშავეობის წინააღმდეგ, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მიიღოს ზომები დანაშაულებათა და სხვა სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო მოვალეა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, კანონისადმი მათი დამორჩილების პრინციპებიდან გამომდინარე უზრუნველყოს სახალხო სასამართლოების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს ხელმძღვანელობა, ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას. სადირექტივო ორგანოების მითითებებით იუსტიციის სამინისტრო ამზადებს კანონპროექტებს, ახდენს კანონმდებლობის სისტე-

მატიზაციას და კოდიფიკაციას. იგი მეთოდურად ხელმძღვანელობს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში, ეწევა ამ დარგში მათი მუშაობის კოორდინაციას. სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობაც იუსტიციის სამინისტროს აქვს დავალებული. იგი წარმართავს აგრეთვე ნოტარიატის, სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებათა, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების, ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობას, არჩევს და ანაწილებს კადრებს სასამართლოებისა და იუსტიციის სხვა დაწესებულებებისათვის, ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს თუ რაოდენ მრავალფეროვანი და მრავალმხრივია იუსტიციის სამინისტროს წინაშე დასახული ამოცანები. ბუნებრივად ისმის კითხვა — პასუხობს თუ არა იუსტიციის სამინისტროს საქმიანობა ამ ამოცანებს, როგორია სამინისტროს აპარატის და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების მუშაობის შედეგები. უეჭველია, რომ განვლილი ოთხი წლის მანძილზე შესრულდა დიდი და შრომატევადი სამუშაო. მაგრამ ამ სტატიის მიზანია ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რათა უმოკლეს დროში დავძლიოთ ისინი, ავიყვანოთ იუსტიციის ორგანოების საქმიანობა თანამედროვე ამოცანების დონეზე.

მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმსჯელა, თუ როგორ ასრულებს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებებს. ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არამარტო იუსტიციის სამინისტროსათვის, არამედ რესპუბლიკის სამართლებრივ დაწესებულებათა ცხოვრებისათვის.

საკითხის განხილვამ არსებითად მოიცვა სამინისტროს, მისი დაქვემდებარებული დაწესებულებების და სასამართლო ორგანოების მუშაობის თითქმის ყველა უბანი, გამოავლინა მის ყველა რგოლში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია ამ ნაკლოვანებათა მიზეზების ღრმა მეცნიერული ანალიზი, დასახულია მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზები, შემდგომი მოდგაწეობის პერსპექტივები. რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ბევრ სერიოზულ ხარვეზს და შეცდომას. მთელ რიგ სასამართლოებში სათანადოდ ვერ აფასებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მექრთამეობის, გაუპატიურებისა და სხვა განსაკუთრებით საშიში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მნიშვნელობას და ზოგჯერ დაუსაბუთებლად ლმობიერ სასჯელსაც უფარდებენ იმ პირთ, რომლებმაც ასეთი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. სამეურნეო და თანამდებობრივი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლოები არაიშვიათად სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მხედველობაში იღებენ მხოლოდ სამართალში მიცემული პიროვნების მონაცემებს და არასაკმარისად აფასებენ ჩადენილი დანაშაულის მანერე შედეგებს.

ჯეროვნად არ სრულდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი სწორად შეუხამონ იმ პირებს, რომლებ-

მაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, შეიგნეს თავისი მოქმედება და შეუძლიათ გამოსწორდნენ საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე.

ამ ბოლო დროს, დასჯით პრაქტიკაში სასამართლოები ხშირად დაუსაბუთებლად იყენებენ თავისუფლების აღკვეთის მოკლევადიან სასჯელებს. ისეთ დამნაშავეთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს საშიში დანაშაული და ზოგჯერ განმეორებითაც. ასეთი პრაქტიკა უარყოფით გავლენას ახდენს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ასუსტებს დასჯის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას.

არის ფაქტები, როცა სასამართლოები დაუშვებელ ლმობიერებას იჩენენ რეციდივისტების მიმართ. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე პ. გაბუნია) 1974 წლის 1 მარტის განაჩენით კუხალეიშვილს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობის ჩადენისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებისათვის. აღრე კუხალეიშვილი ექვსჯერ იყო გასამართლებული, მათ შორის ორჯერ — ხულიგნობისათვის.

ყურადღებას იქცევს ის, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში შექმნილი დასჯითი პრაქტიკის ბევრი ძირითადი მონაცემი საერთო-საკავშირო მაჩვენებლებზე გაცილებით უარესია.

სამწუხაროდ, აღმოფხვრილი არ არის მოქალაქეთა დაუსაბუთებელი მსჯავრდების ან გამართლების, საქმეთა არასწორი კვალიფიკაციით გადაწყვეტის, ბრალდებულთა დაცვის უფლებების შელახვის შემთხვევები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ირღვევა კანონები სამოქალაქო საქმეების, კერძოდ შრომითი კონფლიქტების განხილვისას. სასამართლოები არ იყენებენ კანონით გათვალისწინებულ სანქციებს თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც უშვებენ მოქალაქეთა უკანონო დათხოვნას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სწორ ორგანიზაციასა და მართლწესრიგის განმტკიცების ეფექტიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს საქმეთა განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებისა და კანონით დაწესებული ვადების უხეშად დარღვევის ფაქტები. არადაამაკმაყოფილებელია სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების მდგომარეობა. ზოგიერთი სახალხო სასამართლო ჯეროვნად არ აფასებს გამსვლელი სესიების, კერძოდ განჩინებათა გამოტანის და სათანადო ორგანოებში წარდგინებათა შეტანის მნიშვნელობას, ნაკლებად სწავლობს დანაშაულთა ჩადენის მიზეზებს, არ ადგენს გამომწვევ პირობებს, ვერ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვის, საზოგადოებრიობასთან, სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან კავშირის განმტკიცებისათვის, არასაკმაოდ იყენებს დამნაშავეების პროფილაქტიკისათვის სახალხო მსაჯულთა საბჭოებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. სასამართლოთა გარკვეული ნაწილის საქმიანობის კულტურა დაბალ დონეზეა. სასამართლოების კანცელარიები ოპერატიულად და ზუსტად ვერ მუშაობენ. სერიოზული ნაკლოვანებებია მოქალაქეთა მიღებასა და განცხადებების, საჩივრების გადაწყვეტაში. სასამართლო პროცესების მოწყობის ორგანიზაცია იმსახურებს სერიოზულ კრიტიკას. არ სრულდება სამართალწარმოების ყველა წესი. ნაკლებია მომთხოვნელობა დიდმნიშვნელოვან დოკუმენტების სრულყოფილად შედგენისადმი. ეს ნაკლოვანებები იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ მოსამართლეს აკლია პასუხისმგებლობის გრძნობა, არ ითვალისწინებს თუ რა დიდი მოვალეობა აკისრია მას



საქმიანობის სწორი ორგანიზაციისა და კანონების დაცვისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველო, აფხაზეთის და აჭარის ასრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება კვალიფიციურად, სისტემატურად და კომპლექსურად არ სწავლობენ სახალხო სასამართლოების ორგანიზაციულ მუშაობას, არ ავლენენ არსებით ნაკლოვანებებს, იშვიათად, არაკომპეტენტურად და ზერელედ განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, საკმარის დახმარებას არ უწევენ სახალხო სასამართლოებს.

შექმნილი მდგომარეობა კატეგორიულად მოითხოვს, რათა სასამართლოებმა უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის. აუცილებელია სასამართლოების მოღვაწეობის დევიზად იქცეს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიური ძვრებით ნაკარნახევი მოთხოვნების განხორციელება.

კანონისა და სამართლისადმი მოქალაქეთა მაღალი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდასა და მოსახლეობაში საინფორმაციო ახსნა-განმარტებით მუშაობას მოქმედი კანონმდებლობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე წამოაყენა დებულება — „სამართლის, კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს“.

ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ღიბნიშვნელოვანი დადგენილებები მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე. ამ დოკუმენტებში განსაზღვრულია სამართლებრივი აღზრდის ფორმების სრულსაყოფის ძირითადი მიმართულებები, დასახულია კონკრეტული ღონისძიებები სამართლებრივი პროპაგანდის სწორი ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი საქმიანობის დონე ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რასაც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ძვრები აყენებს სამართლებრივი აღზრდის დარგში. ღონისძიებათა რაოდენობრივი მაჩვენებლების ერთგვარი გაზრდის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სათანადო შედეგი. ყველა პროპაგანდის საბოლოო მიზანი კი — შედეგია. სამართლებრივ პროპაგანდაში ჯერ კიდევ ბევრი ფორმალიზმია. სუსტადაა გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. პრესაში გამოყვეყნებულ მასალებს ყოველთვის არ ახასიათებთ სიმწვავე და სიღრმე, რაც ხელს არ უწყობს მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებას.

სამართლებრივი პროპაგანდის, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის დარგში მუშაობის შედეგების კრიტერიუმში უნდა იყოს სამართალდარღვევათა შესამჩნევი შემცირება, მართლწესრიგის რეალურად განმტკიცება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სამართლებრივი პროპაგანდა ორგანულად შეერწყას მთელ პოლიტიკურ-მასობრივ და იდეოლოგიურ-აღმზრდელობით მუშაობას. პასუხისმგებლობა ამ საქმიანობისათვის ეკისრება პირველ რიგში იუსტიციის

სამინისტროს და მასთან არსებულ სამართლის პროპაგანდის რესპუბლიკურ საკოორდინაციო-მეთოდურ საბჭოს. მიღწეული უნდა იქნას, რომ ადამიანები უბრალოდ კი არ ერკვეოდნენ მოქმედი კანონმდებლობის შინაარსში, თავიანთ უფლება-მოვალეობებში, არამედ სამართლებრივი აღზრდის შედეგად თვით უნდა გახდნენ კანონიერების განუხრელი დაცვის თავგამოდებული მომხრენი და შემსრულებელი.

სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველომ არსებითად უნდა გარდაქმნას მუშაობა მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დარგში, გამოძებნოს პროპაგანდისტული საქმიანობის ახალი ფორმები და მეთოდები, აქტიურად ჩააბას მეცნიერები და გამოჩენილი სპეციალისტები პროპაგანდის უფრო ზუსტი და ღრმად მოფიქრებული სისტემის შემუშავებასა და მოწყობაში, ფართოდ გამოიყენოს სოციოლოგიური კვლევის მონაცემები, გააუმჯობესოს საქმიანი კონტაქტები ადმინისტრაციულ ორგანოებთან და იმ დაწესებულებებთან, რომლებიც ეწევიან სამართლებრივ პროპაგანდას.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ახალი ეკონომიური რეფორმის განხორციელებისა და სახალხო მეურნეობის სახელმწიფო ხელმძღვანელობის სრულყოფის დონისძიებათა გატარების პირობებში, განუზომლად იზრდება საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროში სამართლებრივი მუშაობის როლი და მნიშვნელობა. სამწუხაროდ ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებში, მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში, სოფლის მეურნეობის ობიექტებზე, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში სამართლებრივი მუშაობის დონე დაბალია, მას ჯეროვნად არ აფასებენ.

აუცილებელია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სისტემატურად გაეცნოს სამინისტროების, უწყებების და წარმოება-დაწესებულებების მუშაობას ამ დარგში, გააანალიზოს არსებული მდგომარეობა და შესაბამისი რეკომენდაციები მიაწოდოს დაინტერესებულ მხარეებს. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტრო გარკვეულ მუშაობას ეწევა, გაეცნო 15-ზე მეტი სამინისტროსა და უწყების საქმიანობას და მათთან ერთად შეიმუშავა საჭირო რეკომენდაციები, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სახალხო მეურნეობის სამართლებრივი მომსახურების ზუსტი და კარგად მოფიქრებული სისტემა. შემუშავებული რეკომენდაციები ყოველთვის სრულად არ მოიცავენ განსახილველ საკითხებს და არ არის განმტკიცებული ორგანიზატორული მუშაობით, ამის გამო ზოგი არც ხორციელდება. სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფი — სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის განყოფილება, მუშაობაში არ აბაძს მეცნიერებს, გამოცდილ იურისკონსულტებს, არ ათანხმებს ამ მუშაობას სამინისტროს სხვა სამმართველოების და განყოფილებების საქმიანობასთან, საკმარის მეთოდურ დახმარებას არ უწევს სამეურნეო ორგანოებს, რათა სამართლებრივი საშუალებანი გამოიყენონ წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ასამაღლებლად. ხშირად ყურადღების გარეშეა დატოვებული სამეურნეო უფლებრივ ურთიერთობათა ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა სახელმწიფო-საპრეტენზიო და საარბიტრაჟო პრაქტიკა.

ლ. ი. ბრეჟნემა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრისას 1974 წლის 14 ივნისს, ხაზი გაუსვა რა სამეურნეო ორგანოებში სამართლებრივი სამსახურის დიდ მნიშვნელობას, აღნიშნა, რომ „სამ-

წუხაროდ ამ საკითხებს დიდი ხნის განმავლობაში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება და ამის შედეგად აქ დაგროვდა ბევრი გადაუჭრელი პრობლემა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოქმედებს ათასობით სხვადასხვაგვარი მითითება და ინსტრუქცია. აბა, სცადეთ ამაში ვარკვევა! მითუმეტეს, რომ ბევრი ამ ინსტრუქციათაგანი მოძველდა, შეიცავს გაუმართლებელ შეზღუდვებს, წვრილმან რეგლამენტირებას. ეს ბოჭავს ინიციატივას, ეწინააღმდეგება ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც ახლა უყენებენ ეკონომიკას“. გასაგებია, რომ აქედან გამომდინარე სერიოზული ამოცანები ისახება სამინისტროებისა და უწყებების წინაშე, რათა გაიშალოს მუშაობა სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფის, მისი დახვეწისა და სისტემატიზაციისათვის. საჭიროა დროის ახალი მოთხოვნათა შესაბამისად, ეკონომიკის ღრმა მეცნიერულ ანალიზზე დაყრდნობით, გააზრებულად და ეფექტურად შემუშავდეს მეურნეობის შენდგომი გაძღოლის მომწესრიგებელი საკანონმდებლო რეკომენდაციები.

საბჭოთა კანონმდებლობის იმგვარად სრულყოფა, რომ იგი შესაბამებოდეს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანებს, ყოველთვის იყო და არის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ერთ-ერთი მთავარი საგანი.

ვ. ი. ლენინი იუსტიციის სახალხო კომისრის დ. ნ. კურსკის სახელზე 1921 წლის 15 თებერვალს გაგზავნილ ბარათში წერდა: „თუ ჩვენი კანონები წინააღმდეგობრივია (რამაც ეჭვი არ არის), მაშინ რისთვისღაა იუსტსახკომი და საკანონმდებლო განზოგადოებათა განყოფილება?“

რა კეთდება კოდიფიკაციისათვის? — წინააღმდეგობრიობათა დასაძლევად?“

ვ. ი. ლენინის ეს მითითება საფუძვლად დაედო შემდგომში, კანონპროექტთა მომზადების, კანონმდებლობის კოდიფიკაციის და სისტემატიზაციის დარგში წარმოებულ მთელ მუშაობას.

ამჟამად, კანონიერების ლენინური პრინციპების სრული აღდგენის და მათი განუხრელად დაცვის პირობებში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მოღვაწეობა ამ დარგში და შედეგებიც მნიშვნელოვანია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამის თაობაზე აღნიშნა: „საერთოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი კანონმდებლობა უკანასკნელ წლებში სერიოზულად განახლდა, უფრო სტაბილური და დემოკრატიული გახდა“.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული დებულება იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სწორად განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს ზუსტად შემუშავებულ კანონმდებლობა და რომ „განზოგადებული, კონცენტრირებული ფორმით, საბჭოთა კანონები გამოხატავენ ხალხის, პარტიის და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“, გადაიქცა ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ პირობად. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. იურიდიული სამეცნიერო დაწესებულებები, ადმინისტრაციული ორგანოები, კერძოდ იუსტიციის სამინისტრო, მოვალენი არიან უზრუნველყონ კანონპროექტების მაღალ მეცნიერულ დონეზე მომზადება, მოქმედი კანონმდებლობის სისტემეტიზაცია და კოდიფიკაცია. იუსტიციის სამინისტროს საქმიანობა ამ დარგში სავსებით სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე. სამინისტროს კოლეგიამ ამ კრიტიკიდან არ გამოიტანა საჭირო დასკვნები. სამინისტრო კვლავ არ იჩენს ინიციატივას აქტუალურ სამეურნეო საკანონმდებლო

აქტების პროექტთა მომზადებაში. კანონპროექტების შემუშავებისას ყოველთვის არ არის გათვალისწინებული რესპუბლიკის საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი და მოთხოვნები, მოსალოდნელი პრაქტიკული შედეგები. დღეს უკვე აღარ კმარა შემოვიფარგლოთ მარტოდენ დავალებათა შესრულებით, ამასთან ერთად აუცილებელია გამოვიჩინოთ მეტი ქმედითობა, ინიციატივა, განვიმსჯვალოთ ახლის გრძნობის სულისკვეთებით.

ამის მიღწევა კი შეუძლებელია, თუ არ გავწიეთ ანალიტიკური მუშაობა. საჭიროა სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად გავაანალიზოთ დანაშაულებრივ გამოვლინებათა ტენდენციები, მუდმივად განვაზოგადოთ პრაქტიკა, სასამართლო სტატისტიკის მონაცემები და შევიმუშაოთ მეცნიერულად დასაბუთებული საორიენტაციო წინადადებები, უნდა გავერკვეთ ჩვენი რესპუბლიკის რომელი დარგის კანონმდებლობა საჭიროებს სრულყოფას და სხვა. თუმცა ეს იუსტიციის სამინისტროს პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ თვითკრიტიკის წესით უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ამ ამოცანების ასეთი იდეალური გადაწყვეტისაგან.

ადვოკატურა და ნოტარიატი იუსტიციის დაწესებულებათა მნიშვნელოვანი რგოლებია. ისინი ისევე როგორც მმაჩის ორგანოები, მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ კანონიერების დაცვას, მის განუხრელად გატარებას. მათი მუშაობის პრაქტიკის შესწავლამ სერიოზული ნაკლოვანებები გამოავლინა. სანოტარო კანტორებსა და მმაჩის ბიუროებში ირღვევა აგარაკებისა და საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის, ავტომანქანების გასხვისების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესი. ამ დაწესებულებებმა უშოკლეს დროში უნდა აღმოფხვრან ნაკლოვანებები, გადაცდომები და საგრძნობლად გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება.

ბოლო დრომდე ადვოკატთა კოლეგიის წევრებს არ ჰქონდათ წაყენებელი გაზრდილი მოთხოვნები, არ ხორციელდებოდა ღონისძიებანი მათი პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. ამის შედეგად ვახშირდა ადვოკატთა მხრივ უღირსი ქცევის, გამოძალვის ფაქტები. არის ცალკეული შემთხვევები, როცა ადვოკატები დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში, არღვევენ პროცესის ნორმალურ მსვლელობას, ეთიკის ელემენტარულ ნორმებს, რითაც ბღალავენ საბჭოთა ადვოკატურის ავტორიტეტს. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველო, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ამ დაწესებულებათა საქმიანობას. აუცილებელია, რათა სამმართველომ და პრეზიდიუმმა ძირფესვიანად გარდაქმნან ხელმძღვანელობის თავიანთი სტილი და მეთოდები.

სერიოზული ნაკლოვანებებია სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სასამართლო საექსპერტო დაწესებულებების მუშაობაშიც, ნელი ტემპით ინერგება პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კადრებთან მუშაობას. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ხელმძღვანელობის დონის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის გაუმჯობესებასთან. იუსტიციის ორგანოების წინაშე



მდგომი ამოცანების ჯეროვნად შესრულებაც დიდად არის დამოკიდებული კადრებთან მუშაობის პარტიული პრინციპების განუხრელად დაცვაზე, მათი კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლებაზე. უკანასკნელ ხანს იუსტიციის სამინისტრომ ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გასწია, მაგრამ სისტემის კადრების შერჩევასა, განაწილებასა და მომზადებაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომებია. ნელი ტემპით მიმდინარეობს სახალხო სასამართლოების და იუსტიციის სხვა ორგანოების კადრების რეზერვის შექმნა.

იუსტიციის მუშაკთა შორის მექრთამეობის მხილებისათვის და კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოსავლენად სამინისტრო ჯერ კიდევ არ იჩენს სათანადო ინიციატივას, თუმცა ასეთი ფაქტები არის. მაგალითად: წლეულს, მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ გულრიფშის რაიონის სახალხო მოსამართლე ეხგაია და სოხუმის რაიონის სახალხო სასამართლოს მდივანი სანაია.

სახალხო სასამართლოებსა და იუსტიციის სხვა დაწესებულებებში შეეგუენ დაუსჯელობისა და უკონტროლობის ატმოსფეროს. ამის გამო, უკანასკნელ პერიოდში ვადამდე გამოწვეულია და მკაცრად დაისაჯა ბევრი სახალხო მოსამართლე, სანოტარო კანტორის მუშაკი, სასამართლოს აღმასრულებელი და მდივანი.

იმის გამო, რომ ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლემ გაგნიძემ პირადად უხეშად დაარღვია მიწათსარგებლობის წესები, იგი გამოწვეულია დაკავებული თანამდებობიდან. მოსამართლეთა არჩევნების პერიოდში სამინისტრომ მიიღო სიგნალები სააკიანის მიმართ, მისი სასამართლობისა და დადგენილი ნორმების დარღვევით პირადი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზე, მაგრამ ის სათანადოდ არ შემოწმდა, სააკიანი რეკომენდებულ იქნა ახალქალაქის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე და მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოსწორდა ეს შეცდომა.

კადრებთან მუშაობაში დაშვებულ უპრინციპობის შედეგად რესპუბლიკის ადვოკატურაში აღმოჩნდნენ არაკეთილსინდისიერი, ადრე სახელგატეხილი პირები, რომლებიც სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევისა და სხვა გადაცდომებისათვის თავის ღრუზე დათხოვნილი იყვნენ შინაგან საქმეთა, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებიდან. დაბალი იყო მათი პროფესიული მომზადების დონეც.

იუსტიციის სამინისტრომ, კადრების განყოფილებამ, სასამართლო ორგანოების სამმართველომ, ავტონომიურ რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებმა და ავტონომიური ოლქის აღმასკომის იუსტიციის განყოფილებამ ყველა ღონე უნდა იხმარონ კადრებთან მუშაობის დონის ამაღლებისათვის, იუსტიციის სისტემის დაწესებულებების და სასამართლო ორგანოების ისეთი მუშაკებით დაკომპლექტებისათვის, რომელთაც პოლიტიკურ წრთობასა და შეგნებასთან ერთად ექნებათ შესაბამისი დონის პროფესიული მომზადება და შესძლებენ სწორად განახორციელონ მართლმსაჯულების, სოციალისტური კანონიერების და საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანები.

1975 წლის დამლევს რწმუნების ვადის გასვლის გამო საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოეწყო სახალხო მოსამართლეთა მორიგი არჩევნები. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიება იუსტიციის ორგანოებს პასუხ-

საგებ ამოცანებს უსახავს. მომავალი არჩევნები უნდა ემსახურებოდეს რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელების და სასამართლოების მთელი საქმიანობის დონის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით, მუშაობა კადრების შერჩევისა და რეზერვის შექმნისათვის უნდა წარიმართოს რაიონების და ქალაქების პარტიულ კომიტეტებთან, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო კავშირში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კოლექტივების და ორგანიზაციების აზრი ამა თუ იმ კანდიდატზე.

სადირექტივო დავალებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლსა და შემოწმებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მუშაობის სწორი ორგანიზაცია და დასახული ამოცანების დროულად და ხარისხიანად რეალიზაცია. შესრულების კონტროლი ხელს უწყობს კოლექტივების დარაზმულობას, მმართველობის აპარატების მიზანდასახულ წარმართვას.

ჯერ კიდევ 1972 წლის ნოემბერში სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო გაეცნო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლეს სასამართლოში კონტროლისა და შესრულების შემოწმების მდგომარეობას და ამ საკითხის გამო კოლეგიის მიერ მიღებულ დადგენილებაში მიგვითითა სერიოზულ ნაკლოვანებებზე, მაგრამ სამინისტროს, მისი ადგილობრივი ორგანოების, სასამართლოების მუშაობაში კვლავ არის ადრე გამოვლენილი დარღვევები და ხარვეზები.

სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის საჭირო მოთხოვნებს არ უყენებს, რათა დროულად და ხარისხიანად შეასრულონ დაკისრებული სამსახურბრივი მოვალეობა.

ზოგჯერ ზემდგომი ორგანოების საკონტროლო დავალებები დავგვიანებით და უხარისხოდ სრულდება, არ არის დაწესებული ჯეროვანი კონტროლი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროების კოლეგიის ზოგერთი დადგენილების შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ შეამოწმა ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები და უმაღლესი სასამართლოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების აღმასკომის იუსტიციის განყოფილება, საოლქო სასამართლო, რომელმაც გამოავლინა უხეში დარღვევები როგორც მათ მიერ მიღებულ, ისე ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლის საქმეში. შემოწმების შედეგები განიხილეს პარტიის შესაბამისმა კომიტეტებმა და მიიღეს სათანადო გადაწყვეტილებები.

სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებები ზოგჯერ არა კონკრეტულია. მათში არ არის მოცემული საქმის რეალური მდგომარეობის ღრმა ანალიზი, დასახული არ არის ნაკლოვანებათა გამოსწორების რეალური და ქმედითი გზები და საშუალებები, რაც, საბოლოო ანგარიშით, ამცირებს მიღებულ დადგენილებათა ეფექტურობას.

ასეთია ძირითადად ის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1974 წლის 13 აგვისტოს დადგენილებიდან.

კანონი დეპუტატთა სწავლის შესახებ—ახალი ნაბიჯია დემოკრატიის განვითარებაში

მ. ბალათურიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის
განყოფილების გამგე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული, საქალაქო საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების, საბჭოთა კადრების მომზადებისა და გადამზადების სრულყოფის შესახებ ნათლად ადასტურებენ თუ როგორ ზრუნავს პარტია საბჭოების მუშაობის დონის ამაღლებისათვის. სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საბჭოები უფრო სრულად უნდა ახორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს, ქმედით გავლენას ახდენდნენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ყრილობის გადაწყვეტილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა გაიზარდოს დეპუტატების ავტორიტეტი და აქტივობა, მათი პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე. ყრილობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკანონმდებლო გზით განსაზღვრულიყო ყველა რგოლის საბჭოების დეპუტატთა სტატუსი, მათი უფლებამოსილება, აგრეთვე თანამდებობის პირთა მოვალეობა დეპუტატთა მიმართ.

დეპუტატთა სტატუსის კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა.

კანონის შემუშავება ჯერ ერთი იმიტომ იყო რთული, რომ ასეთ აქტს ჯერ კიდევ არ იცნობდა ჩვენი და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ისტორია. მეორე მხრივ, საჭირო იყო კანონს მოეხდინა დეპუტატების უფლება-მოვალეობათა ფართო წრის რეგულირება. იმისათვის, რომ დეპუტატმა უფლებამოსილება განახორციელოს, არ არის საკმარისი მხოლოდ თვით დეპუტატის აქტივობა, აუცილებელი იყო განსაზღვრულიყო თანამდებობის პირთა მოვალეობები დეპუტატის უფლებამოსილებათა ზუსტად განხორციელებისათვის. ახალი კანონის შემუშავება მოითხოვდა აგრეთვე საბჭოებისა და მათი დეპუტატების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებასა და განვითარებას, ისე, რომ ყველაფერი, რაც დღემდე გაკეთდა, საბჭოთა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ლენინური პრინციპების ცხოვრებაში გატარებისათვის მთლიანად ასახულიყო კანონში. ამას გარდა საჭირო იყო ისეთი საკავშირო კანონის მიღება, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა საბჭოების ყველა რგოლის მუშაობის ძირითადი საკითხები სასოფლო და სადაბო საბჭოებიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომდე.

საერთო საკავშირო კანონის შემუშავების აუცილებლობას უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოების სისტემის ერთიანობა. სოციალიზმს ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ახალი პრინციპები, უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების განუყოფელი ერთიანობა.

მ. ი. კალინინი ამბობდა: ჩვენი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებანი „ჩართულნი არიან ხელისუფლების საერთო ჯაჭვში, რომ ისინი გამსჭვალულნი უნდა იყვნენ ხელისუფლების ერთიანი პრინციპით“, რომ „ყოველი ჩვენი საბჭო — არის უმაღლესი ხელისუფლების ნაწილი“. ყველა დეპუტატის საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება საკავშირო მასშტაბით საჭირო იყო იმიტომაც, რომ დეპუტატებს თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ურთიერთობა აქვთ ადგილობრივი, რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციების თანამდებობის პირებთან. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა დაქვემდებარების ორგანიზაციათა თანამდებობის პირებთან დეპუტატთა ურთიერთობა შექმლო განესაზღვრა მხოლოდ საერთო საკავშირო კანონს.

და ბოლოს, არის დეპუტატების საქმიანობის ისეთი საკითხები, რომლებიც არ შეიძლება თვითიველ მოკავშირე რესპუბლიკაში სხვადასხვაგვარად გადაწყდეს (დეპუტატთა ხელშეუხებლობის, დეპუტატების უფასოდ მგზავრობის და სხვ.).

ყოველივე ეს მოითხოვდა დეპუტატთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი გადაწყვეტილიყო მხოლოდ საკანონმდებლო აქტში, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მიიღებდა.

1972 წლის 20 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე კანონის პროექტის საფუძვლიანად განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა — პარტიულმა, საბჭოთა მუშაკებმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა დეპუტატთა სტატუსის კანონი ერთსულოვნად იქნა მიღებული.

კანონში დეპუტატთა სტატუსის შესახებ მკაფიოდ აისახა საბჭოების საქმიანობის ლენინური პრინციპები. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ვ. ი. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი თითოეული საბჭოს და დეპუტატის მუშაობაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის შერწყმის შესახებ. დეპუტატი მონაწილეობას იღებს როგორც საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, ისე მის განხორციელებაში. „საბჭოები, — წერდა ვ. ი. ლენინი — ახორციელებენ არამარტო საკანონმდებლო ხელისუფლებას და კონტროლს კანონის შესრულებაზე, არამედ კანონების უშუალოდ ცხოვრებაში გატარებას, საბჭოს ყველა წევრის მეშვეობით“¹. ეს ლენინური აზრი ჩამოყალიბებულია სტატუსის კანონის მე-2 მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება ემყარება თითოეული დეპუტატის აქტიურ მონაწილეობას საბჭოს მთელ მუშაობაში. დეპუტატები წყვეტენ სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის კონტროლში, საბჭოების სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34, გვ. 481.

ამრიგად, დებუტატი მოვალეა მონაწილეობდეს არამარტო სესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებში, არამედ, უპირველესად იბრძოდეს მიღებულ ვადაწვეტილებათა შესრულებისათვის.

კანონში ხაზგასმულია, რომ დებუტატი აქტიურად მონაწილეობს საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, უჩვენებს საბჭოთა კანონების აღსრულების, შრომის დისციპლინის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის მაგალითს.

წარმოებებთან მჭიდრო კავშირი დებუტატს შესაძლებლობას აძლევს საბჭოს წინაშე დააყენოს ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები, გამოიჩინოს ინიციატივა სახალხო-სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში.

კანონში დიდი ყურადღება ეთმობა დებუტატების კავშირს თავიანთ ამომრჩეველებთან.

კანონის მე-9 მუხლში ხაზგასმულია, რომ დებუტატმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს ამომრჩეველებთან, მშრომელთა კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომ დებუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩეველთა წინაშე. დებუტატი, რომელმაც არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა დებუტატის საბატიო წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება, ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება ყოველ დროს გაიწვიონ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიზმი სცნობს „მოსახლეობის უფლებას ნებისმიერ დროს გაიწვიონ ყველა და ყოველგვარი არჩევითი თანამდებობის პირნი, წარმომადგენლები“².

ამომრჩეველთა უფლება გაიწვიონ დებუტატები, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათი ნდობა, გარანტირებულია საბჭოთა კონსტიტუციით და სხვა საბჭოთა კანონებით. მას აქტიურად იყენებენ ამომრჩეველები და ეს არის ამომრჩეველთა წინაშე დებუტატების პასუხისმგებლობის ამაღლების ქმედითი საშუალება.

საბჭოთა დებუტატების ხალხთა ურღვევი კავშირის ლენინური პრინციპის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს, რომ მკაფიოდ და ნათლად განსაზღვროს, რით იხელმძღვანელოს დებუტატმა თავის მუშაობაში, როგორ შესრულოს ამომრჩეველთა მოთხოვნები.

კანონში ნათქვამია, რომ თავის საქმიანობაში დებუტატი ხელმძღვანელობს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით. ასე რომ, კანონი უპირატესობას ანიჭებს საერთო სახალხო ინტერესებს. ამიტომ დებუტატი ყოველთვის ვალდებულია მოქმედებდეს როგორც სახელმწიფო მოღვაწე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

ამომრჩეველთა მოთხოვნის გამოხატვის ყველაზე არსებითი ფორმაა ამომრჩეველთა განაწესები. განაწესებში გამოხატულებას ჰპოვებს ადამიანების პოლიტიკური შეგნებულობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობით მათი დაინტერესება.

სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ გაშლისა და სრულყოფის პროცესებში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამომრჩეველთა განაწესებს.

რომლებიც სახელმწიფო ორგანოების მართვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის ერთ-ერთი საშუალებაა, მშრომელთა დებუტატების საბჭოების, მათი აღმასკომების, აგრეთვე სხვა სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე ამომრჩეველთა ზემოქმედების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა. კანონის შესაბამისად, ამომრჩეველთა განაწესების შესრულება საბჭოების, მათი ორგანოების და დებუტატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. ამომრჩეველთა განაწესებად ითვლება დებუტატობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს წამოყენებული საერთო-საზოგადოებრივი მნიშვნელობის წინადადებები, დამტკიცებული საერთო კრებების მიერ. აღმასრულებელმა კომიტეტებმა სესიაზე განხილვამდე ამომრჩეველთა წინადადებები უნდა დაუზღავნონ შესაბამის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი შესრულების შესაძლებლობის და ვადების დასადგენად. 1973 წელს ადგილობრივი საბჭოების წინა საარჩევნო კრებებზე წამოყენებულ იქნა ამომრჩეველთა 27.903 განაწესი, რომელთა შესრულების ღონისძიებები განხილულ და დამტკიცებულ იქნა პირველ სესიებზე. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ წლებგანდელი წლის 1 ივლისის მდგომარეობით 27.903 განაწესიდან შესრულებულია 16.693 განაწესი, რაც 61,6 პროცენტს შეადგენს.

ზოგიერთ საბჭოში შესრულების პროცენტი კიდევ უფრო მცირეა. მაგალითად, თბილისის საქალაქო საბჭოში იგი შეადგენს — 32 პროცენტს, მახარაძის რაიონულ საბჭოში — 50 პროცენტს, ფოთის საქალაქო საბჭოში — 52 პროცენტს, ქუთაისის საქალაქო საბჭოში — 51 პროცენტს და სხვა. საჭიროა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა შეამოწმონ თუ როგორ სრულდება განაწესები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მათს შესასრულებლად. აჭგე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა აღმასრულებელმა კომიტეტმა განაწესებისადმი თავიდანვე ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება, რის შედეგად მათში შეიტანა ისეთი საკითხები, რომელთა შესრულებისათვის არ არსებობს არავითარი რეალური შესაძლებლობა — საჭირო რაოდენობის თანხების, სამშენებლო მასალების უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო. პრაქტიკა გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ზოგან ჯერ კიდევ არის ფაქტები, რომ განაწესებს ამომრჩეველთა კრებებზე და სესიებზე კი არ განხილავენ, ქვემდგომი საბჭოების აღმასკომების წერილების მიხედვით აჯამებენ, იმ წერილებისა, რომლებშიც სადაც ხშირად ამომრჩეველთა განაწესები კი არა, შესაბამისი აღმასკომების მოთხოვნებია გამოხატული.

დამტკიცების შემდეგ განაწესი მთელი საბჭოს და თითოეული დებუტატის მოქმედების პროგრამა ხდება, ყოველი ცალკე აღებული დებუტატი, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხები. მათი გადაჭრის უფლება აქვს მხოლოდ ყველა დებუტატს კოლექტიურად. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანონის მე-8 მუხლს, რომელშიც განსაზღვრულია დებუტატის ურთიერთობა საბჭოსთან და მის ორგანოებთან: დებუტატი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების კოლექტიური წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, მოვალეა აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს მუდმივი კომისიებისა და სხვა ორგანოების საქმიანობაში, ასრულებდეს საბჭოსა და მის ორგანოების დავალებებს, ამასთან საბჭოს შეუძლია მოისმინოს დებუტატთა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ დებუტატის მოვალეობას, საბჭოს და მისი ორგანოების გადაწყვე-


ტილებებსა და დავლებებს. ამავე დროს კანონი ავალებს საბჭოს და მის ორგანოებს საჭირო დახმარება გაუწიონ დეპუტატებს მუშაობაში, რეგულარულად გაუკეთონ ინფორმაცია დეპუტატებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის, დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე მიღებულ ღონისძიებათა შესახებ და სხვ.

როცა ვეხებით საბჭოში დეპუტატის საქმიანობის საკითხს, საჭიროა მათი უფლებები და მოვალეობები ჯერ საბჭოს სესიაზე განვსაზღვროთ, რომელზეც დეპუტატები კოლექტიურად განიხილავენ და წყვეტენ საბჭოს კომპეტენციაში შემავალ ყველა ძირითად საკითხს. რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობა მტკიცედ იცავს სესიების მოწვევის კანონით დადგენილ ვადებს ამაღლდა სესიების სხდომების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. სესიებზე სისტემატურად განიხილება მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის სყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა აქტუალური საკითხები.

საბჭოების სესიების მუშაობაში დეპუტატები აქტიურად მონაწილეობენ. შარშან სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 27646-მა დეპუტატმა, ანუ მთელი შემადგენლობის 56,3 პროცენტმა. ამას იმანაც შეუწყობ ხელი, რომ აღმასრულებელი კომიტეტები სესიამდე 15-20 დღით ადრე აცნობდნენ სესიის მოწვევის დროს და დღის წესრიგს არა მარტო დეპუტატებს, არამედ მოსახლეობასაც, რომელსაც მიმართავენ თხოვნით, რომ წინადადებები და შენიშვნები განსახილველი საკითხის ირგვლივ აღმასრულებელი კომიტეტისათვის წარედგინათ. რა თქმა უნდა, მთავარი მარტო სესიების მიწვევის ვადების ზუსტად დაცვა და საკითხების განხილვაში დეპუტატების აქტიური მონაწილეობა როდია, არამედ — მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის ბრძოლაც და კონტროლიც. ამიტომ არის, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს დაუშვებლად მიაჩნია, რომ საბჭო ზერელედ განიხილავდეს, კრიტიკულად არ უდგებოდეს საკითხებს, სწორად არ მიაჩნია, რომ საბჭოს საქმიანობა შედეგებით კი არ ფასდება, არამედ სხვადასხვა ღონისძიებების, სხდომებისა და თათბირების ჩატარების რიცხვით.

დეპუტატების 92,2 პროცენტი ჩაბმულია მუდმივ კომისიებში, რომლებიც აქტიურად მუშაობენ. რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილია 5955-მა მუდმივმა კომისიამ შარშან სესიის განსახილველად 6842 საკითხი მოამზადა, ხოლო აღმასკომის სხდომისათვის — 18545 საკითხი. 2056 მუდმივმა კომისიამ თავისი მუშაობის ანგარიში ჩააბარა შესაბამისი საბჭოს სესიას.

საბჭოს სესიებზე და მუდმივ კომისიებში დეპუტატების აქტივობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და ოპერატიულად განიხილავენ და ახორციელებენ დეპუტატების წინადადებებს და შენიშვნებს აღმასრულებელი კომიტეტები და საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. სწორად მოიქცა რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების უმრავლესობა, როდესაც თავის სხდომაზე დაამტკიცა დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებების და სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების წესი, რამაც დიდად შეუწყობ ხელი მუშაობის გაუმჯობესებას.



სტატუსის კანონში დაწვრილებით არის რეგლამენტირებული საკონტროლო საქმიანობაში დებუტატების მონაწილეობა. დებუტატებს უფლება აქვთ შეამოწმონ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა, ამასთან აღძრან საბჭოში სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების საკითხი.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მუშაობისადმი კონტროლის ერთ-ერთი საშუალებაა სესიებზე დებუტატის ან დებუტატთა ჯგუფის მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენების უფლება.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს დებუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოს კომპეტენციაში შედის. შეკითხვა შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობით ან ზეპირი ფორმით. სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, მოვალეა პასუხი გასცეს შეკითხვას.

წლეულს სესიებზე შეტანილია 676 შეკითხვა. რესპუბლიკის ზოგიერთი საბჭოს დებუტატები კონტროლის ამ უფლებას კარგად იყენებენ, მაგრამ ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი გარკვეული არ არის სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების არსსა და განხილვის წესში, რის შედეგადაც ერთმანეთში ურევს სესიაზე მოხსენებასთან დაკავშირებულ დებუტატების მიერ მიცემულ შეკითხვას შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხებში. არის შემთხვევები, როცა სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე არ ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საჭიროა ფართოდ განვუმარტოთ დებუტატებს, რომ მათ უფლება აქვთ სესიაზე შეკითხვის წესით დააყენონ საკითხები, ხოლო ხელმძღვანელები ვალდებული არიან პასუხი გასცენ შეკითხვას სესიაზევე, ხოლო თუ უფრო მეტი დროა საჭირო პასუხის მოსამზადებლად — იმ ვადაში, რომელსაც საბჭო დაადგენს.

საჭიროა აღმასრულებელ კომიტეტებს განუმარტოთ, რომ სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენების უფლება აქვთ დებუტატებს ან დებუტატთა ჯგუფს იმ საკითხებზე, რომლებიც დღის წესრიგში არ არის დაყენებული, მაგრამ შედის საბჭოს კომპეტენციაში. ამასთან, დებუტატის შეკითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით საბჭომ აუცილებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

დებუტატების შეკითხვის წესით სესიებზე საკითხების დაყენების პრაქტიკის გაფართოება უეჭველად გააუმჯობესებს სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

საბჭოების მიერ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრის საწინდარია მათი ურღვევი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, იყენებენ მათს გამოცდილებასა და ცოდნას, ახორციელებენ მათს ნება-სურვილს. ეს ლენინური დებულება ასახულია დებუტატთა სტატუსის კანონში.

2. საბჭოთა სამართალი № 5

კ. მარქსის სახ. საჭ. სსიო
სახელმწიფო რესპუბლიკა

28558
05541

ნონის იმ მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საარჩევნო ოლქში დეპუტატის საქმიანობას, აღნიშნულია, რომ საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა აქტივის მუშაობა საბჭოს ეფექტიური საქმიანობის, მოსახლეობასთან მისი კავშირის განმტკიცების აუცილებელი პირობაა. დეპუტატი მოსახლეობას აცნობს საბჭოს მუშაობას, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მიზნების გეგმებს, საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, მონაწილეობს გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციაში, ატყობინებს საბჭოსა და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. დეპუტატი განიხილავს მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს, იღებს მოქალაქეებს. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც ჩააბაროს ანგარიში თავისი ოლქის ამომრჩევლებს საბჭოს და მისი სადეპუტატო საქმიანობის შესახებ.

გ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშვებას.

ფართოდ არის ცნობილი მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი წევრის ს. ბირიუკოვის მოგონებიდან ასეთი ფაქტი: ერთ-ერთი შეხვედრის დროს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ჰკითხა მას „ხშირად აბარებთ ანგარიშს ამომრჩევლებს?“ და როცა გაიგო, რომ ბირიუკოვს „სულ არა სცალია“, მკაცრად უთხრა: „ეს როგორ გამოდის, თქვენ ავირჩიეს საბჭოში, აღმასკომში, თქვენ კი კავშირი არა გაქვთ ამომრჩევლებთან, არ სწავლობთ მათ საჭიროებებს, არ უკეთებთ ინფორმაციას თქვენი მუშაობის შესახებ“.

მოგვიანებით ილიჩმა, თუმცა საქმეებით ძალიან იყო დატვირთული, იკითხა, ჩააბარა თუ არა ბირიუკოვმა ანგარიში ამომრჩევლებს და მოითხოვა ამომრჩეველთა კრების რეზოლუცია გამოეგზავნათ მისთვის.

ჩვენი საბჭოების დეპუტატთა უმრავლესობა ზუსტად იცავს ამ მოთხოვნას. შარშან რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების 49053 დეპუტატიდან ორჯერ ანგარიში ჩააბარა ამომრჩევლებს 47924 დეპუტატმა ანუ 97,7 პროცენტმა.

იმისათვის, რომ დეპუტატმა ანგარიში ჩააბაროს თავისი ოლქის ამომრჩევლებს, კანონით გათვალისწინებულია, რომ შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაცია ვალდებულია გამოყონ შენობები, აცნობონ ამომრჩევლებს დეპუტატი ანგარიშს აბარებსო, ამასთან საბჭომ უნდა უზრუნველყოს დეპუტატები საცნობარო მასალით საანგარიშო პერიოდში საბჭოს და მისი ორგანოების მიერ გაწეული მუშაობისა და პერსპექტივების შესახებ.

კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და ამ საქმეში დეპუტატების როლის ამაღლების შესახებ პარტიის თანმიმდევრულმა კურსმა გამოსახულება პპოვა კანონში დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

კანონის 25-ე მუხლში ნათქვამია: „დეპუტატი მოვალეა იდგეს საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე. აქტიურად მონაწილეობდეს სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშრომელთა სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით აღზრდაში“. ეს დებულება მტკიცე საფუძველს ქმნის სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევათა აღსაკვეთად დეპუტატის აქტიური მოქმედებისათვის. დეპუტატის უფლება — მოითხოვოს კანონიერების



დარღვევის აღმოფხვრა — გონივრულად და საბჭოთა კანონების სრული შესაბამისობით უნდა იქნეს გამოყენებული.

საბჭოთა კანონმდებლობა დეპუტატებს გარკვეულ უფლებებს რომ ანიჭებს, ამასთან ყურადღებას ამახვილებს ამ უფლებათა პოლიტიკურ, სამართლებრივ და მატერიალურ გარანტიებზე.

კანონი ავალებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და თანამდებობის პირებს ხელი შეუწყონ დეპუტატს უფლებამოსილებათა განხორციელებაში. თუ თანამდებობის პირები ხელს არ შეუწყობენ დეპუტატებს უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში, საბჭოს ან მის ორგანოებს შეუძლიათ დადგენილი წესით დაადონ დისციპლინური სასჯელი ამ თანამდებობის პირებს ან შესაბამის ორგანიზაციებში შეიტანონ წარდგინება აღნიშნულ პირთათვის დისციპლინარული სასჯელის დადების შესახებ, თანამდებობიდანაც კი გაანთავისუფლონ.

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ დეპუტატის საქმიანობის გარანტირება არ ნიშნავს დეპუტატისათვის რაღაც განსაკუთრებული პირობების შექმნას იმ მოქალაქესთან შედარებით, რომელიც არ არის დეპუტატი.

ამომრჩეველები დეპუტატს ბევრ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობას აკისრებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეპუტატი როგორც მოქალაქე, შრომის, კანონიერებისა და სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების დაცვის მაგალითს უნდა იძლეოდეს. დეპუტატთა სტატუსი ადგენს გარანტიას, დაკავშირებულს დეპუტატის უფლება-მოვალეობის შესრულებასთან.

დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახება გასამრჩელო მუდმივ სამუშაო ადგილზე. შემოწმებამ ცხადყო, რომ კანონის მუხლის ამ მოთხოვნას ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი არღვევს. ზუგდიდის, საჩხერის, ხაშურის, გეგეჭკორის, მესტიის, აბაშისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში დეპუტატებს სესიისა და სხვა მოვალეობების შესრულებისას ფულს არ უნაზღაურებენ.

კანონის 32-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინციპლინით დაითხოვონ სამუშაოდან, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან გადაიყვანონ დისციპლინური სასჯელის წესით მცირეხელფასიან სამუშაოზე, თუ საბჭოს წინასწარი დასტური არ იქნა, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — აღმასრულებელი კომიტეტი არ დათანხმდა.

ასევე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით შესაბამისი საბჭოს, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — აღმასრულებელი კომიტეტის დასტურის მიუხედავად.

სამწუხაროდ, არის ფაქტები, როდესაც ზოგიერთი ხელმძღვანელი არღვევს კანონს.

წალკის რაიონის ოლიანკის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით, სასოფლო საბჭოს დაუთანხმებლად სამუშაოდან გაათავისუფლეს სასოფლო საბჭოს დეპუტატები: ბრიგადირი ავაპოვი და მონაგარიშე შარანოვი.

პროკურატურის ორგანოების მიერ, შესაბამისი საბჭოების დასტურის მიუხედავად სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემული: სოხუმის საქალა-

ქო საბჭოს დეპუტატი შ. გვაზავა, ქარელის რაიონის გვერძინეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატი ვ. ბერიძე, ქ. თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს დეპუტატი ი. კაცსაძე, სიღნაღის საქალაქო საბჭოს დეპუტატები თ. ბეგიაშვილი და ა. კოჭლამაზაშვილი და სხვები. ასეთი ფაქტები, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, საჭიროა, რათა კანონის ეს მუხლი განუხრელად სრულდებოდეს.

დეპუტატთა სტატუსის კანონის შესრულება მოითხოვს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების და თანამდებობის პირთა დიდ, ყოველდღიურ მუშაობას.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად მიღებული ეს კანონი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის შემდგომი ამოღების პოეზიური პირობაა, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების საწინდარია.



იურიდიული ფაქტების დადგენის ზოგნიკრიტი საკითხი სსსაპართლო პრაქტიკაში

ბ. ღვეზარიაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასამართლოების, ნოტარიატის და სოცუზრუნველყოფის ორგანოთა მოღვაწეობაში. ამიტომ დიდა ამ კატეგორიის საქმეებისადმი თეორიული და პრაქტიკული ინტერესი.

სასამართლოებში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის საქმეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 1973 წელს სახალხო სასამართლოებში იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეებმა შეადგინა მთლიანად განხილულ სამოქალაქო საქმეთა 10,7 პროცენტი. რაოდენობრივად მათ შორის ყველაზე მეტია საქმეები, რომელიც ადგენენ უფლების დამდგენი საბუთების კუთვნილებას, ნათესაური კავშირის ფაქტს და კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს.

იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეთა ასეთი დიდი რაოდენობის განხილვა იმის შედეგია, რომ სასამართლოები ხშირად ფორმალურად ეკიდებიან ამ კატეგორიის საქმეების განხილვა-გადაწყვეტას, წარმოებაში იღებენ სასამართლოს არაქვემდებარე საქმეებს და საქმის ფაქტიურ გარემოებათა გამოურკვევლად ხელაღებით ადასტურებენ ფაქტს. ამით კი ცალკეული პირები დაუშახურებელ შედეგათებსა და ქონებრივ გამორჩენას იღებენ, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოქალაქეებს და სახელმწიფო ორგანიზაციების პირად და ქონებრივ ინტერესებს.

სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას, უმრავლეს შემთხვევაში, არ იცავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე და 26-ე თავების მოთხოვნას, სადაც მოცემულია განსაკუთრებული წარმოებისა და თურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის წესები და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილებას — „იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლოს პრაქტიკის შესახებ“. საქმეთა განხილვის დროს უშვებენ სერიოზულ დარღვევებს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლის „1“ პუნქტის შესაბამისად იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეები იხილება განსაკუთრებული წარმოების საქმეთა განხილვის წესით.

სასამართლოთა დიდი უმრავლესობა არ იცავს კანონის ამ მოთხოვნას და ასეთ საქმეებს იხილვენ საერთო სასარჩილო წესით, ახდენენ, იურიდიული ტერმინების აღრევას და იმ პირებს, რომლებიც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენას მოითხოვენ ნაცვლად განმცხადებლისა, როგორც მათ უწოდებს საქართველოს სსრ სამოქალაქო-სამართლის საპროცესო კოდექსის 254 მუხლი, სამსჯავრო სხდომის ოქმებსა და გადაწყვეტილებებში იხსენიებენ მო-

სარჩელედ. გადაწყვეტილებებში უთითებენ—„დაკმაყოფილდეს სარჩელი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ“, რითაც შლიან ზღვარს განსაკუთრებული წარმოების საქმეთა განხილვის წესსა და საერთო სასარჩელო საქმეთა განხილვის წესს შორის.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საქმეებზე მოსამართლე ვალდებულია საქმის წინასწარი მომზადების წესით გამოარკვიოს მოცემული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა ექვემდებარება თუ არა სასამართლოს, რა მიზნისთვისაა ასეთი ფაქტის დადგენა აუცილებელი და რა გარემოებათა გამოა შეუძლებელი იურიდიული ფაქტის დამდგენი დოკუმენტის მიღება სასამართლოს გარეშე. ასევე გამოარკვიოს და საქმის განხილვაში ჩააბას ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქმის შესაძლო შედეგით.

სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში არ იცავენ კანონის ამ მოთხოვნას. მაგალითად, ქ. თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ჯ. ბეგოიძის განცხადება და დაუდასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ მისი მამის მამიდა მ. ლუნაშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1972 წელს, ფაქტიურ ქორწინებაში იყოფებოდა 1969 წელს გარდაცვლილ დ. ლუნაშვილთან. სასამართლოს არ გამოურკვევია თუ რისთვის სჭირდებოდა აღნიშნული ფაქტის დადგენა განმცხადებელს, საქმეში არ ჩაუბამს საქმის შედეგით დაინტერესებული პირი ან ორგანიზაცია. როგორც საქმის მასალებით ირკვევა აწ გარდაცვალებულ მ. გ. ლუნაშვილს ქ. თბილისში გოგოლის ქუჩა. № 9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ანდერძით დაუტოვებია განმცხადებელ ჯ. ბეგოიძისათვის, იმ დროს როდესაც სახლი პირადი საკუთრების უფლებით ირიცხებოდა აწ გარდაცვალებულ დ. დ. ლუნაშვილზე და გ. გ. ლუნაშვილს აღნიშნული სახლის ანდერძით განკარგვის უფლება არ გააჩნდა.

პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით შესწავლილი საქმეებიდან 90,5 პროცენტი განხილულია ფაქტის დადგენის მიზნის გამოარკვევისა და შედეგით დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციათა გამოწვევის გარეშე.

ამასთან როგორც წესი, სასამართლოები არ არკვევენ თუ რატომაა შეუძლებელი ფაქტის დამადასტურებელი საბუთების მიღება სასამართლოს გარეშე ან ადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ცნობით დადგენილია და სასამართლოს დადასტურებას აღარ მოითხოვს. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ ავტომანქანა „პობედა“ გ-20 № 27—27 გრხ ნამდვილად ცხაკაიას რაიკოპერატორის საკუთრებაა, ჯერ ერთი, ავტომანქანაზე საკუთრების უფლების ფაქტის დადგენა სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება, ამასთან სასამართლოს არც გაურკვევია თუ რა მიზეზით არ შეიძლებოდა მიეღო დაინტერესებულ პირს მანქანის კუთვნილების საბუთი სახელმწიფო ავტოინსპექციიდან.

გორის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით დაადგინა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი და ე. გოზალოვას ქმარი ს. ათუნოვი აღიარა გარდაცვალებულად, სასამართლოს გადაწყვეტილე-



ბა. დაეყრდნო სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემულ ოფიციალურ ცნობას, რომ ს. ს. ათუნოვი დაიღუპა სამამულო ომის ფრონტზე 1943 წლის აგვისტოში, ეს ცნობა სასამართლოს მიერ ფაქტის დამატებით დადგენას არ მოითხოვდა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 255-ე მუხლისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად თუ განსაკუთრებული წარმოების წესით საქმის განხილვისას დაინტერესებული პირი ან ორგანიზაცია აღძრავს დავას ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლო ორგანოებს უწყებრივად ექვემდებარება, ან თვით სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეზე ფაქტის დადგენა უშუალოდაა დაკავშირებული სამოქალაქო უფლებებზე დავის გადაწყვეტის აუცილებლობასთან, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

ხშირად სახალხო სასამართლოები კანონის მოთხოვნის წინააღმდეგ საერთო სასარჩელო ხასიათის დავებს განსაკუთრებული წარმოების წესით იხილავენ.

მაგალითად ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 7 სექტემბერს განსაკუთრებული წარმოების წესით განიხილა და დააკმაყოფილა ე. ვასილიევას განცხადება, რომ მან 1971 წლის 13 თებერვალს ქ. ბაქოში დასაფლავა დეიდა ხუნდაძე-ბალაბაში, რომლის დასაფლავებაც დახარჯა 497 მანეთი სასამართლოს გადაწყვეტილებით ქ. ბაქოს № 6962/02 შემნახველ სალაროს დაევალა, რომ აწ გარდაცვალებულ ხუნდაძე-ბალაბაშის სახელზე რიცხული 723 მანეთიდან 497 მანეთი გაეცათ ე. ვასილიევასათვის. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 6 აპრილს, განსაკუთრებული წარმოების წესით განიხილა საქმე და დაადგინა — „ძალდაკარგულად იქნეს ცნობილი 1955 წლის 6 აპრილის გიორგი სარქისის-ძე არუთინოვის სახელზე გაცემული დაბადების მოწმობა და ნამდვილ დაბადების მოწმობად ჩითვალოს 1968 წლის 13-II-ს გიორგი სამსონის-ძე არუთინიანის სახელზე გაცემული დაბადების მოწმობა“.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლი შეიცავს იურიდიული მნიშვნელობის იმ ფაქტების არაამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა დადგენაც სასამართლოს ექვემდებარება. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სასამართლოები ავრთვე განიხილავენ იურიდიული მნიშვნელობის სხვა ფაქტების დადგენის საქმეებს, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს სასამართლოებში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შედარებით მნიშვნელოვან და გავრცელებულ კატეგორიას მიეკუთვნებიან, საქმეები, რომლებიც ადგენენ:

1. უფლების დამდგენი საბუთების კუთვნილების ფაქტს; 2. ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს და ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობის მდგომარეობის ფაქტს; 3. პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის იურიდიულ ფაქტს;

1. საქმეები უფლების დამდგენი საბუთების კუთვნილების ფაქტის დადგენაზე. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთმითითებული დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად სასამართლო

უფლებამოსილია დაადგინოს უფლების დამდგენი საბუთების იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტი, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს. სასამართლოებმა უნდა შეკრიბონ მტკიცებულებები, რომ ორგანიზაცია, რომელმაც გასცა უფლების დამდგენი საბუთი მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს მასში სათანადო ცვლილებები. სასამართლოები, როგორც წესი, არ ითხოვენ ასეთ მტკიცებულებებს განმცხადებლებისაგან. სასამართლოთა დიდ უმრავლესობას შეცდომით გამოაქვს დადგენილება უფლების დამდგენი საბუთის არა იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის შესახებ, რომელიც სხვადასხვა გვართაა ჩაწერილი სხვადასხვა საბუთებში, არამედ ადგენენ სხვადასხვა საბუთებში აღნიშნულ პიროვნებათა იგივეობის ფაქტს.

მაგალითად, ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით დაადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ ბენია იაკობის ასული ნანიკაშვილი და დათუნა იაკობის-ძე ნანიკაშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ სარქის მიხეილის ძე კაკალოვი არის იგივე სერგო მიხეილის-ძე კაკალოვი.

მსგავსი ფაქტები მრავალია.

სახალხო სასამართლოებს ხშირ შემთხვევაში გამოაქვთ გადაწყვეტილებანი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ბილეთების სამხედრო საბუთების, პასპორტისა და მმართველ ორგანოების მიერ გაცემული მოწმობების კუთვნილების იურიდიული ფაქტის დადგენაზე, მაშინ როდესაც ასეთი ფაქტის დადგენა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ გორის მაზრის წითელქალაქის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს მიერ გაცემული ქორწინების მოწმობის ამონაწერი ეკუთვნის ვარვარა სერგოს ასულ პოპოვას.

ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა იურიდიული ფაქტი, რომ დაბადების მოწმობა, პასპორტი, სამხედრო ბილეთი ეკუთვნის გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ულერჯევს.

2. საქმეები ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის და ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის მდგომარეობის ფაქტის დადგენაზე. ცნობილია, რომ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამდე მოქმედი კანონი ცნობდა და იცავდა ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას. ქორწინების რეგისტრაციას მხოლოდ დამატკიცებელი საბუთის მნიშვნელობა ჰქონდა და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე მეთულე ცოცხალი იყო, კანონიერად ითვლებოდა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის მტკიცება სასამართლოს მეშვეობით.

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამ ძირითადი ცვლილებები შეიტანა სამართლის იმ ნორმებში, რომლებიც ქორწინებასა და მეთულეთა უფლებრივ ურთიერთობას აწესრიგებდნენ. ბრძანებულების მე-19 მუხლის შესაბამისად,



მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა უფლებამოსა-
 ლეობას. რეგისტრაციის გარეშე მხარეთა შორის არავითარი დამოკიდებულება
 არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ქორწინება. ბრძანებულება ცნობს
 მანამდე არსებულ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას და მისგან გამომდი-
 ნარე უფლებამოსილების შემდგომი რეალიზაციის მიზნით ადგენს ფაქტობრი-
 ვი საქორწინო ურთიერთობის რეგისტრირების სავალდებულობას, ეს უკანასკ-
 ნელი გარანტირებულია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე რეგისტრაციის შესა-
 ძლებლობით. ამასთანავე მხარეებს უფლება ეძლევათ აღნიშნონ ფაქტობრივი
 ერთად ცხოვრების ვადა მაგრამ ბრძანებულებაში არაფერი იყო ნათქვამი ისეთ
 შემთხვევაზე, როდესაც ფაქტობრივი ქორწინება ბრძანებულების გამოკვეყ-
 ნებადღე წარმოიშვა, ხოლო ქორწინების რეგისტრაციაში გატარება ბრძანებუ-
 ლების შემდეგ ვეღარ ხერხდებოდა ერთ-ერთი მეუღლის უგზო-უკვლოდ და-
 კარგვის ან უარდაცვალების გამო. ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო სსრ კავში-
 რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებამ
 („ფაქტობრივი ცოლქმრული ურთიერთობის ცნობის შესახებ ისეთ შემთხვე-
 ვაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა ან ფრონტზე უგზო-უკვა-
 ლოდ დაიკარგა“), რომელიც აწესრიგებდა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერ-
 თობის საკითხს მხოლოდ ომით გამოწვეულ შემთხვევისათვის (ფრონტზე გარ-
 დაცვალება, უგზო-უკვლოდ დაკარგვა), მაგრამ ფაქტობრივი საქორწინო ურ-
 თიერთობის სხვა შემთხვევები, კვლავ გადაუწყვეტელი რჩებოდა. შემდგომ სსრ
 კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის № 3 დად-
 გენილებით ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის ფაქტის დადგენა შესა-
 ძლებლად იქნა ცნობილი ისეთ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ერთ-ერთი
 მეუღლე თუმცა სამაჟლო ომის დამთავრების შემდეგ გარდაიცვალა, მაგ-
 რამ ობიექტურმა გარემოებებმა (ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა და სხვა
 გარემოებანი) არ მისცეს მეუღლეებს საშუალება 1944 წლის 8 ივლისის ბრძა-
 ნებულების შემდეგ მძაჩის ორგანოებში გაეტარებინათ ქორწინების რეგისტრა-
 ცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 8 ივლისის
 ბრძანებულების მე-10 მუხლით პირებისათვის მინიჭებული უფლება მოეხდი-
 ნათ ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის რეგისტრაცია — დროით არ იყო
 შეზღუდული. ამიტომ მოქალაქეთა ყოველგვარი შეზღუდვა მოეხდინათ აღნი-
 შნულ ბრძანებულებამდე არსებული ფაქტობრივი ქორწინების ფაქტის დადგე-
 ნა ამ ბრძანებულების შინაარსს ეწინააღმდეგება, რამაც უარყოფითი გავლენა
 მოახდინა სასამართლო პრაქტიკაზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
 პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილებით „იურიდიული მნიშ-
 ვნელობის ფაქტის დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ გა-
 უქმებული იქნა ყოველგვარი შეზღუდვები და პლენუმის ამ დადგენილების
 მე-6 მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის ფაქტის
 დადგენა შეიძლება თუ ეს ურთიერთობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-
 ზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამდე წარმოიშვა და ერთ-ერთი
 მეუღლის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა.

სასამართლოები ხშირად არ იცავენ კანონის ამ მოთხოვნას და იხილავენ
 არაქვემდებარე საქმეებს, 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შემდეგ წარ-
 მოშობილ ფაქტობრივი ქორწინებას იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე.

მაგალითად გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ საჩივარი ასტან კიზი 1952 წლიდან ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ აჯალიევ ფაშა ყული ოღლისთან.

ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ ლუდა მიხეილის ასული ზაქარეიშვილი 1948 წლიდან ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვალებულ ილია ესტრატეს-ძე ზაქარეიშვილთან.

პლენუმის დადგენილების მიხედვით ფაქტობრივი ქორწინების იურიდიული ფაქტის დადგენისათვის გარდა იმისა, რომ ასეთი ურთიერთობა 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამდე უნდა იყოს წარმოშობილი, აუცილებელია ეს ურთიერთობა გრძელდებოდეს ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები ფაქტობრივი ქორწინების ფაქტს ამ მომენტის გარკვევის გარეშე ადასტურებენ.

მაგალითად, ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ მარიამ მიხეილის ასული ბასილაშვილი 1920 წლიდან ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვალებული გიორგი გერასიმეს-ძე თურქაძესთან, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი როგორც საქმეში არსებული მტკიცებებით ირკვევოდა 1940 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოქ. მარიანიკოლოზის ასულ თურქაძესთან.

ხშირად სასამართლოები არ ადასტურებენ ქორწინების ფაქტს იმ მოტივით, რომ განმცხადებელი 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შემდეგ მეუღლის სიცოცხლეში დროულად არ გატარდა ქორწინების რეგისტრაციას. მაშინ როდესაც როგორც ზემოთ ითქვა ბრძანებულება ფაქტობრივი ქორწინების რეგისტრაციისათვის შეზღუდვას არ ითვალისწინებდა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სასამართლოები იხილავენ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის საქმეებს, როდესაც რეგისტრაციას ადგლი ქონდა, მაგრამ ჩანაწერები არ აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს ვგზვდება ორი გავრცელებული შემთხვევა ერთი როდესაც რეგისტრაციის წიგნი დაკარგულია და მეორე, როდესაც წიგნი სახეზეა, მაგრამ ჩანაწერები არ აღმოჩნდა. მეორე შემთხვევაში სასამართლოებს უფრო მეტი ყურადღება მართებთ მტკიცებულებათა კრიტიკულად შეფასების თვალსაზრისით. სასამართლოები უფლებამოსილი არიან განიხილონ რელიგიური წესით შესრულებული ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის საქმეები თუ ამ ფაქტს ადგლი ქონდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფამდე ე. ი. „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტის გამოცემამდე. აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ აღნიშნულ დეკრეტამდე საეკლესიო წესით ქორწინება იურიდიული შედეგებით უთანაბრდება მმართველ ორგანოებში ქორწინების რეგისტრაციას.

3. საქმეები პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის იურიდიული ფაქტის დადგენაზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილება „იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“

არ შეიცავს მითითებას პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის იურიდიული ფაქტის სასამართლო წესით დადგენის შესაძლებლობაზე. პლენუმის ამ დადგენილებით ძალდაკარგულად იქნა მიჩნეული პლენუმის ყველა წინა დადგენილებანი, რომლებიც ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებდა. შემდგომში მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით შესაძლოდ იქნა მიჩნეული სასამართლოს წესით პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის იურიდიული ფაქტის დადგენა.

ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის მიხედვით სასამართლოები უნდა ადგენდნენ პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის იურიდიულ ფაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ფლობდა სახლს საკუთრების უფლებით, მაგრამ რაიმე მიზეზით საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები დაიკარგა და სხვა გზით მისი აღდგენა შეუძლებელია. სასამართლოები არღვევენ კანონის მოთხოვნას. ზოგჯერ არ არკვევენ ქონდა თუ არა განმცხადებელს ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები და ისეთ განმცხადებელს ცნობენ ნაგებობის მესაკუთრედ, რომლის სახელზედაც ნაგებობა არასდროს არ ყოფილა აღრიცხული.

მაგალითად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ ქ. თბილისში საფურამოს ქ. № 15-ში მდებარე ნაგებობა, რომელიც ტექ-აღრიცხვის ბიუროში გატარებულია ა. ნ. იზრაელიანის სახელზე, ეკუთვნის ზ. ი. მოშიაშვილს.

ქ. გორის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ ქ. გორში შაუშიანის ქ. № 104-ში მდებარე ნაგებობა, (რომლის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთები არ არსებობს) ეკუთვნის ს. ლიშარს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თვითნებური მენაშენების სახელზე ნაგებობის აღრიცხვისა და ე. წ. დაკანონების საკითხს წყვეტს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები და სასამართლოები არ არიან უფლებამოსილნი სასარჩელო ან განსაკუთრებულ წარმოების წესით ასეთი ნაგებობების საკუთრების საკითხი განიხილონ.

ზოგჯერ სასამართლოები არ იცავენ კანონის ამ მოთხოვნას და განმცხადებლებს იურიდიული ფაქტის დადგენის წესით ცნობენ უნებართვო არაგეგმიური ნაგებობის მესაკუთრებად, როდესაც ნაგებობაზე საკუთრების დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტები არ არსებობს.

მაგალითად: ქ. გორის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი და ი. ს. ქიტიაშვილი ქ. გორში ლერმონტოვის ქ. № 11-ში მდებარე ნაგებობის მესაკუთრედ ცნო.

სასამართლოები ზოგჯერ სახლზე საკუთრების უფლების თაობაზე სასარჩელო დავებს იურიდიული ფაქტის დადგენის წესით განიხილავენ.

მაგალითად ქ. გორის სახალხო სასამართლომ დაადასტურა იურიდიული



ფაქტი, რომ ლ. ი. ასტანჯლოვმა ქ. გორში, რუსთაველის ქ. № 8-ში მდებარე ერთსართულიანი სახლი 1970 წლის 23 ივლისს, შინაური გარიგების საფუძველზე შეისყიდა ე. ა. ხირსელისაგან.

როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის იურიდიული ფაქტის დადგენის საკითხში დაშვებული შეცდომები ნაწილობრივ გამოწვეულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სასამართლის საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-6 პუნქტის არასათანადო ფორმულირებით. აღნიშნული პუნქტი იკითხება „შენობაზე საკუთრების უფლების ფაქტის დადგენის შესახებ“ მაშინ როდესაც უნდა იკითხებოდეს „შენობის საკუთრების უფლებით მფლობელობის ფაქტის დადგენის შესახებ“ (როგორც ეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სასამართლის საპროცესო კოდექსის რუსულ ვარიანტში და რსფსრ-ს სამოქალაქო სასამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლშია მოცემული). ქართული ტექსტის არასათანადო ფორმულირება არა მარტო აბუნდოვნებს, არამედ შინაარსობრივად ცვლის კანონს, რომელსაც სინამდვილეში მხედველობაში აქვს შესაძლებლობა დადგინდეს იურიდიული ფაქტი შენობის საკუთრების უფლებით ფლობისა და არა ფაქტი შენობაზე საკუთრებისა.

კანონში დაშვებული ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

როგორც პრაქტიკის განზოგადებამ გვიჩვენა რესპუბლიკაში საერთოდ არავითარი ზედამხედველობა არ არის დაწესებული აღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვა-გადაწყვეტის კანონიერებაზე. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში ასეთი საქმეები საკასაციო წესით ძალზე იშვიათად შემოდის, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სასამართლოების მიერ განცხადებათა დიდი უმრავლესობა დაკმაყოფილებულია. შედეგით დაინტერესებული ორგანიზაციები და სხვა პირები გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების საშუალებას მოკლებული არიან, ვინაიდან საქმეთა დიდი უმრავლესობა მათი მონაწილეობის გარეშე იხილება.

პრაქტიკის განზოგადების მიზნით გადასინჯულ საქმეებიდან გამოვლინებულ დარღვევებზე პროკურატურის მიერ არცერთი საკასაციო და საზედამხედველო პროტესტი არ დაწერილა.

თითქმის არავითარი ყურადღება არ ეთმობა კანონის პროპაგანდას ამ საკითხებზე. მოქალაქეებს არ განუმარტავენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, რითაც ძირითადად გაპირობებულია სასამართლოებში ასეთი კატეგორიის საქმეების დიდი რაოდენობა.

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.



ეჭვიჯანილის დაკავება როგორც დანაშაულის აღკვეთის საშუალება

პ. ძაბანიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი

პ. ქველიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

დანაშაულებრივი ქმედობის აღკვეთისა და დანაშაულის თავიდან აცილებ-
ვისათვის მილიციის ორგანოები ზოგჯერ გადაუდებელ საგამოძიებო მოქმე-
დებას მიმართავენ, მაგალითად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილი პირის
დაკავებას.

მართალია, დაკავება არ არის აღმკვეთი ღონისძიება, მაგრამ მასზე მაინც
ვრცელდება კონსტიტუციური დებულება პიროვნების ხელშეუხებლობის შესა-
ხებ. ამასთან, ხშირად ეჭვიმტანილის დაკავება გადაუდებელი ღონისძიებაა და
მისი დაყოვნება ხელს უწყობს დანაშაულს დანაშაულის კვალის დაფარვაში, მხი-
ლებათა მიჩქმალვაში და საბოლოო ანგარიშში პასუხისმგებლობისაგან თავის
დაღწევაში.

დაკავების კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობა დაკავშირე-
ბულია მთელი რიგი რთული საკითხების გადაწყვეტასთან.

დაკავების პროცესუალური ბუნება გასუქებულია საბჭოთა იურიდიულ
ლიტერატურაში. მათში გამოხატულია საერთო აზრი, რომ დაკავება — ეს არის
იმ დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილი პირის ხანმოკლე დაპატიმრება, რომლის-
თვისაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების
აღკვეთის სახით.

დაკავება, წარმოადგენს რა გაფრთხილების ღონისძიებას, მიზნად ისახავს
ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილ პირს, რომ ამ უკანასკნელ-
მა თავი არ აარიდოს საგამომძიებლო ორგანოების პროცესუალურ მოქმედებებს,
დაფაროს დანაშაულის კვალი. დაკავების მიზანია — დანაშაულის გაგრძელების
თავიდან აცილება და აღკვეთა, საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა შეგროვება,
სისხლის სამართალწარმოების ამოცანების შესრულებისათვის პირობების
შექმნა.

დაკავების გამოყენების დროს სისხლის სამართლის პროცესში ჩნდება ეჭვ-
მიტანილის დამოუკიდებელი ფიგურა, რომელიც კანონით აღჭურვილია პროცე-
სუალური უფლებებითა და მოვალეობებით (რსფსრ-ს სისხლის სამართლის სა-
პროცესო კოდექსის 52-ე მუხლი).

რსფსრ-ს და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სისხლის სამართ-
ლის საპროცესო კოდექსში განმარტებული არ არის „ეჭვიმტანილის“ ცნება.
მაგრამ ეს არ ცვლის იმ პირის უფლებებსა და პროცესუალურ მდგომარეობას,
რომელიც დაკავებულია დანაშაულის ჩადენაში ეჭვის გამო (საქართველოს სსრ
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე, 122-ე მუხლები).

დაკავება გამოყენებულ უნდა იქნას დიდი სიფრთხილით, რომ არ დაირღვეს
მოქალაქეთა კანონით დაცული უფლებები. იძულების ამ ღონისძიებას აქვს



სპეციფიკური ნიშნები, რაც განაპირობებს საპროკურორო ზედამხედველობის ორმაგ ამოცანას. ესენია:

ა) თვალყური ადევნოს იმას, რომ მოკვლევის ორგანოებმა განუხრელად შეასრულონ კანონით დაკისრებული მოვალეობა დამნაშავეის დადგენისა და დაკავებისათვის;

ბ) დროულად და გადაჭრით აღკვეთოს მოქალაქეთა უკანონო დაკავება და ექვემდებარებული პირის პროცესუალური უფლებების დარღვევები.

პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად პირის დაკავება შეიძლება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე და წარმოადგენს იმის ერთ-ერთ საშუალებას, რომ შემოწმდეს — არის თუ არა საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის.

საკითხის ასე დასმა სწორი არ არის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე აღძვრება არა პირის დაკავების გამო, არამედ ამისათვის საბაზისა და საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მიუთითებს დანაშაულის ნიშნებზე. მაშასადამე, არა დაკავება განაპირობებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, არამედ პირიქით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის არსებული საბაზი და საფუძველი წარმოადგენს დაკავების აუცილებლობის სამართლებრივ ბაზას.

კანონი მოითხოვს, რომ დაკავებული პირი დაიკითხოს დაუყოვნებლივ (რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლი; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი), ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, არაუგვიანეს 24 საათისა. ჩვენ რომ გავიზიაროთ შეხედულება, რომელსაც გვათავაზობენ, ექვემდებარებული პირის უფლებების გარანტიები ჰაერში ჩამოკიდებული აღმოჩნდება, რადგან კანონმდებელი არ უშვებს დაკითხვის ჩატარებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, ხოლო ექვემდებარებული პირის ყველა უფლება ხორციელდება სწორედ მის დაკითხვასთან დაკავშირებით და დაკითხვის მომენტში. დაბოლოს, რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი) მკაცრად განსაზღვრავს დაკავების აუცილებლობას. ესაა ექვი ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა. მაშასადამე, თუ არ არის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, არ შეიძლება პირის დაკავება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იძულების ეს ღონისძიება გულისხმობს უკვე აღძვრულ სისხლის სამართლის საქმეს, ან დანაშაულის ნიშნების დადგენას, რომელიც სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს.

იურიდიულ ლიტერატურაში გადაუწყვეტელი საკითხია — იმ მომენტის განსაზღვრა, რომლიდანაც იწყება დაკავება და, მაშასადამე, ექვემდებარებულის პატიმრობაში ყოფნის ვადის გამოანგარიშება.

ბევრი საბჭოთა პროცესუალისტის და პრაქტიკული მუშაკის აზრით, ეს მომენტი დგება ფაქტიური დაკავებისთანავე (წასწრება დანაშაულის ადგილზე). არის მეორე შეხედულებაც, რომლის მიხედვით დაკავება იწყება ექვემდებარებულის წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების დროიდან. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი თვალსაზრისი სწორია. პირის დაკავება დანაშაულის ადგილზე შეუძლია მილიციის ყოველ მუშაკს, მათ შორის, იმასაც, ვინც შედის სამწყობრო ქვეგანყოფილებების შემადგენლობაში და ეწევა გარე სამსახურს. უფრო მეტიც,

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრებს და სხვა შეგნებულ საბჭოთა მოქალაქეებს წარუდგენიათ მილიციაში დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირები შემთხვევის ადგილიდან. ასეთი მოქმედება არ არის პროცესუალური მოქმედება და არ შეიძლება განხილული იქნას როგორც რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლით გათვალისწინებული წესით პირის დაკავება ანუ პატიმრობა.

პროკურორი, ახორციელებს რა ზედამხედველობას მოქალაქეთა დაკავების კანონიერებაზე ზუსტად უნდა განასხვავებდეს მოქალაქეთა დაკავებას იმ შემთხვევისაგან, როცა მილიციის მუშაკები, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წარადგენენ პირებს მათი ვინაობის დასადგენად, ან იმ შემთხვევებისაგან, როცა მაწანწალობისა და მათხოვრობისათვის პირს დააკავებენ და მოათავსებენ მიმღებ-გამანაწილებელში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 8 ივნისის ბრძანებულების — „საბჭოთა მილიციის ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშაევობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის“ თანახმად მილიციას მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ეძლევა უფლება:

ა) დააკავოს მოქალაქეები, რომლებმაც ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, მილიციის უფროსის ან სახალხო მოსამართლის მიერ კანონით დადგენილ ვადაში მასალების განხილვამდე.

ბ) წარადგინოს მილიციაში და დააკავოს სამი საათის ვადით ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა სხვა დარღვევების თავიდან ასაცილებლად, როცა ზემოქმედების სხვა საშუალებები ამოწურულია, აგრეთვე დამრღვევის პიროვნების დასადგენად და სამართალდარღვევის შესახებ ოქმის (აქტის) შესადგენად.

გ) პროკურორის სანქციით მიმღებ-გამანაწილებელში მოათავსოს პირები, რომლებიც დაკავებული იქნენ მათხოვრობისა და მაწანწალობისათვის იმ ვადით, რაც აუცილებელია მათი ვინაობის დასადგენად, მათი შრომითი მოწყობის გადასაწყვეტად, მოხუცებულობისა და ინვალიდების სახლ-ინტერნატში გასაგზავნად, მეურვის დასანიშნად, ან კანონის თანახმად მათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, მაგრამ არა უმეტეს 30 დღეამისა, თუ ქალაქში ან რაიონში არ არის მიმღებ-გამანაწილებელი, ასეთი პირები პროკურორის სანქციით მოთავსებულ იქნენ წინასწარი პატიმრობის საკნებში არა უმეტეს 10 დღისა.

დ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აუცილებელ შემთხვევებში მილიციაში წარმოდგენილი იქნან ის პირები, რომლებიც სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს ან სხადიან სამართალდარღვევებს შესაბამისი რეგისტრაციისა და ოფიციალური გაფრთხილებისათვის შემდგომში ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აღსაკვეთად.¹

პირის მილიციაში წარდგენისა და გარემოებათა კრიტიკული შეფასების შემდეგ შეიძლება გამოირკვეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედობა არ არის დანაშაულებრივი, ან ეს პირი შეცდომით წარმოადგინეს. ასეთ შემთხვევაში არ არის დაკავების საფუძველი.

ჩვენი აზრით, დაკავება იწყება ამის შესახებ პროცესუალური აქტის (ოქ-

¹ Указ Президиума Верховного Совета СССР от 8 июля 1973 г. «Ведомости Верховного Совета СССР, 1973 г. № 24 (1882), стр. 309.

მის) შედგენისა და ექვემიტანილის წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების მომენტიდან. ამასთან, იგულისხმება, რომ მკაცრად იქნება დაცული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მილიციაში წარდგენის წესებს და ამ ღონისძიების ხანგრძლივობას. ამის შესაბამისად ამ დროიდან უნდა ქნეს გამოანგარიშებული დაკავების ვადები და სასურველი იქნება, რომ ასეთი წესით გაითვალისწინოს კანონმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროკურორის დროულ ინფორმირებას დაკავების შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაკავების შესახებ პროკურორს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს და წარედგინოს ყველა მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო დაკავებას. ეს საჭიროა იმისათვის, რომ პროკურორმა უზრუნველყოს მილიციის მუშაკების მიერ გადაუდებელი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება დაკავებული პირის დანაშაულში მონაწილეობის დასადგენად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების 122-ე მუხლი ავალებს მოკვლევის ორგანოებს 24 საათის განმავლობაში შეატყობინონ პროკურორს პირის დაკავების შესახებ, თუმცა ამ მუხლში არ არის ნათქვამი, თუ რა ფორმით მოხდება შეტყობინება. მუხლის რედაქციიდან არ სჩანს, აქვს თუ არა მოკვლევის ორგანოს უფლება 24 საათის გასვლის შემდეგ ამყოფოს ექვემიტანილი პირი კიდევ 48 საათი, თუ ამაზე საჭიროა პროკურორის თანხმობა.

პრაქტიკის თანახმად ზოგან მოკვლევის ორგანოები დაკავების შესახებ პროკურორს აცნობებენ წერილობით და ერთდროულად უდგენენ მასალებს, რაც საფუძვლად დაედო დაკავებას. პროკურორი მიუთითებს, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლონ დაკავებული პირი, ან შესაბამის დოკუმენტში (დაკავების ოქმში, დადგენილებაში აღკვეთის ღონისძიების შესახებ) აღნიშნავს, რომ საკითხი დაპატიმრების სანქციაზე გადაწყდება 48 საათის განმავლობაში. სწორედ ეს არის ექვემიტანილის წინასწარი პატიმრობის საკანში შემდგომი დატოვების საფუძველი.

პირის დაკავებაზე პროცესუალური ნორმების სრულყოფა ხელს შეუწყობდა კანონის ერთგვაროვან გამოყენებას და მოკვლევის ორგანოებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის მოწესრიგებას.

ექვემიტანილის დაკავების კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობა მეთოდის თვალსაზრისით ძირითადად ორი ფორმით ხორციელდება:

1) პროკურორის მიერ დაკავების მასალების ყოველდღიური შემოწმებით, რომლებსაც პროკურატურაში იღებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის წესით.

2) პროკურორის მიერ მილიციის ორგანოების წინასწარი პატიმრობის საკანების კომპლექსური და მიზნობრივი შემოწმებით.

განვიხილოთ შემოწმების თითოეული ფორმა.

რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის შესაბამისად მოკვლევის ორგანოებს ევალებათ 24 საათის განმავლობაში შეატყობინონ პროკურორს დაკავების შესახებ. მხედველობაშია, რომ ამ ხნის განმავლობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროკურორის მიერ შეტყობინების მიღება. ეს დრო, ჩვენი აზრით, უნდა გამოანგარიშებული იქნას ფაქტიური დაკავების საათის მომდევნო საათიდან და არა ექვემიტანილის წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების საათიდან. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის შინაარსიდან, რომელიც ად-

გენს ექვმიტანილის დაკავების მაქსიმალურ ვადას — 72 საათს. მაშასადამე, დაკავების შესახებ პროკურორისათვის არადროული შეტყობინება განხილული უნდა იქნას როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევა.

დაკავების კანონიერების შესამოწმებლად პროკურორი მოვალეა პირად დაეცნოს დაკავების მთელ მასალებს, პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღება პირად მასალების შეუსწავლელად, რომლებსაც წარუდგენს მას მომკვლევი და ცნობის შემდგენი პირი, დაუშვებელია.

თუ დაკავების პირველი 24 საათის განმავლობაში შეიქმნება ექვმიტანილის პატიმრობაში შემდგომი ყოფნის აუცილებლობა, მაშინ პროკურორისათვის შეტყობინებასთან ერთად მას უნდა წარედგინოს უკლებლივ ყველა მასალა, რომლის საფუძველზეც მოხდა დაკავება.

პროკურორის მიერ დაკავების მასალების შემოწმება მიზნად ისახავს შემდეგი საკითხების გამორკვევას:

- ა) რა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით მოხდა დაკავება, ითვალისწინებს თუ არა ამ სამართალდარღვევას სისხლის სამართლის ესა თუ ის მუხლი;
 - ბ) სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლით სასჯელად გათვალისწინებულია თუ არა თავისუფლების აღკვეთა;
 - გ) არის თუ არა მასალებში საკმარისი საფუძველი დაკავებისათვის;
 - დ) შემოწმების დროს ხომ არ არის გამოსაკვლევი ის მიზეზები, რომლის გამოც ექვმიტანილი იქნა დაკავებული და მოთავსებული წინასწარი პატიმრობის საკანში;
 - ე) არის თუ არა მასალებში საკმარისი მონაცემები ექვმიტანილის დაპატიმრების ან მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არჩევისათვის;
 - ვ) დამატებით რა ფაქტები და გარემოებები უნდა იქნას გამოკვლეული აღნიშნული საკითხების საბოლოო დადგენისათვის.
- მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს დაკავების საფუძველების ამომწურავ ჩამოთვლას, რომლის განვრცობითი განმარტება დაუშვებელია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ დაკავებას მიმართავენ მაშინ, როცა ეჭვის გარდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ სხვა მონაცემები არ არის. დაკავების ვადაში წყდება საკითხი — არის თუ არა დაკავებული პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, ან თვით დანაშაულის შემთხვევა.

მილიციის ორგანოების მიერ პირის დაკავება პროკურორმა შეიძლება კანონიერად ცნოს მხოლოდ მაშინ, როცა მისთვის წარედგინოს, პროცესუალურად გაფორმებულ მასალებში, არის სულ ცოტა ერთი მანიც შემდეგი საფუძველებიდან:

- 1) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენის დროს ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით;
- 2) მოცემული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ არის დამსწრეების, მათ შორის დაზარალებულის პირდაპირი მითითებები;
- 3) ექვმიტანილზე ან მის ტანსაცმელზე აღმოჩენილი იქნა დანაშაულის აღკვეთის სახელი ან კვალი აღმოჩენილი იქნა მისი დასწრებით და მის სახლში;
- 4) სხვა მონაცემების არსებობა მოცემული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გაქცივის მცდელობის დროს, ექვმიტანილს არ გააჩნია მუდმივი სა-

ცხოვრებელი ადგილი ან სხვა მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ მის მიერ დანაშაულის ჩადენას მისი ვინაობის დაუდგენლობის დროს.

დაკავების ზემოჩამოთვლილი საფუძვლები, რომლებიც ჩამოთვლილია რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი) გულისხმობს ზოგად პრინციპულ დებულებას დაკავებული პირის დანაშაულში აშკარა მონაწილეობას (აშკარა კვალები, ფაქტზე დაკავება, დამსწრეთა პირდაპირი მითითებები და ა. შ.).

მაგრამ როგორი აშკარაც არ უნდა იყოს პირის დაკავება ფაქტზე, იგი რჩება მხოლოდ ფაქტად, რომელიც პროკურორისაგან მოითხოვს შემოწმებას და შეფასებას. მის გარეშე ფაქტზე დაკავება პროკურორმა არ უნდა მიიღოს უსიტყვოდ, ისევე როგორც არ უნდა უარყოს იგი უსაფუძვლოდ.

არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს მტკიცებულების წყაროს — „დამსწრეთა პირდაპირ მითებებს“. ყველა, ვინც იყო შემთხვევის ადგილზე როდი შეიძლება იყოს დამსწრე. მითუმეტეს, დამსწრედ არ შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც უშუალოდ არ აღიქვა ფაქტები და მოვლენები, თუმცა ახლოს იყო დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენასთან. დამსწრე — არის ის, ვინც უშუალოდ თვითონ ნახა დანაშაულის ფაქტი და არა მისი შედეგები.

კანონი ლაპარაკობს არა დამსწრის ჩვენებაზე, არამედ „მითითებებზე“, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ ეჭვმიტანილის დაკავებისათვის და მისი წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსებისათვის არ არის აუცილებლად დამსწრეთა დაკითხვის პროცესუალურად გაფორმებული ოქმი. აქედან გამომდინარეობს, რომ დაკავების კანონიერების დასაბუთებისათვის მილიციის მუშაკებს შეუძლიათ პროკურორს წარუდგინონ როგორც დაკითხვის ოქმები, ისე შესაბამისი პირების წერილობითი განმარტებები, რადგან მათი დაკითხვები, როგორც საგამომძიებლო მოქმედება უნდა ჩატარდეს დაკავების კანონით გათვალისწინებული 72 საათის განმავლობაში. ასეთი მასალების შემოწმებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს მოწმე-დამსწრეთა, დაზარალებულის დაკითხვის, აგრეთვე სხვა საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შესაძლებლობა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ მოთხოვნის დარღვევა როგორც წესი, ხელს უშლის დანაშაულის დროულად გახსნას, რადგან დაკავების მომენტში არსებული მტკიცებები ხშირად იკარგება.

პროკურორმა დაკავების შესახებ მასალების შემოწმებისას მოკვლევის ორგანოებს უნდა მისცეს მითითება პირველ რიგში იმ ფაქტების გამოკვლევის შესახებ, რომელთა შემოწმება არ ითმენს გადადებას (მომაკვდავის დაკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება გარემოების ცვალებადობის პირობებში და ა. შ.).

დამსწრეთა ჩვენებების შემოწმებას პროკურორი აფასებს ორი თვალსაზრისით — რამდენად ჭეშმარიტია თვით ფაქტიური მონაცემები და რამდენად სარწმუნოა მათი წყაროები, არის თუ არა მათში ზუსტი ცნობები იმ პირის შესახებ, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. თუ ეს ცნობები მოცემულია დამნაშავის გარეგანი ნიშნების აღწერის ფორმაში, პროკურორმა უნდა მისცეს მითითება ამოცნობის გადაუდებლად ჩატარების შესახებ.

თუ დაკავების საფუძველია ეჭვმიტანილზე, მის ტანსაცმელზე ან მის საცხოვრებელში დანაშაულის კვალების აღმოჩენა, გულდასმით უნდა შემოწმდეს წარდგენილი მასალების მთელი ერთობლიობა. სისხლის სამართლის სამართალ-

წარმოების 32-ე მუხლი არ თვლის ექვმიტანილის დაკავების სათანადო საფუძვლად მხოლოდ დანაშაულის კვალს. კანონი მოითხოვს, რომ კვალი იყოს აშკარა: პროკურორის მიერ დანაშაულის კვალების სიცხადე დგინდება იმის მიხედვით თუ რამდენად ნათელია კავშირი ექვმიტანილის დანაშაულებრივ ქმედობას, ექვმიტანილსა და მის ქცევას შორის. დანაშაულის კვალების სიცხადე პროკურორის მიერ ფასდება საბოლოოდ იმით, თუ რამდენად ნათელი და ცხადია კვალების მნიშვნელობა დანაშაულის მხილებისათვის.

პროკურორის მიერ ექვმიტანილის ჩვენებების ანალიზისას აუცილებელია გაირკვეს, შემოწმდა თუ არა მილიციის ორგანოების მიერ ის გარემოებები, რომლებზეც მიუთითებს ექვმიტანილი, როგორც ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ იგი დანაშაულში არ მონაწილეობდა. თუ ექვმიტანილი სავსებით სცნობს თავის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, მისი ჩვენებების ანალიზი საჭიროა მოხდეს ისევე დეტალურად, როგორც მაშინ, როცა იგი უარყოფს თავის ბრალს.

პროკურორი, ახორციელებს რა ზედამხედველობას ექვმიტანილის დაკავების კანონიერებაზე, შეუძლია დაჰკითხოს ექვმიტანილი. როგორც წესი, ზედამხედველობის ასეთი მეთოდები პრაქტიკაში გამოიყენება მაშინ, როცა შემოდის ექვმიტანილის საჩივარი იმის შესახებ, რომ წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსებულია უსაფუძვლოდ, ან კანონით დადგენილ ვადაზე მეტი ხნით და ა. შ.

პირადად პროკურორის მიერ ექვმიტანილის დაკითხვის ძირითადი მიზანი ის არის, რომ შეამოწმოს საჩივრის საფუძვლიანობა და მოცემული პირის წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების კანონიერება.

თუ ყველა მასალის შემოწმების შემდეგ პროკურორი მივა იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტული პირების დაკავება და წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსება უკანონოა, იგი დაუყოვნებლივ ანთავისუფლებს დაკავებულს, ხელმძღვანელობს რა რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი). კანონიერების სხვა დარღვევების (ექვმიტანილის წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების ვადების, მისი პროცესუალური უფლებების დარღვევა და ა. შ.) გამოვლინებისას. ჩვენი აზრით, პროკურორმა უნდა მოითხოვოს მილიციის ორგანოების იმ თანამდებობის პირთა წერილობითი ახსნა-განმარტებები, რომლებმაც დაუშვეს დარღვევები, აგრეთვე მოკვლევის ორგანოთა ხელმძღვანელების წერილობითი ახსნა-განმარტებები, რომლებსაც ევალებათ განახორცილონ სათანადო კონტროლი შესაბამისი თანამდებობის პირთა საქმიანობაზე. ერთდროულად პროკურორი იძლევა მითითებებს გამოვლინებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად და აყენებს საკითხს იმ თანამდებობის პირთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კანონის დარღვევაში.

მოქალაქეთა დაკავებისას კანონიერების ზემოთაღნიშნული დარღვევების დროული გამოვლინება და აღმოფხვრა მოითხოვს ზედამხედველობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას. თეორიამ და პრაქტიკამ გამოიმუშავა მთელი რიგი ხერხები და საშუალებები, რომლებიც ჰქმნიან მისი ეფექტურობის გაძლიერების გარანტიებს. ზედამხედველობის ასეთ მეთოდებს ეკუთვნის პროკურორის მიერ მილიციის ორგანოს წინასწარი პატიმრობის საკანის შემოწმება. ასეთი შემოწმებები შეიძლება იყოს არაგეგმიური და გეგმიური (კომპლექსური). ასეთი შემოწმებები გამოიხატება იმ ჟურნალის დათვალიერებით, რომელშიც აღი-

რიცხება დაკავება, თვით საკანის დათვალიერება, საუბრები, დაკავებულ პირთან დაპატიმრების მიზეზებისა და ვადების გარკვევა.

წინასწარი პატიმრობის საკანში დაკავების კანონიერების შემოწმებისას პროკურორი მოვალეა გადაწყვიტოს საკითხი დაკავების მართლზომიერების შესახებ რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი) მოთხოვნების შესაბამისად, განიხილოს შემოწმებისას შემოსული საჩივრები, მოთხოვნის კანონების გამოვლინებულ დარღვევათა აღმოფხვრა, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკანონოდ დაკავებულნი.

წინასწარი პატიმრობის საკანის შემოწმებისას ზედამხედველობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული იქნას სრული ინფორმაცია შესამოწმებელ პერიოდში მომხდარ ყველა დაკავების კანონიერებისა და საფუძვლიანობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია:

დოკუმენტების მიხედვით შემოწმდეს ყველა იმ დაკავების საფუძვლიანობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი შემოწმების მომენტიდან.

დადგინდეს, თუ წინასწარი პატიმრობის საკანში ფაქტიურად მოთავსებულ პირთა რაოდენობა რამდენად შეესაბამება დაწესებულ ლიმიტს.

შემოწმდეს დაკავების დროს ფაქტიურად ამოღებული ნივთები და ფასეულობანი რამდენად შეესაბამება დაკავებულთა პირადი ჩხრეკის ოქმს, ფულისა და ფასეულობათა მიღების ქვითრებს.

შემოწმდეს დაკავებულთა საჩივრებისა და შუამდგომლობების გადაწყვეტის ვადები და შედეგები. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ აღრიცხვის მონაცემები ყოველთვის არ მოწმობს მუშაობაში სრული წესრიგის არსებობას.

დარღვევების დროული გამოვლინებისათვის, ჩვენი აზრით, გამოყენებული უნდა იქნეს შემოწმების დამატებითი ღონისძიებები.

მაგალითად, მიზანშეწონილია წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსებულ პირთა რაოდენობის შედარება დაკავებულთა რეგისტრაციის ყურნალის მონაცემებთან, ეს მონაცემები უნდა შეედაროს დაკავებულებისათვის საჭმლის გაცემის უწყისებს, წინასწარი პატიმრობის საკანიდან დაკავებულთა განთავისუფლების დადგენილების განრიგებს, ყურნალის მონაცემებს შემოსული და გასული კორესპონდენციების შესახებ. ანალოგიური მონაცემები შეიძლება მიღებული იქნას შინაგან საქმეთა განყოფილების პასუხისმგებელი მორიგეების პატაკის გაცნობით მორიგეობის მიღება-ჩაბარების შესახებ, შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიული ცნობების გაცნობით, აგრეთვე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შტაბების ყურნალებიდან, სადაც ფიქსირებულია მილიციის ორგანოებში სამართალდამრღვევთა წარმოდგენის შემთხვევები, ძებნაში მყოფი დამნაშავეების დაკავება და ა. შ.

დაკავებულთა ზუსტი სახელობითი სიის დადგენის შემდეგ, შეიძლება გამოვლინებული იქნას წინასწარი პატიმრობის საკანში ისეთი პირები, რომლებიც არ ირიცხებიან შინაგან საქმეთა ორგანოების სააღრიცხვო დოკუმენტებში. ასეთ ვითარებაში შემდგომი შემოწმებით უნდა დადგინდეს თუ ვინ მოახდინა დაკავება, რა საფუძველზე, სად არის პირველადი დოკუმენტები.

უკანონო დაკავების ფაქტების გამოვლინებისას ყველა შემთხვევაში უნდა მიღებულ იქნეს ზომები დაკავებულის განთავისუფლებისა და იმ პირთა პასუხისმგებლობისათვის, რომელთაც ბრალი მიუძღვით პირის უკანონო დაკავებაში.

კანონიერების სხვა დარღვევები (ექვმიტანილის არადროული დაკითხვა, მისი პროცესუალური უფლებების დარღვევა და ა. შ.). უნდა აღმოიფხვრას ადგილზე, რისთვისაც თანამდებობის პირებს უნდა მიეცეთ საჭირო მითითებები და ვადა მათ შესასრულებლად. ეს მითითებები, აგრეთვე წინადადებები მილიციის კონკრეტულ ქვეგანყოფილებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილია, ფიქსირებული იქნას წინასწარი პატიმრობის საკნის შემოწმების აქტში, რაც საშუალებას იძლევა შემდგომში შემოწმდეს მათი ფიქტიური შესრულება.

ზემოთაღნიშნულ შემოწმებათა რაოდენობა, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს პროკურორმა დამნაშავეობის მდგომარეობის, დაკავების რაოდენობის გათვალისწინებით და იმის მიხედვით, თუ რამდენად გავრცელებულია უკანონო დაკავებების, აგრეთვე კანონიერების სხვა დარღვევის შემთხვევები. ასეთი ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს სისტემატურად, განსაკუთრებით დამნაშავეობის ზრდის პერიოდში, და ისეთი სისხლის სამართლის საქმეების დაგროვების, როცა დამნაშავეები არ არიან დადგენილნი.

შემოწმების ჩატარების შემდეგ პროკურორი, თუ არის ამის აუცილებლობა, გააფორმებს წერილობით წინადადებას მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის სახელზე, რათა აღმოიფხვრას გამოვლინებული ხარვეზები, შეიტანოს შესაბამისი ორგანოს უფროსზე წარდგინება მათ აღმოსაფხვრელად. ამასთან ერთად, უნდა დაისვას საკითხი დამნაშავე პირთა დასასჯელად.

დაკავების კანონიერების შესამოწმებლად, მიზანშეწონილია, ჩატარდეს აგრეთვე სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ კერძო განჩინების შესწავლა და ანალიზი.

ზოგჯერ, მოქალაქეების დაკავებისას კანონიერებისა და მათი დაკავების ვადების დარღვევები დგინდება სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან. მონაცემების შედარება, რომელიც ასახულია სამართლებრივ აქტებში დაკავების შესახებ სასამართლო ხსენების ოქმებთან, საშუალებას იძლევა გამოვლინებულ იქნეს უკანონო დაკავების ფაქტები, ან დაკავებულთა წინასწარი პატიმრობის საკანში მოთავსების ვადების ხელოვნური შემოკლება. ამ მოსაზრებით, სასურველია პროკურორმა სასამართლო პრაქტიკის გვერდითი განზოგადოებისას ყურადღება მიექციოს ამ მომენტებს.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მოკვლევის ორგანოები, დაკავებენ რა ექვმიტანილ პირს, არ აგროვებენ დაპატიმრებისათვის საჭირო მასალებს, ათავისუფლებენ დაკავებულ პირს, აღნიშნავენ რა ამის შესახებ დაკავების ოქმში, მაგრამ არ მიუთითებენ გათავისუფლების მოტივებსა და მიზეზებზე. ასეთ შემთხვევაში წინასწარი პატიმრობის საკნიდან გათავისუფლება პროკურორს არ ეცნობება.

ჩვენ ვეთანხმებით გ. მ. იასინსკის, რომ ასეთი პრაქტიკა არ უზრუნველყოფს სათანადო ზედამხედველობას მილიციის ორგანოებისადმი. დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილ პირთა უკანონო დაკავების თავიდან აცილებისათვის საჭიროა დადგინდეს წესი, რომლის დროსაც დაკავებულის გათავისუფლება მილიციის ორგანოების ინიციატივით მოხდება დაუყოვნებლივ, მაგრამ შემდეგში გამოიტანება მოტივირებული დადგენილება, რომელიც ეცნობება პროკურორს. ეს ერთის მხრივ, უზრუნველყოფს უფრო ქმედით საპროკურორო ზედამხედველობას მილიციის მუშაკების მიერ დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირის დაკავების კანონიერებაზე და მეორეს მხრივ, აამაღლებდა იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც მიმართავენ დაკავებას.



პროფაქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

3. ვაზუნია

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას.

დადგენილებაში მარქსისტულ-ლენინური კლასობრივი პოზიციებიდან არის ახსნილი ჩვენს რესპუბლიკაში პროტექციონიზმის გავრცელების მიზეზები, დასახულია ღონისძიებანი ამ მოვლენის და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად.

დადგენილებაში, კერძოდ, მითითებულია, რომ სოციალიზმისათვის შეუფერებელი ანტიპოდები — მექრთამეობა, ქურდობა საზოგადოებრივი დოვლათის მითვისება, ადამიანის ღირსების ხელყოფა და სხვა, ისჯება საბჭოთა კანონით. ამასთანავე ცხოვრებაში ჯერ კიდევ გვხვდება სოციალისტური ბუნებისათვის უცხო მოვლენები, რომელთა მიმართ გათვალისწინებული არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და რომლებსაც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტების, კომუნისტა სიფხიზლის მოდუნების, ცალკეული ხელმძღვანელების არაორგანიზებულობისა და უპასუხისმგებლობის პირობებში შეუძლიათ სერიოზული ზიანი მიაყენონ როგორც სახალხო მეურნეობას, ისე კომუნისმის მშენებლობის მორალური კოდექსის საფუძველზე ადამიანთა შეგნების ჩამოყალიბებას. სწორედ ასეთი ნეგატიური და ფართოდ გავრცელებული მოვლენაა პროტექციონიზმი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებით დაავალა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოამზადოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად წარადგინოს წინადადებები პროტექციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას რესპუბლიკის მშრომელები კმაყოფილებით შეხვდნენ. საზოგადოებაში და განსაკუთრებით იურისტთა წრეში გაიმართა აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლა იმის თაობაზე, თუ რა სახის პასუხისმგებლობა დაწესდეს პროტექციისათვის, რა ფორმით ჩამოყალიბდეს იგი, როგორი უნდა იყოს სასჯელი ამ მოქმედებისათვის და სხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი.

საკიროდ მიგვაჩნია თავდაპირველად აღვნიშნოთ, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაწესდეს ისეთი პროტექციისათვის, რომელიც ვნებას აყენებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მიჩნეული იქნება სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობად იმ შემთხვევაში, თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. იგივე აზრად

გატარებული იმავე კოდექსის 187-ე მუხლშიც. ამდენად თანამდებობის პირის ისეთი მოქმედება (ან უმოქმედობა), რომელიც სერიოზულ ან, ჩვენი კოდექსის ენით რომ ვთქვათ, არსებით ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, სისხლის სამართლის წესით დასასჯელი მოქმედებაა და, ამდენად, პროტექციის ჩამდენმა სისხლის სამართლის წესით უნდა აგოს პასუხი. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პროტექციონიზმმა დიდი ზიანი მიყენა ჩვენი რესპუბლიკის განვითარებას, უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ამ ქმედობისათვის უნდა დადგინდეს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლებრივი წესით.

უჭვი არ არის, რომ ახალი საკანონმდებლო ნორმის შექმნა ფრიად ფაქიზი და რთული საქმეა. საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა შედეგებს გამოიღებს ამ ნორმების გამოყენება, ასე ვთქვათ, ცხოვრებაში გატარება. საჭიროა ასევე გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური კანონზომიერებები, რესპუბლიკის განვითარების მოთხოვნილებები და მომავალი კანონის განხორციელებით მოსალოდნელი პრაქტიკული შედეგები. აქედან გამომდინარე, საჭიროა პირდაპირ ითქვას, რომ სისხლის სამართლებრივი წესით პასუხისმგებლობა შეიზღუდოს იმ ფარგლებით, რომლებზედაც ზემოთ იყო მითითებული. უარყოფილ უნდა იქნას ის წინადადებანი, რომლებიც მიმართულია იქით, რომ ყოველგვარი პროტექცია ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიწვევდა სისხლის სამართლის წესით დასასჯელ მოქმედებათა წრის დაუშვებელ გაფართოებას, ხელს შეუშლიდა პროტექციონიზმის დაბრალების შიშით ზოგიერთი უკანონო მოქმედების წინააღმდეგ ხმის ამაღლებას და შეიძლება ზოგ შემთხვევაში გამოიწვიოს კიდევ ამ დიდი საქმის დაწვერლანება.

ახალი საკანონმდებლო ნორმის შემუშავების პროცესში დიდი როლი ენიჭება სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მსგავს ნორმათა შესწავლასა და გამოკვლევას. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ასეთ ნორმას არ იცნობენ, მაგრამ ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვა სახით ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პროტექციონიზმისათვის.

მაგალითად, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დანაშაულს იღენს ის პირი, რომელიც მასზე მითითებით, რომ აქვს გავლენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში იღებს საქმის გადაწყვეტაში შუამავლის ფუნქციას ქონებრივი გამორჩენის მიზნით.

ამ დანაშაულის არსი, რომელსაც პოლონელი კრიმინალისტიები „ფასიან პროტექციას“ უწოდებენ, იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე იყენებს სხვადასხვა, მათ შორის არაოფიციალურ ურთიერთობებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებების მუშაკებთან, და არაოფიციალური გზით აღწევს განსაზღვრული საქმის მოგვარებას თავისი მარწმუნებლის სასარგებლოდ.

„ფასიანი პროტექცია“ არის დაწესებულებაში (სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ) საქმის მოგვარება შუამავლის განხორციელებით და გულისხმობს გამორჩენას ან ასეთი შეპირების მიღებას. ამასთან ერთად დამნაშავე მეორე პირს უნერგავს რწმენას, რომ ნამდვილ ან არსებით გავლენას მოახდენს ასეთ დაწესებულებაში ან ქმნის შთაბეჭდილებას ასეთი გავლენის არსებობის შესახებ“.

(новое уголовное законодательство зарубежных социалистических стран Европы», стр. 241).

ამ დანაშაულის ჩადენისათვის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობით დაწესებულია სასჯელის საკმაოდ მაღალი ზომა — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთი წლიდან ათ წლამდე.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში არის ნორმა, რომელსაც ეწოდება „გავლენის გამოყენება“ (მუხლი 257-ე). აქაც სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნეულია პირის ისეთი მოქმედება, როდესაც ის ანგარებით პირდება მეორე პირს მოუგვაროს რაიმე მისთვის სასურველი საქმე სახელმწიფო დაწესებულებაში თანამდებობის ან გავლენის მქონე სხვა პირის მეშვეობით. ასეთი მოქმედება იწვევს სასჯელს — თავისუფლების აღკვეთას ერთიდან ხუთ წლამდე.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში არის ნორმა „არაპირდაპირი მეჭრთამეობა“, რომლითაც დადგენილია ისეთი პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა, რომელიც ითხოვს ან იღებს გასამრჯელოს იმისათვის, რომ თავის გავლენის გამოყენებით თანამდებობის პირს შესრულებინებს სასურველ სამსახურებრივ მოქმედებას. აქვე დადგენილია იმ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც პროტექტორის მითითებულ მოქმედებათა შესრულებისათვის მისცემს, შესთავაზებს ან შეპირდება ფულს ან სხვა რაიმე ფასეულობას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის და ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ეს ნორმები ახალი არ არის. მათ იცნობდნენ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსებიც.

ეს გარემოებანი უდავოდ მიანიშნებენ, რომ პროტექციონიზმი, როგორც ბურჟუაზიული წყობის გადმონაშთი, ჯერ კიდევ არსებობს და განსაზღვრულ პირობებში შეიძლება განვითარდეს კიდევც, რის გამოც მის მიმართ ზოგ ქვეყანაში სისხლის სამართლის რეპრესიას იყენებენ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელთა საზოგადოებრივი წყობის გარდაუვალი თანამგზავრია პროტექციონიზმი და რომლისაგანაც ხსნა შეუძლებელია, ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ მის გავრცელებას. ამის დასადასტურებლად შეიძლება გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი სისხლის სამართლის კოდექსის ოფიციალური პროექტის 240-ე მუხლის მე-7 პარაგრაფის მეორე პუნქტი. „განსაკუთრებული გავლენით ვაჭრობის სხვა შემთხვევები“, სადაც მითითებულია, რომ პირი იდენს საშუალო სიმძიმის დანაშაულს, თუ იგი ცდილობს მიიღოს, ან დათანხმდება მიიღოს რაიმე ქონებრივი საზღვებლობა იმის სამაგიეროდ, რომ მან განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საჯარო სამსახურში მყოფ პირზე. იქვე განმარტებულია, რომ განსაკუთრებული გავლენა ნიშნავს შესაძლებლობას მოახდინოს გავლენა ნათესაობით, მეგობრობით ან სხვა ურთიერთობებით, სულ ერთია რა სახის გარიგებაც უნდა განხორციელდეს.

ამ მაგალითების გათვალისწინებით და იმის მხედველობაში მიღებით, რომ ჩვენში პროტექციონიზმმა გავრცელება ჰპოვა როგორც ანგარების, თვისტომობის, ქმაბიჭობის, ნათლიმამობის შედეგად იმ პირთა მფარველობამ, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კანონებს, პარტიულ და საბჭოთა დისციპლინას, კომუნისტური მორალის მოთხოვნებს და პროტექციონიზმის დანერგვა ქმნის საბჭოთა მოქალაქეთა უფლებების დარღვევის, ადამიანებში სოციალიზმისათვის მიუღე-

ბელი განწყობილებების და ორიენტაციის შექმნის შესაძლებლობებს, საჭიროა შემუშავდეს და ცხოვრებაში მტკიცედ გატარდეს სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც დააწესებენ სასჯელს არა მარტო იმ პირთათვის, რომლებიც ეწევიან პროტექციას არამედ იმათთვისაც, ვინც ამ პროტექციის შედეგებით სარგებლობენ. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ თხოვნა, თუნდაც იგი ამკარა უკანონო იყოს, თავისთავად ვერ შექმნის დანაშაულის შემადგენლობას, თუ ამას თან არ სდევს რაიმე მატერიალური ფასეულობის გაღება ან ასეთის შეპირება.

პროტექციონიზმისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ როგორც მინიმუმი ამ წრეში უნდა იყოს სამი პირი; პირველი, რაიმე საკითხის არაოფიციალური გზით მოგვარების მსურველი; მეორე, რომელიც ვალდებულებას იღებს თავისი მდგომარეობით გავლენა მოახდინოს თანამდებობის პირზე ან პირებზე და უზრუნველყოფს პირველი პირისათვის სასურველი შედეგის დადგომას; და მესამე, თანამდებობის პირი, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობათა საზიანოდ განახორციელებს პროტექციით პირველი პირისათვის სასურველი შედეგის დადგომას. უკეთეს გავყვებით ამ მოსაზრებას, აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ საკანონმდებლო ნორმა პროტექციონიზმის წინააღმდეგ უნდა შეიქმნას ჩვენს კოდექსში უკვე არსებული მოდელის მიხედვით (მხედველობაშია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189, 189¹ და 190 მუხლები). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც მოდელის არსებობა კოდექსში აადვილებს ახლად შექმნილი ნორმების გამოყენებას და კომენტირებას. ამრიგად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა გადაწყვეტილ იქნას საჭიროა თუ არა სპეციალური ნორმის შექმნა, რომლითაც დაისჯება თანამდებობის ის პირი, რომელიც პროტექციით სამსახურებრივ მოთხოვნათა საზიანოდ ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რაც არსებით ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

თუ შევეცდებით შევქმნათ ასეთი ნორმა, მასში უნდა შევიტანოთ ყველა ის ნიშანი, რაც მითითებულია 186-ე მუხლის დისპოზიციაში, ვინაიდან აქაც საქმე გვაქვს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მისი მამოძრავებელია პროტექცია. მიგვაჩნია, რომ ასეთი მუხლის ცალკე შექმნა საჭირო არ არის და შესაძლოა 186-ე მუხლის მეორე ნაწილში იქ, სადაც ჩამოთვლილია დამამძიმებელი გარემოებანი, დავმატოს სიტყვა „პროტექციით“. საკითხის ასეთი გადაწყვეტა თავიდან აგვაცილებს კიდევ ერთი ახალი მუხლის შექმნას და რაც მთავარია, იგი ორგანულად შეერწყმება 186-ე მუხლს და პრაქტიკულადაც ადვილად გამოიყენება, თავიდან აგვაცილებს გაუგებრობებს, რაც მეტნაკლებად ყოველთვის თან სდევს ახალი ნორმის ცხოვრებაში გატარებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუხლის ჩამოყალიბებას, რომელიც გაითვალისწინებს პროტექტორის პასუხისმგებლობას. დისპოზიციაში უნდა მითითებულ იქნეს, რომ პროტექციის გაწევა არის შუამავლობა თანამდებობის პირთან ვინმესთვის რაიმე უპირატესობის ან შეღავათის გაწევის მიზნით. ყოველგვარი ასეთი მოქმედება ვერ შექმნის დანაშაულის შემადგენლობას, რადგან თავისთავად პროტექტორობა, თუმცა ამორალური საქციელია, მაგრამ თუ მას შედეგი არ მოჰყვა, დასასჯელ ქმედობად ვერ გამოცხადდება. ამდენად საჭიროა ზემოაღნიშნული მოქმედება დაკავშირებულ იქნეს ანგარებასთან ან სხვა რაიმე გამორჩენასთან. ამასთან მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს იმას პრო-

ზელახელჯელოვის წესით საქმეთა განხილვის სრულყოფისათვის

ნ. ვარკიანიშვილი,

ლ. ისაბაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის საქმიანობა, ისევე როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მთელი მოღვაწეობა, მიმართულია მართლმსაჯულების მიზნებისა და იმ ამოცანათა განსახორციელებლად, რომლებიც გამომდინარეობს დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სასამართლოს მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებსა და საკასაციო კოლეგიებში საქმეთა განხილვის ხარისხი უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, შემცირდა პრეზიდიუმში ზედამხედველობის წესით პროტესტთა განხილვის რაოდენობაც. 1971 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა საკასაციო და პირველ ინსტანციაში განვილი საქმეთა 15,3 პროცენტი, 1972 წელს — 11,3 პროცენტი, 1973 წელს — 10,3 პროცენტი.

ამასთან ყურადსადება ერთი გარემოება. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შემოსულ პროტესტთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი დიდი ნაწილი (თითქმის ყოველი მეექვსე პროტესტი, 1973 წლის მონაცემებით) ან არ კმაყოფილდება ან იხსნება. ერთი შეხედვით თითქოსდა კარგი საქმე კეთდება. უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში ამ საქმეთა შემოწმებით ერთხელ კიდევ დგინდება საქმეზე გამოტანილ განაჩენისა თუ განჩინების სისწორე. მაგრამ ეს იმის მაჩვენებელიცაა, რომ პროტესტები ხშირად იწერება უსაფუძვლოდ, მეტად უმნიშვნელო სასამართლო შეცდომათა გამო. ამასთან ეს ძალზე შრომატევადი საქმიანობაა. რამდენი დრო და ენერჯია იხარჯება ამ საქმეთა გამოთხოვით, შესწავლითა და პროტესტთა დაწერით. დატვირთულია ყველა, ტექნიკური პერსონალიდან დაწყებული საქმის შემსწავლელ უმაღლეს სასამართლოს წევრამდე და კონსულტანტამდე, რომ აღარაფერი ვთქვათ ზედმეტი, უსაფუძვლო პროტესტებით თვით პრეზიდიუმის გადატვირთვაზე.

რასაკვირველია, ზუსტი და ზედმიწევნით უნაკლო ნორმების დადგენა ამ სფეროში ძნელია, მაგრამ ასე უსაფუძვლოდ საქმეების გამოთხოვა, შესწავლა და გაპროტესტება დაუშვებელია. ეს დრო უნდა იხარჯებოდეს კოლეგიებში საქმის სრულყოფილი, საფუძვლიანი და დროული განხილვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმეთა წარმოება ცხადყოფს, რომ საგრძნობლად შემცირდა დაუსაბუთებელ გამამტყუნებელ განაჩენთა და განჩინებათა გამოტანის შემთხვევები. მსჯავრდებულის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო პრეზიდიუმმა შარშან გააუქმა 6 განაჩენი და განჩინება 7 პირის

მიმართ. მიუხედავად ამისა, რომ ეს მონაცემები არც ისე დიდია, მაინც ყოვლად მოუთმენელია უსაფუძვლო მსჯავრდების ეს ერთეული შემთხვევებიც.

სიღნაღის რაიონის სახ. სასამართლოს 1973 წლის 25 თებერვლის განაჩენით ვ. ვოიტოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 107-ე მუხლით და შეეფარდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. კოლეგიის განჩინებით განაჩენი ვ. ვოიტოვის მიმართ უცვლელი დარჩა.

პრეზიდიუმმა გააუქმა აღნიშნული განაჩენი და განჩინება და საქართველოს სსრ სსკ მე-15 მუხლის თანახმად საქმე წარმოებით შეწყვიტა, რადგანაც ვ. ვოიტოვის მოქმედება მართლზომიერი იყო და დანაშაულს არ წარმოადგენდა.

წარმოებით შეწყვიტა პრეზიდიუმმა აგრეთვე ლ. ციგრიაშვილის სისხლის სამართლის საქმე, რომლის ქმედობა დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ო. ციგრიაშვილმა ათი თვე უკანონოდ დაჰყო პატიმრობაში.

ზოგჯერ სასამართლო კოლეგიები, განიხილავენ რა პროტესტებს და საკასაციო საჩივრებს, ზერელედ სწავლობენ საქმის მასალებს, მტკიცებულებებს. ჯერ კიდევ გვხვდება უსაფუძვლო განჩინების გამოტანის შემთხვევები. აუქმებენ ან ცვლიან რა ქვემდგომი სასამართლოების განაჩენებსა თუ განჩინებებს, არ ასაბუთებენ მათ უსწორობას, არ მიუთითებენ რა კანონი დაირღვა და რაში გამოიხატა იგი. სათანადოდ არ არის გაანალიზებული მტკიცებულებები, საქმეში არსებული მასალები და დამატებით წარმოდგენილი მასალები.

ქ. თბილისის კირთვის სახ. სასამართლოს 1972 წლის 28 დეკემბრის განაჩენით მ. მიქოიანს საქართველოს სსრ სსკ 234-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1973 წლის 17 იანვრის განჩინებით გაუქმდა ზემოაღნიშნული განაჩენი და მ. მიქოიანის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა.

კოლეგიამ საქმის შეწყვეტა იმით დაასაბუთა, რომ „მიქოიანი სათანადო ორგანოების მიერ მხოლოდ ერთხელ იყო დაკავებული და გაფრთხილებული. სსკ 234-ე მუხლით კი პირი შეიძლება მიცემული იქნეს პასუხისგებაში მხოლოდ ორჯერ გაფრთხილების შემდეგ“.

კოლეგიამ მიქოიანის მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტის დროს იხელმძღვანელა არა მოქმედი კანონით, არამედ ძალდაკარგული კანონით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულებით¹ სსკ 234-ე მუხლში შეტანილია ცვლილება და ამ მუხლით პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი არ არის, რომ პირი განმეორებით იქნეს გაფრთხილებული. მთავარია დადგინდეს, რომ იგი სისტემატურად ეწეოდა მაწანწალობას. ეს კი საქმის მასალებით დადასტურებული იყო. ამგვარად კოლეგიამ უკანონოდ შეწყვიტა საქმე.

პრეზიდიუმმა გააუქმა კოლეგიის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისათვის გადასცა იმავე კოლეგიის სხვა შემადგენლობას.

თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლოს 1973 წლის 19 ივლისის განაჩენით რ. გოზალიშვილს საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კოლეგიის 1973 წლის 10 აგვისტოს განჩინებით რ. გოზალიშვილის დანაშა-

¹ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1970, № 5, მუხ. № 76.

ულებრივი ქმედობა სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილის ნაცვლად დაკვალიფიცირდა სსკ 241² მუხლით.

თ. გოზალიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებული იყო საქმის მასალებით, მისი დანაშაულებრივი ქმედობა სასამართლო კოლეგიამ სწორად დაკვალიფიცირა სსკ 241² მუხლით, ამასთან კოლეგიამ არ იმსჯელა გოზალიშვილისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულების „სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ მეორე მუხლის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. საქმეში იყო მისი ინვალიდობის ცნობა. ამ დოკუმენტზე სახალხო სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება. კოლეგიის მიერ ქმედობის გადაკვალიფიცირების შემდეგ, ამ ცნობამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა გოზალიშვილის მიმართ ამნისტიის შესაფარდებლად.

პრეზიდიუმმა გააუქმა განაჩენი და განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაგზავნა სახალხო სასამართლოში.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ლ. ხუბულურს მსჯავრი დაედო სსკ 238 მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კოლეგიის 1973 წლის 2 ივლისის განჩინებით განაჩენი ხუბულურის მიმართ ძალაში დარჩა, მაშინ, როდესაც ფაქტიურად სისხლის სამართლის კოლეგიამ საჩივრის საკასაციო წესით განხილვისას განაჩენში შეიტანა ცვლილება — საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის შესაბამისად ლ. ხუბულურს სასჯელი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობით და იგი გადასცა კოლმეურნეობის გამგეობას შემდგომი აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

პრეზიდიუმმა 1973 წლის 23 ნოემბრის დადგენილებით გააუქმა ეს განჩინება და საქმე საკასაციო წესით ხელახლა განსახილველად გადასცა კოლეგიის სხვა შემადგენლობას.

ქ. გორის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 22 დეკემბრის განაჩენით ბ. წიკლაურს მსჯავრი დაედო სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კოლეგიამ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა. ამავე დროს მიუთითა, თითქოს განაჩენით ბ. წიკლაურს მისჯილი აქვს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ნაცვლად ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთისა. პრეზიდიუმმა 1973 წლის 2 მარტის დადგენილებით გააუქმა ეს განჩინება და საქმე გადასცა კოლეგიის სხვა შემადგენლობას ხელახლა განსახილველად.

ჯერ კიდევ გვხვდება საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეცდომები შედეგია არა საქმეების სიძნელისა და ნორმატიული აქტების გაუგებრობისა, არამედ მოსამართლეთა უყურადღებობისა.

ასე მაგალითად, ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1973 წლის 30 მაისის განაჩენით გ. მამედოვს მსჯავრი დაედო 241 მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი ძალაში დატოვა კოლეგიამ 1973 წლის 13 ივლისს. პრეზიდიუმმა გააუქმა განაჩენი და განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადასტურებული იყო, რომ მა-

მედოვმა არ იცოდა ქართული ენა და ამიტომ მას თარჯიმანი ჰყავდა დანიშნული. საბრალდებო დასკვნა კი მამედოვს ქართულ, ე. ი. მისთვის გაუგებარ ენაზე ჩაბარდა. ამასთან საკასაციო კოლეგიაში მისი საქმის მოსმენის დღე არც მან და არც მისმა ადვოკატმა არ იცოდნენ. ეს საქმე განიხილეს საქართველოს სსრ სსსკ მე-15, 42-ე და 345-ე მუხლების დარღვევით.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1973 წლის 25 მაისის განაჩენით მ. მეგრებიანს 110-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1973 წლის 25 ივნისის განჩინებით განაჩენი შესწორდა იმ მხრივ, რომ მ. მეგრებიანს მოესხნა სსკ 110-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება და მისი ქმედობა დაკვალიფიცირდა სსკ 115-ე მუხლის I-ლი ნაწილით, სასჯელის ზომად განესაზღვრა ერთი წლის ვადით შრომა-გასწორებითი მუშაობა, შეეფარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულება „ამნისტიის შესახებ“ და სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლდა. საქართველოს სსრ სსსკ 364-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო კოლეგიას არ ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა საკითხი განაჩენით დადგენილ დამამტკიცებელი საბუთების უტყუარობის ან არაუტყუარობის და ზოგიერთი დამამტკიცებელ საბუთთან შედარებით სხვა საბუთების უპირატესობის შესახებ.

პრეზიდიუმმა გააუქმა ეს განჩინება და საქმე გადასცა კოლეგიის სხვა შემადგენლობას ხელახლა განსახილველად.

კანონი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებები ზუსტად განსაზღვრავენ სასამართლოთა უფლებამოსილებას საქმის დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების, აგრეთვე სამართალში მიცემისა და სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე საქმეთა დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას ყოველგვარი უყურადღებობისა და შექანკურ მიდგომათა დაუშვებლობის შესახებ. მაგრამ საზედამხედველო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ არის სერიოზული დარღვევები ამ მიმართებით, რასაც თან სდევს სასამართლო სამსჯავრო სხდომიდან დამატებით გამოძიებაში საქმეთა დაბრუნება ან უსაფუძვლო და უკანონო განაჩენთა დადგენა, მეორე მხრივ კი საქმის განხილვის გაჭიანურება, რაც გავლენას ახდენს დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურობაზე.

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს 1973 წლის 29 მაისის განაჩენით მ. ბერაძეს სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. კოლეგიამ განაჩენში შეიტანა ცვლილება რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში.

როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების დროს მ. ბერაძემ თავი არ ცნო დამნაშავედ, მან კატეგორიულად უარყო შემთხვევის ადგილზე ყოფნა და დააყენა ალიბის საკითხი.

წინასწარი გამოძიების დროს ალიბი არ შემოწმებულა. წინააღმდეგობები იყო დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებებში. საყურადღებო იყო ისიც, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფ მოქალაქეთაგან, რომელსაც შეეძლოთ უფრო ობიექტურად გადმოეცათ საქმის გარემოებები, არც ერთი არ იყო დაკითხული.

პრეზიდიუმმა საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

პრეზიდიუმმა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად გავზავნა გ. ჯანჭარაძის, ა. საბაგვისა და ვ. ბორტიშვილის საქმე, რადგან გამოძიების მასა-

ლებით არ იყო დასაბუთებული თუ რატომ იქნა განხილული მსჯავრდებულთა ქმედობა თაღლითობად. გამოძიებამ აქცენტი გადაიტანა ქმედობის თაღლითურ ხერხზე, მხედველობიდან გამოტოვა ის ფაქტი, რომ ჩადენილ დანაშაულში თანაბარი მდგომარეობის სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

სასამართლოები და კოლეგიები ზოგჯერ არასწორად აბრუნებენ საქმეებს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. მთელ რიგ განჩინებებში არ არის მითითებული თუ რა გარემოებანი უნდა გაირკვეს დამატებითი გამოძიებისას, რა საგამოძიებო მოქმედებანია შესასრულებელი. ზოგჯერ გამოძიების წინაშე აყენებენ ისეთ საკითხებს, რომელთა ამომწურავი შემოწმება სამსჯავრო სხდომაზე არ სცილდება სასამართლოს შესაძლებლობის ფარგლებს.

ასე მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1972 წლის 18 სექტემბრის განჩინებით გ. ჩიკვილაძისა და ი. შარაბიძის ბრალდების საქმე, დაკვალიფიცირებულ სსკ 188-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაუბრუნა საქართველოს სსრ პროკურატურას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. განჩინებაში არ იყო მითითებული თუ რით იყო გამოირიცხული მათი მონაწილეობა სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებაში, იყო თუ არა საფუძველი მათ მიმართ სხვა ბრალდების წასაყენებლად. ამასთან კოლეგიას არ ჩაუტარებია სრულყოფილი სამსჯავრო გამოძიება, არ შეუმოწმებია წინასწარი გამოძიების მიერ შეკრებილი მასალები. პრეზიდიუმმა საქმე არსებითად განხილვისათვის კოლეგიის სხვა შემადგენლობას გადასცა.

კოლეგიამ დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად გ. ჭავჭავაძის სისხლის სამართლის საქმეც.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს განჩინებით ჭავჭავაძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მან თავის მეზობელს განზრახ მკვლელობის მიზნით დანიტ მიაყენა ორი ჭრილობა გულმკერდისა და მუცლის არეში და რადგან დაზარალებულის ყვირილზე გამოცვივდნენ მისი ოჯახის წევრები მსჯავრდებულმა თავისი განზრახვა ბოლომდე ვერ მოიყვანა.

სასამართლო კოლეგიამ განჩინებაში აღნიშნა, რომ დამატებითი გამოძიების დროს დეტალურად და კრიტიკულად უნდა შემოწმებულიყო მსჯავრდებულ ჭავჭავაძის ვერსია დაზარალებულ შეწირულის მიერ კარების შემტვრევისა და მის ბინაში შეჭრის შესახებ. დასაზუსტებელი იყო იცოდა თუ არა ჭავჭავაძემ რომ შეწირული მივიდოდა სახლში ღამის პირველ საათზე და ამასთან რა მიზეზით და რა განზრახვით მიაყენა შეწირულს სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობები. სასამართლო კოლეგიის მიერ მითითებული ყველა საკითხი დადგენილი იყო და ამის გამო განჩინებამ კონკრეტულად არ მიუთითა გამოძიებას თუ რა დამატებითი გარემოებანი უნდა გამოერკვია მას და რა საგამოძიებო მოქმედება ჩატარებია.

დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას აქვს განსაკუთრებული იურიდიული და სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა. არასწორმა კვალიფიკაციამ შესაძლოა გამოიწვიოს არა მარტო უსწორო სასჯელის დანიშვნა, არამედ სხვა უსაფუძვლო სამართლებრივი შედეგების დადგომაც (ნასამართლობა, რეჟიმის განსაზღვრა, ამნისტიის გამოყენება ან გამოუყენებლობა, ქონების კონფისკაცია, სხვა სამოქალაქო — სამართლებრივი შედეგები და ა. შ.). ამიტომ სრულიად მოუთმენელია, როდესაც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები შეცდომას უშვებენ კვალიფიკაციაში, ხოლო საკასაციო კოლეგიები საქმეთა განხილვისას არა თუ

ასწორებენ ქვემდგომი სასამართლოების შეცდომებს, არამედ თვითონაც უშვებენ შეცდომებს.

საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქმედობის კვალიფიკაციაში შეცდომები დაშვებულია დანაშაულებრივი ქმედობის განსაზღვრის, მიზნის, მოტივის, შინაარსისა და მიმართულების არასაკმარისი გამოკვლევით. ყოველთვის არ ანსხვავებენ გაუფრთხილებელ და განზრახ ბრალს. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში 1973 წელს დაკმაყოფილებული პროტესტების 21,4 პროცენტი არასწორ კვალიფიკაციას ეხება.

ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ნ. გოგოლაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

კოლეგიამ მისი ქმედობა გადააკვალიფიცირა 228-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელის ზომად შეუფარდა ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა.

საქმის მასალებიდან ნათლად ჩანდა, რომ მსჯავრდებულის მოქმედება გამოირჩეოდა უადრესად დიდი ცინიზმით და განსაკუთრებული თავხედობით, მოქმედების უხამსობითა და უსირცხვილობით, განსაკუთრებული შლეგობით და მოურიდებლობით. ამგვარად, კოლეგიამ საქმის მასალის სათანადო ანალიზისა და შეფასების გარეშე დააკვალიფიცირა გოგოლაძის დანაშაულებრივი ქმედობა სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით.

პრეზიდიუმმა გააუქმა კოლეგიის განჩინება და საქმე გადასცა ხელახლა განსახილველად კოლეგიის სხვა შემადგენლობას.

სახალხო სასამართლოები და კოლეგიები ყოველთვის არ ითვალისწინებენ, რომ თანაზომიერი და სამართლიანი სასჯელის დანიშვნა ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, ბრალდებულის პიროვნებისა და საქმის ყველა სხვა გარემოებათა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოების გათვალისწინებით, წარმოადგენს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპულ დებულებას, მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდისა და ახალ დანაშაულობათა თავიდან აცილების ქმედით საშუალებას.

ასპინძის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. ოთარაძეს სსკ 169-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა ერთი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კოლეგიის განჩინებით მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე იმავე ვადით შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ა. ოთარაძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ, მუშაობდა რა სოფ. ვარძიის მაღაზიის გამგე — გამყიდველად, 1972 წლის 1 სექტემბერს მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა 12 მან. და 87 კაპიკი.

საქმის მასალებით მისი ბრალდება დადასტურებული იყო, მაგრამ მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოება, რომ ოთარაძეს კმაყოფიან ჰყავდა 9 სული, ცოლი და 8 არასრულწლოვანი შვილი, რომელთაგან უფროსი 14 წლის იყო, ხოლო უმცროსი ერთი წლისაც არ იყო, ე. ი. გამოირიცხული იყო რომ მისი ცოლი შეძლებდა შვილების მოვლის გარდა სხვა სამუშაოს შესრულებას ოჯახის სარჩენად.

პრეზიდიუმმა მის სასჯელის ზომად განუსაზღვრა სავაჭრო ორგანიზაციაში მუშაობის უფლების ჩამორთმევა 5 წლის ვადით.

სასამართლოები და კოლეგიები ზოგჯერ არ ითვალისწინებენ ამა თუ იმ დანაშაულის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას და მსჯავრდებულებს უფარდებენ ლობიერ სასჯელებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1973 წლის 7 მაისის განაჩენით ვ. ჯავახიშვილს სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით შეეფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 46-ე მუხლის საფუძველზე შეეცვალა პირობითად 1 წლის საგამოცდო ვადით. სასამართლო კოლეგიამ 46-ე მუხლის გამოყენება დაასაბუთა იმით, რომ ის პირველად იყო სამართალში და დადებითად ხასიათდებოდა.

სასჯელის განსაზღვრისას კოლეგიამ არ გაითვალისწინა დანაშაულის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება, კერძოდ ის, რომ ჯავახიშვილი სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სისტემატურად ჩადიოდა დანაშაულს, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი. ასეთ პირობებში სასამართლო კოლეგიას არ უნდა გამოეყენებინა სსკ 46-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები.

პრეზიდიუმმა საქმე ხელახლა განხილვისათვის გადასცა კოლეგიის სხვა შემადგენლობას.

ისევ გვხვდება შეცდომები რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში. ეს საკითხი იმდენად გარკვეულია საქართველოს სსრ სსკ 25-ე მუხლით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1972 წელი, № 8, მუხლი 162) და მთელი რიგი სახელმძღვანელო მითითებებით (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილება, 1961 წლის 31 ივლისის № 10 დადგენილება, 1963 წლის 3 ივლისის № 11 დადგენილება და სხვ.), რომ ასეთი შეცდომები მხოლოდ მოსამართლეთა უყურადღებობით (თუ მეტს არ ვიტყვი) უნდა აიხსნას.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოს 1973 წლის 8 თებერვლის განაჩენით ვ. პატარაშვილს სსკ 180-ე მუხლის I ნაწილით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ეს განაჩენი 1973 წლის 3 აპრილის განჩინებით ძალაში დარჩა. საქართველოს სსრ სსკ 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით მსჯ. პატარაშვილს სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის კოლონიაში დაუნიშნა.

თუმცა დიდი დრო გავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულებას „თავასუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და შრომითს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1970 წ. № 24 მუხლი 204) გამოცემიდან, სახალხო სასამართლოებს მაინც მოსდით შეცდომები ამ ბრძანებულების გამოყენებისას, ხოლო კოლეგიები არა თუ ასწორებენ ამ შეცდომებს, არამედ ზოგ შემთხვევაში თვითონ მოსდით ანალოგიური შეცდომები.

ეს იმდენად ადგილმოსავარებელი საკითხია, რომ მსგავსი შეცდომები სახალხო სასამართლოებში და მით უმეტეს კოლეგიებში არ უნდა გვხვდებოდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა მიყენებული ზარალის ანაზღაურ-



რების საკითხს. ეს ინსტიტუტი იცავს და აღადგენს საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციის ან ცალკეულ პირის დარღვეულ ქონებრივ უფლებებს. შემთხვევითი როდია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1964 წლის 28 მაისის № 6 დადგენილებაში „დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილებაში „სასამართლო განაჩენის შესახებ“, 1972 წლის 11 ივლისის № 4 დადგენილებაში „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ არა ერთი სახელმძღვანელო მითითება მისცა სასამართლოებს ამ საკითხზე. მიუხედავად ამისა, მთლიანად არ არის აღმოფხვრილი კანონისა და პლენუმის სახელმძღვანელო მითითებების დარღვევის შემთხვევები.

თეთრიწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 17 ნოემბრის განაჩენით დ. სიკიაშვილს მსჯავრი დაედო სსკ მე-100 მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან დაეკისრა 5750 მან. გადახდა სოფ. ბორბალოს კოლმეურნეობის სასარგებლოდ.

1972 წლის 11 იანვრის განჩინებით განაჩენი ძალაში დარჩა. 1973 წლის 18 მაისის № 134 დადგენილებით პრეზიდიუმმა განაჩენი და განჩინება სამოქალაქო ნაწილში გააუქმა და მიუთითა: სასამართლომ გადაწყვიტა რა კოლმეურნეობის სამოქალაქო სარჩელი, არ გაითვალისწინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულების „კოლმეურნეობის ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ მოთხოვნა. ამ ბრძანებულებით კოლმეურნეობის ქონების დაზიანების შემთხვევაში, კოლმეურნეობა ყველა შემთხვევაში ღებულობს დაზღვევის საზღაურს. სახდაზღვევა უფლებამოსილია გადახდილი თანხა იძიოს ზიანის უშუალო მიმყენებლისაგან — დ. სიკიაშვილისაგან, მაგრამ სახდაზღვევის ამ უფლების განხორციელებას ზღუდავს სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო ნაწილში, რომლითაც მთელი თანხა სიკიაშვილს დაკისრებული აქვს კოლმეურნეობის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში განაჩენი სიკიაშვილის მიმართ სამოქალაქო ნაწილში უნდა გაუქმდეს და სარჩელი ღიად დარჩეს.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი ასწორებდა რა ქვემდგომი სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომებს, ხელს უწყობდა მათი მუშაობის ხარისხის ამაღლებას. სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი მთელი რიგი მნიშვნელოვანი და სადავო საკითხები გადაწყვეტილი იქნა მაღალ პრინციპულ დონეზე.

მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდიუმი ყოველთვის დროულად არ ასწორებდა პირველ და მეორე ინსტანციის მიერ დაშვებულ შეცდომებს, ზოგჯერ უსაფუძვლოდ არ აკმაყოფილებდა ან აკმაყოფილებდა პროტესტებს, რის გამოც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებანი ცალკეულ საქმეებზე უქმდებოდა ან იცვლებოდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმების მიერ.

მაგალითად ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1963 წლის 6 აგვისტოს განაჩენით ა. კონტრაძეს სსკ 241-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა 1 წლით გამასწორებელი მუშაობა, რაც სსკ 46-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალა პირობითად და საგამოცდო ვადად განესაზღვრა 2 წელი. 1963 წლის 19 აგვისტოს კოლეგიის განჩინებით განაჩენი ძალაში დარჩა.

1973 წლის 30 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზი-

დიუმმა გააუქმა კოლეგიის განჩინება და საქმე გაავზავნა ხელახლა განსახილველად საკასაციო კოლეგიაში.

საკასაციო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა. საქართველოს სსრ პროკურორი თავის პროტესტით ითხოვდა საქმის წარმოებით შეწყვეტას, პრეზიდიუმმა არ გაიზიარა პროტესტი.

საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის I ნაწილის (1960 წლის რედაქცია) დისპოზიციით ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ პირმა რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას მოძრაობის წესების დარღვევით შეჰქმნა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის საფრთხე. საქმის გარემოებანი კი არ იძლეოდა ამის საფუძველს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა საქმე წარმოებით მოსპო კონტრიბის ქმედებაში დანაშაულებრივი ნიშნების არარსებობის გამო.

პრეზიდიუმმა ზოგჯერ სწორად არ იქცეოდა, როცა ცვლიდა განჩინებასა და განჩინებებს სასჯელთა განსაზღვრის ნაწილში იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც საქმეთა გარემოების გათვალისწინებით სწორად იქნენ გასამართლებულნი, ხანმოკლედ იხდიდნენ სასჯელს და სსკ 357-ე მუხლიდან გამომდინარე შეფარდებული სასჯელი არ იყო თავისი ზომით აშკარა უსამართლო როგორც მსუბუქი, ან როგორც მკაცრი.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ნ. ქურდაძეს მსჯავრი დაედო სსკ 165-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულებების შესაბამისად ჩაეთვალა პირობით იმავე ვადით და გაივზავნა სამუშაოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მითითებულ ადგილას. განაჩენი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1973 წლის 17 აგვისტოს განჩინებით ძალაში დატოვა.

პრეზიდიუმის დადგენილებაში აღინიშნა: საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ქურდაძის მოქმედებაში არის სსკ 165-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, მაგრამ ამასთან ერთად ცხადია, რომ მისი მოქმედება ატარებდა შემთხვევით ხასიათს, ის არასოდეს მსგავს და სხვა სახის დანაშაულის ჩადენაში შემჩნეული არ ყოფილა, არის დაბალი განათლებით, მუშაობდა დამლაგებლად, ხასიათდებოდა დადებითად, ქმარშვილიანია, მისი ოჯახი განიცდის მატერიალურ სიღატაკს, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება შუამდგომლობდა შემდგომი აღზრდის მიზნით ქურდაძის კოლექტივისათვის გადაცემას, ამიტომ არ იყო აუცილებელი 45 წლის ასაკს გადაცილებული ქალის, ნ. ქურდაძისათვის ისეთი სასჯელის განსაზღვრა რაც ფაქტიურად მოწყვეტავდა მას ოჯახს.

კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის განსაკუთრებულ გარემოებად არ ითვლება 45 წლის ასაკი, ან განათლების ცენზი.

მნიშვნელოვანია პრეზიდიუმის დადგენილებათა ხარისხის საკითხიც.

პრაქტიკა და მეცნიერება ყოველთვის უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა ე. წ. პრეცედენტის თეორიის მიმართ. თვით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი კონკრეტულ საქმეებზე არ წარმოადგენს სამართლის წყაროს, მაგრამ საზედამხედველო ინსტანციების მიერ გამოტანილი დადგენილებანი ამა თუ იმ საქმეზე შესაძლებლობას იძლევა განემარტოთ სახალხო სასამართლოებს და კოლეგიებს როგორ უნდა გამოიყენონ ესა

თუ ის სამართლებრივი ნორმის, შეავსონ კანონის ხარვეზი და ა. შ. ამასთან, როდესაც პრეზიდენტის დადგენილებით საქმე ბრუნდება სახალხო სასამართლოში თუ კოლეგიაში ხელახლა განსახილველად ეს დადგენილება კონკრეტული საქმის განხილვისას სახელმძღვანელო დოკუმენტად ითვლება სახალხო მოსამართლეებისა და კოლეგიის წევრებისათვის. სახალხო მოსამართლე იქნება ის თუ კოლეგიის წევრი უნდა სწამდეს მართლმსაჯულების ამ აქტისა და მასში ეჭვს არ უნდა იწვევდეს დადგენილების საფუძვლიანობა. პრეზიდენტის დადგენილება უნდა იყოს საქმის ღრმა ანალიზის, კანონის სწორი გამოყენებისა და ზუსტი ფორმულირების ნიმუში. ის უნდა პასუხობდეს საქართველოს სსრ სსსკ 392-ე და 363-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, მასში უნდა აღნიშნოს კანონის რომელი მუხლებია დარღვეული, რაში გამოიხატება დარღვევა ან რაში მდგომარეობს განაჩენის თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა, აგრეთვე რა უნდა გაკეთდეს საქმის დამატებით გამოძიებაში გადაგზავნისას ან საქმის ხელახლა განხილვისას. ამიტომ მათი საფუძვლიანი, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენა ყოველი მომხსენებლის აუცილებელი ვალია. თუ დადგენილებაში სათანადო ყურადღება არ მიექცევა კანონიერების შემოწინებას, მათ საფუძვლიანობას, თუ მასში სრულად არ იქნება ჩამოყალიბებული საქმის გაპროტესტების მოტივებ — ეს ხელს შეუშლის საზედამხედველო ინსტანციებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებასა, ერთიანი კანონის შეფარდების უზრუნველყოფას. ზოგიერთი დადგენილება კი ჯერ კიდევ არ პასუხობს ამ მოთხოვნებს.

ერთ-ერთი საჭირობორბო საკითხია დადგენილებათა გამართული, სწორი ენით წერა. აზრი ზუსტად და გასაგებად უნდა გამოიხატოს, უნდა ვებრძოლოთ საკანცელარიო, ბიუროკრატიულ ენას. იურისტები შიშობენ არ დაიკარგოს დოკუმენტის სტილი და ამიტომ დადგენილებაში ხშირად გვხვდებით დვლარჭნილ სტილს. ხშირია ტაგტოლოგია: „უშუალო მხილველი“, „აგინა უცენზურო სიტყვებით“, „მკვდარი გვამო“ და სხვ. გვხვდება მცდარი და ყურისთვის უხეშად მოსასმენი იურიდიული ტერმინოლოგია: „საბრალდებულო“, „საგამომძიებლო“, „მტკიცებულობა“ და სხვ. ბრწყინვალე ქართულ იურიდიული ტერმინოლოგიის, აგრეთვე ორთოგრაფიული ლექსიკონების არსებობისას სრულიად მოუთმენელია ამ ტერმინთა აღრევა და ასე დამახინჯებულად დაწერა.

იქნებ პრეზიდენტის დადგენილებებში არსებულ ნაკლოვანებათა (დადგენილებათა ხარისხი, მათი დროული გაფორმება) აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდენტში დანერგილიყო რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტის პრაქტიკა. მომხსენებლები წინასწარ ადგენენ დადგენილების პროექტს. სხდომის დაწყებამდე დადგენილების პროექტი ბარდება პრეზიდენტის ყველა წევრს, რომელთაც საქმის განხილვის მსვლელობაში შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებების მიხედვით შეიტანონ პროექტში შენიშვნები და შესწორებანი.

ზედამხედველობის წესით საქმეთა გადასინჯვის ინსტიტუტის მნიშვნელობა

საქმის სწორად გადაწყვეტასა და ქვემდგომი სასამართლოებისადმი ზემდგომი სასამართლო ინსტანციების ხელმძღვანელობაში მუდამდება. ეს ორი ამოცანა ურთიერთკავშირშია და პრაქტიკულად ერთდროულად ხორციელდება.

ამასთან, ცალკეულ საკითხთა გარკვევისათვის, ნაკლოვანებათა დროულად ვადაწყვეტის და გამოცდილებათა გაზიარების მიზნით, პრაქტიკაში წამოჭრილ ცალკეულ სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის ყოველთვის აუცილებელი და მიზანშეწონილი არ არის პლენუმის სახელმძღვანელო მითითებანი. აქ უკვე პრეზიდენტმა უნდა თქვას თავისი სიტყვა.

პრეზიდენტის სხდომებზე წყდება და იხილება ისეთი ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს სასამართლო ორგანოების ყველა ინსტანციებში მართლმსაჯულების სწორ განხორციელებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა 1973—74 წლებში.

კოლეგიის მუშაობის სტილისა და მისი შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობაზე მართლმსაჯულების აღმზრდელობითი ზემოქმედების ეფექტურობისა და უმაღლესი სასამართლოს წევრების, აგრეთვე მათდამი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ძირეულად გარდაიქმნა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სტრუქტურა: ორ ინსტანციად დაქუცმაცებულ რგოლებიდან შეიქმნა გამსხვილებული, თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი კოლეგიის შემადგენლობანი. თითოეულ შემადგენლობას ჰყავს თავმჯდომარე და 5 წევრი, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას პირველ და საკასაციო კოლეგიაში.

სასამართლოებში არსებულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თითოეული წევრი გაპიროვნებულია სახალხო სასამართლოებზე. ყოველი კვარტალის ბოლოს ისინი ადგილზე მისვლით ეხმარებიან სახალხო მოსამართლეებს.

პრეზიდენტზე ყოველთვიურად იხილება მოქალაქეთა მიღებისა და მათ ვანცხადება-საჩივართა განხილვის გაუმჯობესების საკითხი. ახლა იშვიათად გვხვდება საჩივართა და საქმეთა გაჭიანურების შემთხვევები. პრეზიდენტი თავის დადგენილებებით მეტად ქმედითად და მომთხოვნელობით აყენებს საკითხს და მიაქცევს იმ წევრთა და კონსულტანტთა ყურადღებას, რომლებიც დაგვიანებით იხილავენ და წყვეტენ საქმეებს თუ საჩივრებს.

ზედამხედველობის წესით საჩივართა განხილვის გასაუმჯობესებლად და ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოში ერთი და იგივე მოქალაქეებისაგან მრავალჯერ შემოსულ საჩივართა განხილვის სპეციალური (კომისიური) შემადგენლობა.

მიღებულია სპეციალური დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და კონსულტანტების სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სპეცემინარებს ხელმძღვანელობას უწევენ კოლეგიის თავმჯდომარეები. უმაღლესი სასამართლოს წევრებსა და კონსულტანტებს დაევალით მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ იურიდიული კვალიფიკაციის ამაღლებას.

სასამართლო კოლეგიების შემადგენლობები სისტემატურად აბარებენ ანგარიშს პრეზიდენტს.

სასამართლოების მიერ კანონის ერთიანი და სწორი გამოყენების თვალსაზ-

რისით პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება და გეგმით გაითვალისწინა ცალკეული კატეგორიის საქმეთა შესწავლა-განზოგადება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი მნიშვნელოვანი საქმეების შესწავლა-განზოგადებას, როგორცაა თანამდებობრივი დანაშაული, მექრთამეობა, უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება, მოქალაქეთა ზომა-წონაში მოტყუება და სხვ.

მიმდინარე წლის თებერვალში უმაღლესი სასამართლოში ჩამოყალიბდა პრეზიდენტისა და პლენუმის სამდივნო. სამდივნოს ჩამოყალიბება მიზნად ისახავს პრეზიდენტის მაკონტროლებელი როლის გაზრდას კოლეგიების, შემადგენლობებისა და თითოეული წევრის საქმიანობაზე, იმის გარკვევას და გაანალიზებას თუ რა სახის შეცდომები გვხვდება სასამართლოებისა და კოლეგიების მუშაობაში, რა არის ძირითადად ამ შეცდომების მიზეზი, რით შეიძლება ამ შეცდომების თავიდან აცილება და გამოსწორება. პრეზიდენტის პრაქტიკის ანალიზიც ამ საქმიანობის პირველი ცდაა.

საჭიროა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტმა ყოველგვარი ზომები იხმაროს მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, უსაფუძვლოდ არ გააუქმოს ან არ შეცვალოს სასამართლოს გადაწყვეტილებანი, რეაგირების გარეშე არ დატოვოს მატერიალური და პროცესუალური კანონის არასწორი გამოყენების შემთხვევა, რათა გაიზარდოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტის როლი რესპუბლიკაში მართლმსაჯულების სწორად და განუხრელად განხორციელებაში.

ნუ შევხვლით მახინჯებს პაპიოზული კრიზისიკით

პროფ. გ. ნაღარაიშვილი

ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კვლევა, ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ნაკლებად გაშუქებული საკითხების ღრმად შესწავლა ქართველი მეცნიერების საპატიო ამოცანაა.

1927 წელს ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა: „...ურბნელის გარდა არცერთ იურისტს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა თავის სპეციალობად არ აურჩევია. შესაძლებელია ეს გარემოება იმიტად აიხსნებოდეს, რომ სამართლის ისტორიკოსი უნდა ერთსადაიმავე დროს იურისტიცა და ფილოლოგოს-ისტორიკოსიც იყოს, რაც, რასაკვირველია იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ხოლმე“¹.

დღეს, თუმცა კვლავ არის ქართული სამართლის ისტორიის კვლევის შემოხსენებული სიძნელები, ბევრი ისტორიკოსი და იურისტი მუშაობს მეცნიერების ამ სფეროში. ცხადია, ყველა მათგანის მეცნიერული პროდუქცია ალბათ არ არის მეცნიერების შენაძინი, მაგრამ ქართული სამართლის ისტორიის კვლევის საქმე თანდათანობით წინ მიიწევს. სახელმწიფოს და სამართლის ისტორიაში მაღალხარისხიანი ნაშრომების შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა ისეთი მეცნიერული და ამხანაგური, პრინციპული კრიტიკის აღმოსაფერვლად შექმნა, რომელიც მეცნიერ მკვლევარებს დახმარება მუშაობაში. ამის გარეშე ვერც მეცნიერება იარსებებს.

სამწუხაროდ, კრიტიკა და თვითკრიტიკა ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების სფეროში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი. თვითკრიტიკის წესით მინდა აღვნიშნო, რომ მეც და ზოგიერთი სხვა პირიც, თავს ვარიდებთ კვლევის, მეგობრის მეცნიერული პროდუქციის პირუთვნელ კრიტიკას იმ იმედით, რომ ამას სხვა ვინმე უჩვენოდაც გააკეთებს.

ვფიქრობთ, პირუთვნელი კრიტიკა არა თუ უგულვებელყოფს, არამედ გულისხმობს კი-

დეც მეცნიერის პატივისცემას. ადამიანისათვის მეტის მოთხოვნა მისი პატივისცემის გამოსატულეზად უნდა ჩავთვალოთ, როგორც ამას ა. მაკარენკო ამბობდა.

ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიისა და საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მკვლევარი, ისევე როგორც საერთოდ ისტორიკოსი, მარტო საკუთარი ქვეყნის ისტორიას კი არ უნდა იცნობდეს, არამედ მეზობელი ქვეყნების ისტორიასაც. სამწუხაროდ, ზოგიერთი მკვლევარი და პედაგოგი ამ მარტივ და თავისთავად გასაგებ მოთხოვნას უგულვებელყოფს.

ამ თვალსაზრისით, ჩვენ გვინდა ზოგიერთი აუცილებელი შენიშვნა გავაკეთოთ იმ, ჩვენი აზრით, ნამდვილად მცდარი მოსაზრებების შესახებ, რომლებსაც არ შეიძლება გვერდი ავუაროთ. ამასთანავე, ამჯერად ჩვენი ამოცანა არ არის რომელიმე მკვლევარის ნაშრომის ვრცელი რეცენზია. ჩვენ მხოლოდ გაკვრით ვეხებით ზოგიერთი ავტორის ზოგიერთ მცდარ დებულებას.

პროფ. ვ. აბაშმაძე, მაგალითად თავის ნაშრომში — „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“² ასეთ დებულებას გვთავაზობს:

„შუა საუკუნეები, რომლის მთელ პერიოდში, აღორძინების ეპოქამდე, რელიგია გაბატონებულ იდეოლოგიას წარმოადგენდა, იცნობს მრავალ საეკლესიო კრებას, როგორც ადგილობრივი ისე მსოფლიო მნიშვნელობისას, მაგრამ ყველა ამ კრებას ესწრებოდა მხოლოდ სასულიერო პირებისაგან შემდგარი ვიწრო არისტოკრატია“. რუს-ურბნისის საეკლესიო კრებას 1108 წელს სასულიერო ფეოდალებთან ერთად საერო ფეოდალებიც ესწრებოდნენ. ამასთან დაკავშირებით პროფ. ვ. აბაშმაძე შენიშნავს: „წარმომადგენლობით რუს-ურბნისის კრება ფეოდალიზმის ისტორიისათვის საერთოდ უჩვეულო მოვლენაა“².

არსებობს თუ არა რაიმე საფუძველი ასეთი

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 7.
² ვ. აბაშმაძე, „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1969, გვ. 30. ეს წიგნი არსებითად ავტორის სადოქტორო დისერტაციის პუბლიკაციაა, ვინაიდან ამჟამად მისი დეტალური რეცენზირება არ შეადგენს ჩვენს ამოცანას, ნაშრომის დადებით მხარეებს არ ვხეხებით.



კატეგორიული მტაცებისათვის? რა თქმა უნდა, არა.

მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია არ აღსატურებს ვ. აბაშაძის მოსაზრებას. პროფ. ვ. აბაშაძეს რომ მეზობელი სომხეთის ისტორიკოსთა რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის მაინც მიეჭვია ყურადღება, ასეთ მიუღებელ მოსაზრებას არ შემოგვთავაზებდა. შუა საუკუნეების სომხეთში სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო საეკლესიო კრებებზე საერო ფეოდალების დასწრება. ისტორიკოს ვ. ა. აკოფიანის სიტყვით სომხეთში «Согласно свидетельствам первоисточников, в церковных соборах вместе с духовенством принимали участие и представители светских господствующих слоев общества»².

სამშობლოს ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა გარკვეული თვალსაზრისით, იმდენად რამდენადაც იგი „პატრიას“ — მამულს, სამშობლოს ენება, მაგრამ მას უსაფუძვლო პატრიოტულ რიტორიკოსთან არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს.

განიხილავს რა რუის-ურბნისის ძეგლისწერას, პროფ. ვ. აბაშაძე წერს:

„ძეგლისწერის ავტორის საკანონმდებლო საქმიანობის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იგი იცნობს და იყენებს ბევრ ისეთ სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის რღვევის ეპოქაში ჩამოყალიბდა და იგი უფსოა შუა საუკუნეების ეპოქის სამართლისათვის. რუის-ურბნისის ძეგლის წერას წითელი ზოლივით გახედვს ჰუმანური სამართლებრივი დებულება, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ ახლადდადგენილი სამართლებრივი ნორმები არ ვრცელდება იმ ფაქტებზე, მოვლენებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ სამართლებრივი ნორმის გამოქვეყნებამდე. ეს პროგრესული სამართლებრივი პრინციპი, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იყო ცნობილი XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, ყველაზე ნათლად მოჩანს ძეგლის წერის მეთოთხმეტე მუხლით დადგენილ სამართლებრივ ნორმაში“³.

ავტორს მხედველობაში აქვს საეკლესიო კრე-

ბის დადგენილება ე. წ. კადეს-კადე გეორგიანთა კურთხევის აკრძალვის შესახებ. კანონმდებლის სიტყვით, „რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეტეებისათვის; ხოლო უკეთუ აწ სადმე იპოვნონ ვინმე ეგვიეთარნი, იგინი სჯულიერად ცოლქმრად ნუმცა შერაცხილ არიან“⁴.

მოტიანილი ციტატის მიხედვით შეიძლება სადავო გავხადოთ ტექსტის აბაშაძისეული გაგება, მაგრამ, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მკვლევარს კანონის ტექსტი სწორადა აქვს გაგებული.

ამ შემთხვევაში მართლაც ისეა საქმე, როგორც ამას პროფ. ვ. აბაშაძე გვიხატავს თუ არა? ნუთუ შუა საუკუნეების ბიზანტიაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ან სხვაგან სადმე არ იცნობდნენ, ავტორის სიტყვით რომ ეთქვამს, „იმ ჰუმანური სამართლებრივ დებულებას“, რომ „სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ ახლადდადგენილი სამართლებრივი ნორმები არ ვრცელდება იმ ფაქტებზე, მოვლენებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ სამართლებრივი ნორმების გამოქვეყნებამდე“?

ეს „ჰუმანური სამართლებრივი დებულება“ ცნობილი იყო დასავლეთ ევროპაში ხსენებულ საუკუნეებში და უფრო ადრეც.

გამოჩენილი მეცნიერი ნ. ს. ტაგანცევი აღნიშნავდა: ის დებულება რომ «все юридические отношения, действия и события, возникшие или установившиеся до момента вступления нового закона в силу, им не могут быть нормированы, а подлежат действию прежних законов», ახალი არ არისო; სახელგანთქმული მკვლევარი იმის შესახებაც გარკვევით მიუთითებდა, რომ «подобная формулировка давно уже установилась в законодательстве, начиная еще с римского...»⁵.

მასხალამე, დასავლეთი ევროპა არა თუ ფეოდალიზმის რღვევის ეპოქამდე, არამედ მონათმფლობელური რომის კანონმდებლობიდან მოყოლებული იცნობდა სამართლებრივ დებულებას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ახლადდადგენილი ნორმები არ ვრცელდება იმ ფაქტებზე, მოვლენებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ სამართლებრივი ნორმების გამოქვეყნებამდე.

² В. А. Акопян, Армянская книга канонов и ее редакции. Ереван, 1967, стр. 5—6.
³ ვ. აბაშაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ. 365.
⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, დღე. № 6, გვ. 120-121.
⁵ Н. С. Таганцев, Русское уголовное право. Лекции, ч. общая, том I, СПб. 1902, стр. 260.



ავიღოთ. მაგალითად ბიზანტიაში იმპერატორ იუსტინიანეს მიერ წმინდა წიგნის გამოცემული XXXI ნოვედა, რომელიც სამოქალაქო სამართლის საკითხებს აწესრიგებს. ამ სახეობით ნათლად არის გამოკვეთილი ის „მუშანური სამართლებრივი დებულება“, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ ახლად დადგენილი ნორმები არ ვრცელდება იმ ფაქტებსა, მოვლენებზე და ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ სამართლებრივი ნორმის გამოკვეთებამდე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს ავიწყდება ის, რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლის მიერ „ახლად დადგენილი სამართლებრივი ნორმები“, ვთქვათ, სისხლის სამართლებრივი ხასიათისა, სასჯელის ღონისძიებებს ამსუბუქებდა წინანდელ შესაბამის ნორმებთან შედარებით, სრულიად არ იქნებოდა მუშანური არ შეგვეფარებინა იგი „იმ ფაქტებისა, მოვლენებისა და ურთიერთობებისათვის“, რომლებიც წარმოიშვა უახლესი სამართლებრივი ნორმების გამოკვეთებამდე.

საბჭოთა სოციალისტური სისხლის სამართლის მიხედვითაც კანონებს, რომლებიც სრულიად აუქმებს სასჯელის ღონისძიებათა შეფარდებას ამათუ იმ ქმედობისათვის ან ამსუბუქების მათ, უკუტყვევითი ძალა აქვს.

პროცესუალური სამართლის ნორმებს რომ უკუტყვევითი ძალა აქვს, ეს სადავო არ არის არავისთვის.

ასე რომ, რუსი-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერა და კერძოდ მისი მე-14 მუხლი არავითარ საფუძველს არ იძლევა „პატრიოტული“ ტრადიციისათვის. ავტორს კარგად რომ ჩაეხედვა სამართლის ისტორიის მონაცემებში, შემოადინებულ შეცდომა არ მოუვიდოდა.

ავტორი წერს: „ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევები ცხადყოფს, რომ მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ ჩამოთვლილი აბსოლუტიზმის იდეებისა და მისი შესაბამისი პოლიტიკური დაწესებულებების ჩამოყალიბებისათვის საქარო გარემოებები XII საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა.“⁶ პროფ. აბაშმაძე თვლის, რომ ნიკო ბერძენიშვილისა და შოთა მესხიას ნაშრომების მიხედვით, რომლებზედაც უთითებს როგორც ზემოხსენებული მოსაზრების საფუძველზე, XII საუკუნის საქართველოში არსებობდა, როგორც ის ამბობს, „მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ ჩამოთვლილი აბსოლუტიზმის იდეებისა და მისი შესაბამისი პოლიტიკური დაწესებულებების

ჩამოყალიბებისათვის საქარო გარემოებები...“.

აკად. ნიკო ბერძენიშვილის წერილში „პ. კაკაბაძის „დავით მერვე“, რომელზეც ვ. აბაშმაძე მიგვითითებს, ნათქვამია, რომ: „მე-18 საუკუნის დამდგენისათვის ფეოდალურმა საქართველომ სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო. ამიტომაც, რომ ფეოდალური საქართველოს ისტორიის მონაკვეთს მე-18 საუკუნიდან მოკიდებული გვიანდელმდურნი ხანა ეწოდება.

ეს გვიანდელმდურნი ხანა საქართველოში მეტისმეტად ხანგრძლივი იყო და ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ ის მხოლოდ მე-19 საუკუნეში შეცვალა.“⁷

გამოჩენილი ისტორიკოსის ნ. ბერძენიშვილის საფუძვლიანი მოსაზრებით, როგორც ეს ზემოთ ციტირებული მისი წერილიდანაც ჩანს, XIII საუკუნის დამდგენისათვის საქართველოში, თუმცა სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაღალი დონე იყო მიღწეული, მაინც ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობის რღვევა და „ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნა არ იყო დაწყებული. საქართველოს „შემდგომი განვითარება“ (მეცამეტე საუკუნის დამდგენის მომდევნო ხანა იგულისხმება) შეიძლებოდა — კაპიტალიზმის გზით წარმოეთქმულიყო. ცხადია, რომ ნ. ბერძენიშვილის აზრით XII საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა გვიანდელმდური საზოგადოება. იგი მხოლოდ XIII საუკუნიდან იწყება და XIX-მდე გრძელდება. მას როგორც მოხდა, რომ XII საუკუნის საქართველოში პროფ. ვ. აბაშმაძემ „აბსოლუტიზმის იდეებისა და მისი შესაბამისი პოლიტიკური დაწესებულებების ჩამოყალიბებისათვის საქარო გარემოებების“ არსებობა „აღმოაჩინა“.

კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ნაშრომთა მიხედვით აბსოლუტიზმი მონარქია მარტო მეფის შეფუძლებულ ხელისუფლების არსებობას როდი ნიშნავს. ფრ. ენგელსის აზრით ისტორიაში გვხვდება ისეთი პერიოდები... „როცა მერძოლი კლასები ძალთა ისეთ წონასწორობას აღწევენ, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ამ ორივე კლასის მიმართ ერთგვარ დამოუკიდებლობას იძენს როგორც მოჩვენებითი შუამავალი მათ შორის. ასეთია XVII და XVIII საუკუნეების აბსოლუტიზმი მონარქია, რომელიც

⁶ ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ. 252.
⁷ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, გამოც. „მეცნიერება“, თბილისი, 1971, გვ. 293.



თავდაუნაურობასა და ბურჟუაზიას შორის წონასწორობას ამყარებს⁸.

ცხადია, XII საუკუნის საქართველოში არავითარი აბსოლუტიზმის იდეებისა და მისი შესაბამისი პოლიტიკური დაწესებულებების ჩამოყალიბებისთვის საჭირო გარემოებები არ არსებობდა. რაც შეეხება ბურჟუაზიასა და თავდაუნაურობას შორის ძალთა წონასწორობას, ცხადია, არავის აზრად არ მოუვა, ამტკიცოს, რომ XII საუკუნის საქართველოში ასეთი რამ სახეზე იყო.

XII საუკუნის საქართველოში არათუ „აბსოლუტიზმის შესაბამისი პოლიტიკური დაწესებულებების ჩამოყალიბებისათვის საჭირო გარემოებები“ არ იყო, არამედ ჭირ კიდევ სტადიალურად გვიანფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბება არ დაწყებულიყო. აბსოლუტიზმი მონარქია წარმოიშობა მხოლოდ გვიანფეოდალური საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე (და არა მის დაწყებობის სტადიაზე), როდესაც მებრძოდ კლასებს შორის — თავდაუნაურობასა და ბურჟუაზიას შორის გარკვეული წონასწორობა მყარდება. ფრიდრიხ ენგელსის აზრით, რომლის მოსაზრებებსაც ვ. აბაშმაძე ფორმალურად იზიარებს, აბსოლუტიზმის მონარქიას ვხვდებით გვიანფეოდალური საზოგადოების ისეთ საფეხურზე, როდესაც საზოგადოების ბურჟუაზიულად განვითარების საქმე შორისა წასული, ამგვარად, XII საუკუნის საქართველოში აბსოლუტიზმის შესაბამისი „პოლიტიკური დაწესებულებების ჩამოყალიბებისათვის საჭირო გარემოებები“ არ არსებობდა, როგორც ამის შესახებ ვ. აბაშმაძე წერს.

ვ. აბაშმაძე, სამწუხაროდ, ისტორიულ წყაროს ზოგჯერ ისეთ განმარტებას აძლევს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. მოვიყვანო ასეთ მაგალითს.

თამარ მეფის ანონიმი ისტორიკოსის ცნობით „უთლუ-არსლან, ცხოვარმან ჭირის სახედორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონების მჰაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგამად ველსა ისანისასა და სანახებსა სადოდბლისასა და თქუა: „დასხდომილი მუნ შიგა; განმგებელნი მიცემისა და მოდებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰყადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და რედოფალსა; მა-

შინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“⁹

მეტურტლუთუხუცესის ანუ ფინანსთა მინისტრ უთლუ-არსლანის გამოსვლის შესახებ ამ ძუნწი ცნობის გარდა სხვა არაფერი გაგვაჩნია. თანაც ისტორიკოსის თხზულების ტექსტი დამახინჯებული სახით არის ჩვენამდე მოღწეული. ადგენილი სახით ტექსტის შინაარსი აკად. ივანე ჯავახიშვილს ასე აქვს გაგებული: უთლუ-არსლანმან, ცხვარმა, ჭირის სახედორი ბუნების გამოჩენელმა, — როგორც ეს ნაბიჭვრის გონების მჰაკუარებას შეჭვრის, — რაღაც სპარსთაგანი წესის შემოღებმა მოითხოვა, რომ ისნის ველს, საგოდბლის სანახებში კარავი დადგმოლიყო, და თანაც განაცხადა: იქ, იმ კარავში დამსხდარი მიცემის და მოდების, წყალობისა და შერისხვის გამგებელნი ვიყოთ, შემდეგ ჩვენი გადაწყვეტილება თამარს — მეფესა და რედოფალს ვაცნობოთ ხოლმე და მაშინ (ან იქ) ჩვენი გადაწყვეტილება ასრულებულ იქმნესო¹⁰.

რა თქმა უნდა, თამარის ისტორიკოსის მიერ ძუნწად მოწოდებული ცნობის გაგების საკითხში აკად. ივანე ჯავახიშვილს დაეჭვება.

ამ ცნობის საფუძველზე კი ვ. აბაშმაძეს ასეთი დასკვნა გამოაქვს: „რაც შეეხება უთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამას, იგი მიზნად ითახავს არა მარტო პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნას, არამედ რაც მთვარია, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებას საკანონმდებლო — სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად და თითოეული მათგანის გადაცემას მკვეთრად დაპირისპირებული კლასებისათვის, კერძოდ ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასებისა და მის მიმართ მტრულად განწყობილი შესაძენი წოდებისათვის“¹¹.

ასეთი შორს მიმავალი დასკვნის გამოტანისათვის მემატანიის ზემოთ ციტირებული ძუნწი ცნობა, რომელსაც ავტორი ეყრდნობა, არავითარ საფუძველს არ იძლევა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, უთლუ-არსლანის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ „მეფის უფლება საქართველოში სრულებით უნდა შეზღუდულიყო“; „მას (მეფეს) მხოლოდ აღმასრულებლობითი უფლება რჩებოდა. უმაღლეს დაწესებულებას „კარავში დასხდომილთ“ კი სრული უფლება ენიჭებოდა: მათ ექმნებო-

⁸ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, თბილისი, 1950, გვ. 386.

⁹ ქართლის ცხოვრება, ტომი II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 30-31.

¹⁰ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფ, 1929, გვ. 27.

¹¹ ვ. აბაშმაძე, ნარკვევები, გვ. 427.



აღმაინს შენგედულები შეცვლას ვერ ვუსაყვედურებთ, მაგრამ აზრის შეცვლის ფაქტი და მისი ჭეშმარიტი მოტივაცია არ უნდა დავშალოთ. 1969 წელს ვ. აბაშმაძე წერდა: „სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია, ყველგან, სადაც კი წარმოიშობა იგი ფეოდალიზმის ეპოქაში, მესამე წოდების კლასობრივი ინტერესების გამოხატავლია...“¹⁶.

ავტორი ფიქრობდა, რომ ხელისუფლების დანაწილების თეორია „ყველგან ანტი-ფეოდალური შინაარსის მატარებელია და მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს“.¹⁷ ეს აზრიც დღეს მოძველებულად უნდა ჩაითვალოს, ამაში თვით ავტორიც დაგვთანხმება, რამდენადაც ეს მის მიერ 1972 წელს გამოქვეყნებული ბროშურის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ.

ჩვენი აზრით, სხვა დროს მოგვეცემა შესაძლებლობა ვილაპარაკოთ ზოგიერთ ავტორთა ნაშრომების შესახებ რუსთველის პოემასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე უკვე გამოთქმულიცაა გარკვეული და ვფიქრობთ, სამართლიანი მოსაზრებებიც. მაგრამ აქ არ შეიძლება არ მივუთითოთ, რომ ვ. აბაშმაძე რუსთველის განდიდების სურვილს და ორიგინალური აზრის გამოთქმის წყურვილს იქამდე მიყავს, რომ ჩვენს სასახლო პოეტს ისეთ რამეს მიაწერს, რაზედაც მას, რამდენადაც „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შეიძლება ამის შესახებ მსჯელობა, საერთოდ არ უფიქრია. მაგალითად, ვ. აბაშმაძე წერს, ვეფხისტყაოსანში მოცემულია ბრალის ცნების განსაზღვრა.¹⁸ ხსენებული მოსაზრების დასაბუთება საერთოდ შეუძლებელია და ეს ჩვენმა ავტორმა ვერც მოახერხა.

ნუთუ XII საუკუნეში მცხოვრები დიდი ქართველი პოეტი ვალდებული იყო თავის მხატვრულ ნაწარმოებში მოეცა „ბრალის ცნების განსაზღვრა?“ მართალია, როგორც დ. უზნაძე იტყვოდა, ცნება ჩვენი ცნებითი აზროვნების ძირითად ფორმას წარმოადგენს, მაგრამ პოეტურ თხზულებაში იქ არარსებული ბრალის ცნების განსაზღვრება არ უნდა ვეძებოთ.

ფორმალურ ლოგიკაში ცნების მოცულობას უწოდებენ — ამა თუ იმ ცნების შემცველ ნიშნთა ერთობლიობას. იქნებ ვინმემ საყვედური კადროს რუსთაველს იმიტომ, რომ მას თავის პოემაში ბრალის ცნების მოცულობა არ მოუტყავ?

სამწუხაროა, რომ ვ. აბაშმაძე ხავერდით სერიოზულად ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ

რუსთველის გმირებმა — „ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ფეოდალური მონარქიის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს დასმარები თვერ შეტლეს მთავარი საზრუნავს—უგზო-უკვლოდ დაარგული ნესტან-დარეჯანის კვალის მოძებნა. პოლიტიკურად მოღუწებული, წყნარი და შედარებით კონსერვატიული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა უძლური აღმოჩნდა ამ ამოცანის გადასაჭრელად“ (ის. ვ. აბაშმაძე. დიდი პოეტის პოლიტიკური მოძღვრება. „იესკარი“ № 3, 1968, გვ. 82). ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი ციტატა ვრცელ კომენტარს არ საჭიროებს. ავტორი გვარწმუნებს, რომ რუსთველის გმირებმა „ფეოდალური მონარქიის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს დასმარებით“ ვერ შეტლეს ნესტან-დარეჯანის კვალის მიგნება. მართლაც რომ „ძლიერი“ ყოფილა ხსენებული სახელმწიფო. ამავე დროს ავტორს მომდევნო წინადადებაში ხსენებული „ფეოდალური მონარქიის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო“ მიაჩნია პოლიტიკურად მოღუწებულ, წყნარ და შედარებით კონსერვატიულ ფეოდალურ სახელმწიფოებრიობად.

არაბებმა და მონღოლებმა „ფეოდალური მონარქიის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს დასმარებით“ უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრეს, მაგრამ ჩვენი ავტორისთვის ამახ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ნუთუ „წყნარი“ და „პოლიტიკურად“ მოღუწებული სახელმწიფოებრიობა“ ედო საფუძვლად დიდ დაპყრობის ომებს? ნუთუ ძლიერი სახელმწიფოს ძაღლონეს აღმატებოდა უგზო-უკვლოდ და-კარგული ნესტან-დარეჯანის კვალის მიგნება?

ვ. აბაშმაძის აზრით „შოთა რუსთაველი საზოგადოებაში სახელმწიფოს წარმოშობასაც ღმერთს უკავშირებს“ (იქვე, გვ. 81) რა საბუთი გააჩნია ავტორს ასეთი მოსაზრებისათვის? მხოლოდ ის, რომ რუსთველის სიტყვით ღვთისგან „არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერთა“.

შოთა რუსთველს, თუ მისი პოემის მიხედვით ვიმსჯელებთ, საერთოდ არ უფიქრია საზოგადოებაში სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემაზე. უფრო გასაკვირველია ავტორის სიტყვები:

„რუსთველი ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს საზოგადოებასა და სახელმწიფოს და ფიქრობს, რომ სახელმწიფო საზოგადოების დიდ უწრავ-ღვსნობაზე ბატონობის ორგანო არ არის, იგი ღმერთმა შექმნა საზოგადოებასთან ერთად და ამიტომ მთელი საზოგადოების ინტერესთა შე-

¹⁶ ვ. აბაშმაძე, ნარკვევები... გვ. 424.
¹⁷ იქვე, გვ. 440.
¹⁸ ვ. აბაშმაძე, შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები, მნათობი, № 1, 1966, გვ. 161;

სამაზისად უნდა საქმიანობდეს. XII საუკუნის უაღრესად განვითარებული ქართული სახელმწიფოებრიობის გამოცდილებას თეორიული განსჯადობის შედეგად შოთა რუსთაველი აუღიბებს წინაბუჩუაზიული ეპოქისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოსაზრებას სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“ („ციცქარი“ № 8, 1966, გვ. 61).

მაშასადამე, ავტორის აზრით, რუსთველმა ერთი მხრივ საზოგადოებაში სახელმწიფოს წარმოშობა დმერთს დაუკავშირა, მეორე მხრივ სახელმწიფოსა და საზოგადოებას ერთმანეთისაგან „არ ანსხვავებდა“. მაშ როგორ მოხდა, რომ ვ. აბაშაძის მოსაზრებით ვეფხისტყაოსნის ავტორი აუღიბებს „წინაბუჩუაზიული ეპოქისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოსაზრებას სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ?“

მოსაზრვნი, რომელიც სახელმწიფოს და საზოგადოებას ერთმანეთისაგან „არ ანსხვავებდა“, შოთა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ „უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოსაზრებას“ როგორ გამოთქვამდა?

ჩვენ ეჭვი არ გვპარება, რომ ვ. აბაშაძეს რუსთველის განდიდების სურვილი ამოძრავებს, მაგრამ სურვილი ერთია, ხოლო მეცნიერული ჭეშმარიტება — მეორე.

არსებობს საშიშროება, რუსთველის უსაფუძვლო ჭებამ ზიანი მიაყენოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, დიდი პოეტი წერდა:

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა — მტრისა ვუფრთხის,
შემოყვრება, მოცინარობს“.

გაკვრით გვინდა განვიხილოთ ზოგიერთი დებულება ვ. აბაშაძის ნაშრომისა „სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა“ (თბილისი, 1973 წ. გამომც. „საბჭოთა საქართველო“). ცხადია, ასეთ თემაზე დაწერილ ბროშურაში ავტორს მიიწევს და მაინც პატრიოტული რიტორიკა თვალს ვერ დაუბნელებდა ჭეშმარიტების კვლევის გზაზე.

ბროშურაში — „სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა“ — ვ. აბაშაძე გვთავაზობს დებულებას, რომ ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის პოლიტიკური მსოფლმხედველობა თავისი შინაარსით პროგრესული ხასიათისა იყო

და რომ იგი მხოლოდ „ათენის უკიდურესი დემოკრატიის“ წინააღმდეგ გამოდიოდა (გვ. 48-49). ავტორის აზრით „დემოკრატიის ცნებაში სოკრატე გულისხმობდა უკიდურეს დემოკრატიას, მმართველობის სწორედ ისეთ ფორმას, რომელიც ათენის სახელმწიფოში არსებობდა“ (გვ. 51).

წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ ვ. აბაშაძის შემოხსენებული ნაშრომის გამოხვლა ჩვენ საერთოდ უარყოფით მოვლენად არ მიგვაჩნია და შენიშვნებს მხოლოდ იმ მიზნით ვაკეთებთ, რომ ბროშურის გაცნობის დროს მკითხველმა ისინი მხედველობაში მიიღოს.

ვ. აბაშაძე, როგორც ვნახეთ, ფიქრობს, რომ სოკრატეს (469-399) დროს ათენში არსებობდა „უკიდურესი დემოკრატია“, და ასეთ „უკიდურეს დემოკრატიას“ ავტორი უარყოფით მოვლენად თვლის. მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ ათენში ძვ. წ. V საუკუნეში ზედმეტი დემოკრატია ყოფილა. ფორმალურად ამ დროს ათენში ძალაუფლება დემოსის, ხალხის ან უფრო ზუსტად ხალხის უმრავლესობის ხელში იყო, მაგრამ ეს „უმრავლესობა“ ფაქტობრივად ათენის მთელი მოსახლეობის დაახლოებით ოც პროცენტს თუ შეადგენდა.¹⁹ ქალებს — ათენის მოქალაქეებს, მეტეკებს (ბერძნული და არა ბერძნული თემებიდან ათენში გადმოსახლებულ თავისუფალ ადამიანებს), აგრეთვე მონებს პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ.²⁰ ასეთი კლასობრივად შეზღუდული სახე გააჩნდა ათენის დემოკრატიას. ასე, რომ გამოთქმამ „უკიდურესი დემოკრატიის“ შესახებ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი. ვ. აბაშაძის აზრით „პლატონის და არისტოტელეს მიერ შემუშავებული იდეალური სახელმწიფოს პროექტები სოკრატეს მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებად უნდა იქნეს მიჩნეული“ (გვ. 60) ავტორს მოეხსენება, რომ პლატონის პოლიტიკურ მოძღვრებას არ თვლიან პროგრესულად.

ცნობილ საბჭოთა მეცნიერს ა. ლოსევს, ძველი ბერძნული ფილოსოფიის და ლიტერატურის დიდ მცოდნეს, გამოჩვეული და ვფიქრობთ, საიმედო დადგენილიც აქვს, რომ სოკრატეს უსაფუძვლოდ დებდნენ ბრალს არისტოკრატიზმში და დემოკრატიის მიმართ მტრულ განწყობილებაში. ამასთან დაკავშირებით ა. ლოსევი წერს, რომ „სინამდვილეში სოკრატე აკრიტიკებდა მმართველობის ყველა ფორმას — მონარქიას, ტირანიას, არისტოკრატიას, პლუტოკრატიას და დემოკრატიას, თუ ისინი დამ-

¹⁹ იხ. История древней Греции. Издание второе, дополненное и исправленное под ред. В. И. Авдиева, А. Г. Бокшанина и Н. Н. Пикуса, М., 1972, стр. 196.

²⁰ იქვე.

ყარებული იქნებოდნენ უსამართლობაზე²¹. ამავე დროს, სახელმწიფო, სოკრატეს აზრით, აუცილებელია, მხოლოდ პოლიის სამართლიანობის ბაზაზე უნდა იდგეს. ამ თვალსაზრისით, როგორც ა. ლოსევი აღნიშნავს, სოკრატე ერთმანეთს უპირისპირებდა უმრავლესობის უზნეო, აბლა-უბდა აზრს და ერთის საუკეთესო მოსაზრებას. ლოსევი წერს, რომ «Сократ возражал против выборной системы лишь потому, что выборы сами по себе отнюдь не обеспечивают, по Сократу, появление лучших людей у власти»²². — მასაშადმე, სოკრატე მხოლოდ იმიტომ იყო წინააღმდეგი არჩევნების გზით თანამდებობათა დაკავებისა, რომ არჩევნები ვერ უზრუნველყოფენ ხელისუფლების სათავეში საუკეთესო ადამიანების მოხვედრას.

ვ. აბაშიაძე კი წერს: „სოკრატე სრულებითაც არ მოითხოვს დემოკრატიული წყობილების არისტოკრატიულით შეცვლას, არამედ იგი იბრძვის წინააღმდეგ დემოკრატიული წყობილების აღსადგენად და უკიდურესი დემოკრატიის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად“²³. თუ თავს დავანებებთ თავისებურად გაგებულ „უკიდურეს დემოკრატიას“, მაშინ ყველაფერი ეს უფრო დალაგებულად და კარგად გამოთქმული აქვს ა. ლოსევს, რომელიც წერს: «Глубоко чувствуя разложение афинского государства, Сократ, однако, верил в возможность возродить его героическое прошлое»²⁴. სოკრატეს რომ ძველი, ე. ი. გმირული წარსულის აღდგენა სურდა, ცხადია, მაგრამ საკითხავია: რამდენად იქნებოდა პროგრესული და გონივრული ძველის აღდგენა ახალ ვითარებაში? ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ, როგორც ვ. აბაშიაძე ამბობს, სოკრატეს უნდოდა „წინააღმდეგ დემოკრატიული წყობილების“ აღდგენა. განა სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა „თავისი შინაარსით პროგრესული ხასიათისა“ იქნებოდა იმიტომ, რომ მას ეს უნდოდა? ცხადია, რომ არა. სოკრატესადმი, როგორც მოაზროვნისადმი, პატივისცემამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის შეფასებაში.

სულ სხვა საკითხია, რომ სოკრატე ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში რჩება, როგორც ღრმა და დამოუკიდებელი მოაზროვნე, როგორც ჭეშმარიტების უანაგრო მაძიებელი.

ვ. აბაშიაძე წერს, რომ სოკრატეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ „იგი არ ცნობს ღმერთებს, რომელთაც აღიარებს სახელმწიფო, და სურს სხვა, ახალი ღმერთების შემოღება“ (გვ. 19). ვარდა ამისა ფილოსოფოსს ბრალს ედებდნენ ახალგაზრდობის გარყვნაში. ავტორს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სწორი იყო თუ არა ასეთი ბრალდებები დიდი ფილოსოფოსის მისამართით.

ავტორი, როგორც ჩანს, არ იცნობს ჰეგელის მართებულ მოსაზრებებს სხენებულ საკითხზე. მის ერთერთ თხზულებაში ეს საკითხები დეტალურადაა განხილული. სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობის მკვლევარს უფლება არა აქვს ჰეგელის ნაკალმარს გვერდი აუაროს²⁴. ჰეგელის აზრით სოკრატე ის გმირი იყო, რომელმაც ნაცვლად დედლოს ღმერთის ჩვენებისა დაადგინა პრინციპი: ადამიანმა თავის თავში უნდა ჩაინახოს, რომ იცოდეს რა არის ჭეშმარიტებაო. რადგანაც ეს თქმა თვით პითიას მიეწერებოდა, ეს ნიშნავდა ვადატრიალებას ბერძნულ სულში, გადატრიალებას, რომლის არსიც ის იყო, რომ ორაკულის ადგილი ახლა თითოეული მოაზროვნე ადამიანის საკუთარმა თვითშემეცნებამ დაიჭირა. მაგრამ ეს „შინაგანი უქვებობა და დარწმუნება იყო ყოველ შემთხვევაში სხვა, ახალი ღმერთი და არა ათენელების წინააღმდეგ ღმერთი. ამგვარად სოკრატეს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სახეებით მართალი იყო“.

ჰეგელი უთუოდ სწორი იყო, როცა ამბობდა, რომ სოკრატეს თვითშემეცნება და შინაგანი ხილვა „სხვა ახალი ღმერთი იყო, და არა ათენელების წინააღმდეგ ღმერთი“-ო. სოკრატემ გონება და სიბრძნე გააღმერთა. ადამიანებს უკვე ბრმად არ შეეძლოთ ერწმუნათ ღმერთებისა. ახლა უკვე აღარ სწამდათ, არამედ იკვლევდნენ. არაფერი არ უნდა ყოფილიყო მიღებული სარწმუნოდ დამტკიცებისა და შემოწმების გარეშე. ამაში მდგომარეობდა ის „ეპოქალური სიბრძნე“, რომელზეც უკვე ჰეგელიც უთითებდა.

ვფიქრობთ, ვ. აბაშიაძეს ვგალებოდა კიდევ ეჩვენებინა, რამდენად მართალი იყო სოკრატეს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები და ამასთან დაკავშირებით მოეცა ჰეგელის მოსაზრების შეფასებაც. რადგან სოკრატეს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა ჭეშმარი-

²¹ А. Лосев, «Сократ». Философская энциклопедия, т. 5, 1970, стр. 50.

²² იქვე.

²³ იქვე.

²⁴ ჰეგელის „ლექციებს ფილოსოფიის ისტორიიდან“ ფ. ენგელსი თვლიდა ფილოსოფოსის ერთერთ „უგენიალურეს ნაწარმოებად“, იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Избранные письма. 1953, стр. 442.

ტების საკითხი უშუალო კავშირშია მის პოლიტიკულ მსოფლმხედველობასთან.

ავტორმა ვერ შესძლო მკითხველი საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა პროგრესული ხასიათისა იყო.

საკითხის არსი ის არის, თუ რამდენად განჭვრიტა სოკრატემ ისტორიული აუცილებლობა. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულად, თუ ფილოსოფოსი ისტორიული განვითარების ტენდენციას სწორად გაიგებდა. ეს კი ნაშრომში ნაჩვენებია არ არის.

* * *

ამ წერილში მკითხველთა ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კიდევ ერთ ავტორზე, რომელიც თითქმის ორი ათეული წელია რუსთველის სამართლებრივ შეხედულებებს იკვლევს.

1955 წელს ჯამბაყურ ბაქრაძის რეფერატი — „სამართალი ვეფხისტყაოსანში“ — უარყოფითად შეუფასებია გამოჩინულ ქართველ მეცნიერს — აკად. კორნელი კეკელიძეს. ნაშრომში — „ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ ხსენებული რეცენზია უკვე გამოქვეყნდა.²⁵

კ. კეკელიძის დასკვნით, სასურველი და საჭიროა ჯ. ბაქრაძის ნაშრომის „დადასინჯვა და გადაშუშავება, რომ ის გახდეს სრულფასოვანი“.

ჯ. ბაქრაძემ ვერ შესძლო თავისი თსშუღეობის გადამუშავება კ. კეკელიძის მითითებათა შესაბამისად და, ცხადია, ამით მისი ნაშრომიც მეცნიერულ ფასეულობას მოკლებულიც დარჩა.

ურჩნად „საბჭოთა სამართლის 1973 წლის მესამე ნომერში განხილვის წესით გამოქვეყნდა მისი სტატია — „შ. რუსთაველის სამართლებრივი ნააზრევი და სამართლის ფილოსოფიის ისტორიის (sic) ძირითადი დოქტრინები“. (იხ. ურ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 80-87). ხსენებულ ნაშრომში მყვირალა ფრაზებით ავტორი ცდილობს დაფაროს თავისი მეცნიერული უსუსურობა. ჯ. ბაქრაძე გვამცნობს, რომ რუსთაველმა თავის პოემაში წამოაყენა „ყველას გამდიდრებისა და უფლებრივი გათანაბრების წარმატვი დოქტრინა“. პოეტი, რომელმაც პატრონუმობის ინსტიტუტი მიიღო და არ გაულამჟირია მის წინააღმდეგ, როგორ შეიძლება

ყოფილიყო მომხრე „ყველას გამდიდრების“ და „უფლებრივი გათანაბრებისა?“ — ამის შესახებ ავტორი დუმს. რუსთველი არ იყო ისეთი პრიმიტიული მოაზროვნე, რომ ერწმუნა ყველა ადამიანი გახდეს კეისარი, მეფე, პატრონი, პატრიარქი და ა. შ. რუსთაველმა მშვენიერად იცოდა, რომ პატრონუმობის დროს ერთი მხარე მონაა, ყმაა, ხოლო მეორე — პატრონი და ა. შ. ჯ. ბაქრაძე ყურად არ იღებს რა აკად. კ. კეკელიძის მეტად სერიოზულ შენიშვნებს და „უცილობლობს“, ჯიუტად იმეორებს თავის მოსაზრებებს და ცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ შოთა რუსთაველი, არც მეტი და არც ნაკლები, თურმე ნუ იტყვის, ქონებრივი და უფლებრივი თანასწორობის მომხრე ყოფილა. მერე რა, რომ ეს „ვეფხისტყაოსნიდან“ არა ჩანს? აბა რა საჭიროა, რომ ვინმე ამ მოსაზრებას იზიარებდეს? ისიც საკმარისია, რომ მას მხოლოდ ავტორი იზიარებს. 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის XXIV ტომის № 2-ში (ქვემოთ მოამბე) დაისტამბა ჯ. ბაქრაძის წერილი „შოთა რუსთაველის სამართლებრივი მსოფლმხედველობის საკითხები“ (გვ. 245-252).

ხსენებულ „ნაშრომში“ ჯ. ბაქრაძე გვიმტკიცებს: „შოთა რუსთველი ადამიანს გონიერ არსებად თვლის. მისი არსებობის აუცილებელ პირობად მიიჩნევს თავისუფლებას, ამიტომ მოითხოვს მონათა განთავისუფლებას“. (მოამბე, გვ. 249). შოთა რუსთაველი რომ ადამიანს გონიერ არსებად თვლიდა, ეს მართლაც რომ დიდი „აღმოჩენაა“ ჩვენი ავტორისა. შოთა რუსთაველს, რომელიც პატრონ-ყმობის ეპოქაში ცნობრობდა და პატრონ-ყმობის ერთგულებას დიდი სიყვარულით უმღეროდა, როგორც ამას ავტორიც სხვაგან აღიარებს, უბრალოდ არ შეეძლო ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობად ყველას თავისუფლება მიეჩნია. რუსთველის აფორიზმი „მეც გლხაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, რომელიც მაჩვენებელია, როგორც ეს კ. კეკელიძემ მიუთითა ბაქრაძეს, პოეტის „შედალი ჰუმანიზმისა“,²⁶ ჩვენს ავტორს რუსთაველის სოციალურ პროგრამად მიუჩნევია, რომელსაც ის თითქოს ჩვენი დროის პროგრამასთან ათანასწორებს.²⁷

ჯ. ბაქრაძე აფორიზმს „ქმნა მართლისა ხა მართლის ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, მეტრისმეტად გადაჭარბებულ და მყვირალა შეფასებას აძლევს. ხსენებულ აფორიზმში ჯ. ბაქრაძის აზრით „მართლმსაჯულების, როგორც

²⁵ კ. კეკელიძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. X, ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1968, გვ. 259-262.

²⁶ კ. კეკელიძე, ეტიუდები. X, გვ. 261.

²⁷ იქვე.

სოციალური მოვლენის, ისეთი ზოგადფილოსოფიური გაგებაა მოცემული, რომლის მსგავსს სამართლის ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ ვუპოვით“ (მოამბე, ტ. XXIV, გვ. 245).

თუმცა ავტორმა იცის, რომ ასეთი აზრი იმავე სიტყვებით რუსთველზე ადრე გამოუთქვამს იოანე შავთელს. თუ შავთელმა რუსთველზე ადრე გამოთქვა ხსენებული აფორიზმი და თითქმის იმავე სიტყვებით, მაშინ უფრო ლოგიკური იქნებოდა სხვანაირი დასკვნის გამოტანა. ავტორს მხოლოდ ბაქრაძეში შეიძლება ჩათვალოს განცხადება, რომ ერთ ჩვეულებრივ აფორიზმში „სამართლის, როგორც სოციალური მოვლენის ისეთი ზოგადფილოსოფიური გაგებაა მოცემული, რომლის მსგავსსაც, ჯ. ბაქრაძის სიტყვით, „სამართლის ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ ვუპოვით“. საცოდავი „სამართლის ფილოსოფოსები“! რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ჯ. ბაქრაძის მათთვის დროზე მიეწოდებინა თავისი „მეცნიერული“ დაკვირვება. გარდა ამისა, როგორც კ. კეკელიძემ მიუთითა ჯ. ბაქრაძეს, აფორიზმში „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდად“ მოტანილია პოემაში როგორც დასაბუთება და გამართლება ნესტან-დარეჯანის წინადადებისა „მიპარვით მოკალ სასიძო“ (ხვარაზმისა შეილი, რომელსაც სიძვედ იწვევდნენ ნესტანის მშობლები). აქად კ. კეკელიძე საცხებით სამართლიანად სასიძოს მოკვლას „უღანაშუალო აღამიანს“ მკვლელობად თვლის²⁸ მაგრამ ჯ. ბაქრაძისთვის მეცნიერულ საბუთებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მას ჰგონია, რომ მეცნიერებაში ტრახანი და ბაქრაძე სრულფასოვანი არგუმენტია.

ჯ. ბაქრაძის აზრით რუსთაველმა თითქოს თავის პოემაში წამოაყენა „ქონებრივი გათანაბრების მოთხოვნა“. ეს „აღმოჩენა“ ჩვენს ავტორს ეკუთვნის. მართალია ჯ. ბაქრაძემდე მრავალი სახელგანთქმული მეცნიერი იკვლევდა შ. რუსთაველის შემოქმედებას, მაგრამ ვერც ერთს ვერ შეუმჩნევია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი სოციალური პროგრამით ყოფილა გაუღწეილი, როგორც „ქონებრივი გათანაბრების მოთხოვნა“. ჯ. ბაქრაძე რუსთველს იმითომ მიაწერს ასეთ იდეას, რომ ამ „აღმოჩენით“, განადიდოს თავისი თავი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორიც. ჯ. ბაქრაძემ, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ქონებრივი გათანაბრების მოთხოვნა რუსთაველის ნაწარმოებში კიდევ

რომ ყოფილიყო, ეს ამას დაფნის გვირგვინს ვერ შემატებდა. მაშლავს (გარდ. 529 წ.) მოძღვრების სახით ქონებრივი გათანაბრების იდეა ძველ სპარსეთშივე არსებობდა. ცნობილი მეცნიერის ნ. პიგულევსკაის სიტყვით მაშლავის მოძღვრების მიხედვით «Бог дал свои дары людям с тем, чтобы они делили их поровну, пользовались ими сообща и ни один из них не имел больше, чем другой, «чтобы не была у одного больше, чем у другого»²⁹.

ჯ. ბაქრაძე ვერც ერთი არგუმენტით ვერ ამტკიცებს და ვერც დაამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქონებრივი გათანაბრების მოთხოვნის იდეა გატარებული, მაგრამ ამას მისთვის არცა აქვს დიდი მნიშვნელობა. მას მხოლოდ ხმაურის ატეხა სურს.

ჯ. ბაქრაძეს თავის შემოსწავნებულ წერილში უსისტემოდ და საკითხების დაულაგებლად მოაქვს დემოკრატის, პლატონის, არისტოტელის, ციცერონის, კანტის, ჰეგელის, შექსპირის ციტატები თუ აზრები სხვადასხვა საკითხებზე, ისე, რომ მკითხველისთვის გაუგებარი რჩება, რა კავშირი აქვთ მათ რუსთაველთან. ალბათ ჯ. ბაქრაძეს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ციტატების დომხალით სურს თვალში სილა შეაყაროს მკითხველ საზოგადოებას.

ბუნებრივია, რომ მკითხველმა დასვას კითხვა: რასთან გვაქვს საქმე — სერიოზულ თუ არასერიოზულ ნაშრომთან? პასუხა ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის ნათელია, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყუოდა, „უსახუფველო ქებაც კი ღანძღვავდ საწყენია პატიოსანი კაცისათვის“.

შენიშვნები, რაც წინამდებარე წერილშია გაკეთებული, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობენ მკითხველ საზოგადოებას სწორად გაერკვენენ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, აგრეთვე პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებზე გამოცემული ლიტერატურის ნაწილში მანაც.

სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის, აგრეთვე პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის მეცნიერების განვითარების ინტერესებისათვის საქირთა, რომ პირუთენელი შეფასება მიცემთ გამოქვეყნებულ წიგნებს, პროზურებებსა და მეცნიერულ წერილებს არამარტო ვაკვრიოთ, „აუცილებელი შენიშვნების“ სახით, არამედ უფრო დეტალურადაც.

²⁸ ეტიუდები, X, გვ. 261.
²⁹ Н. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, М.-Л., 1956, გვ. 295—296.

ნაჩსუდის კუდგუკუდი გუგუკვიდკუობის უკდგუკვიდკუობის ნინუალბუდ



პროფ. იმ. სურბულუძე

შოთა რუსთაველის თხზულებიდან ჩვენამდე მხოლოდ მისმა გენიალურმა „ვეფხისტყაოსანმა“ მოაღწია. რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულება შესასწავლად „ვეფხისტყაოსანი“ არაპირდაპირი წყაროა, რამდენადაც იგი მხატვრული ნაწარმოებია და არა პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატი, (ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორის შეხედულებანი სისტემის ან დოქტრინის სახით არ არის წარმოდგენილი). პოემის შესწავლით შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნები რუსთაველის შეხედულებათა შესახებ. მაგალითად, შოთას შეხედულებით საბოლოო ჯამში სიკეთე სძლევს ბოროტებას, რომ სახელმწიფო უნდა იყოს ცენტრალიზებული; ვასალები მეფეს აუცილებელია უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, ქვეშევრდომს შეუძლია არ დაემორჩილოს მეფის უსამართლო გადაწყვეტილებას. პოემის მიხედვით ხალხები და სახელმწიფოები ძმურად და მეგობრულად უნდა ცხოვრობდნენ; ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს ტახტის მემკვიდრეობაზე, ქორწინება უანგარო უნდა იყოს, ხოლო სიყვარული თავისუფალი და საჭიროა მას მოეხსნას ფეოდალური საზოგადოების მიერ დადებული ბოროტებები და სხვ.

პოემა შესაძლებელია გამოვიყენოთ მაშინდელი სოციალური კლასების რომელიმე მხარის შესასწავლადაც, ან კიდევ რომელიმე ტერმინის შინაარსის დასადგენად.

ეურნად „საბჭოთა სამართლის“ გასული წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა ჯ. ბაქრაძის სტატია „შოთა რუსთაველის სამართლებრივი მსოფლმხედველობა და სამართლის ფილოსოფიის ძირითადი დოქტრინები“.

თავის სტატიაში ჯ. ბაქრაძე წერს შოთას „სამართლებრივ მსოფლმხედველობაზე“, სამართლებრივ შეხედულებათა სისტემაზე¹. შოთას „წარმატად სამართლის ფილოსოფიის დოქტრინებზე“². მას ერთნაირ მნიშვნელობისად მიაჩნია იდეა და დოქტრინა³.

ავტორს მიზნად დაუსახავს რუსთაველის „ფილოსოფიური დოქტრინები“ შეუდაროს „სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ძირითად დოქტრინებს“ და აჩვენოს მისი უპირატესობა სხვა დოქტრინებთან შედარებით⁴.

1. სამართლებრივი მსოფლმხედველობა და სამართლის ფილოსოფიის დოქტრინა ორი ცნებაა და ისინი ერთმანეთში არ უნდა ავურთიანთ. მსოფლმხედველობა საერთოდ, მათ შორის სამართლებრივი, კარგი თუ ცუდი, ყველა დამიანს აქვს. მსოფლმხედველობა ფილოსოფიური მაშინ არის, როცა დასაბუთების ფორმითაა წარმოდგენილი. ფილოსოფია არის ცდა დასაბუთებული მსოფლმხედველობის მოცემისა.

2. სამართლის ფილოსოფიის დოქტრინა შოთას, როგორც შემოთ ვთქვით, არ შეიძლება ჰქონოდა, მაშასადამე, ჯ. ბაქრაძის ცდა, შეადაროს შოთა რუსთაველის სამართლის ფილოსოფიის „დოქტრინებთან“ სხვა ფილოსოფიურ „დოქტრინებთან“ გაუგებრობაზე აგებული, რამდენადაც შედარების საფუძველი არ არსებობს.

ვინაიდან ჯ. ბაქრაძეს საუბარი აქვს რუსთაველის სამართლებრივ შეხედულებაზე, მას პირველყოფისა, უნდა განეხილა რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის კავშირი მის სამართლებრივ შეხედულებებთან. ეს იქნებოდა რუსთაველის სამართლებრივ შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძვლის გარკვევა, ეს საკითხი სტატიაში სავსებით უგულებელყოფილია.

3. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის შესწავლის თვალსაზრისით კი ჯ. ბაქრაძის წერილი ვერ უძღვებს ვერავითარ კრიტიკას. დარღვეულია მეცნიერული კვლევის ელემენტარული მოთხოვნა: საკითხის განხილვა ეპოქისთან კავშირში, რუსთაველის შესადარებლად აღებული ბლატონი. ან ჰეგელი და არა შუა საუკუნეების მოაზროვნეები; არაბი ფილოსოფოსები, რომლებიც რუსთაველის ეპოქაში მოღვაწეობდნენ. არ არის მოყვანილი არც ერთი მოაზროვნე, რომელიც თუნდაც პატრისტიკას ეკუთვნოდეს. ჯ. ბაქრაძე ციციერონიდან პირდაპირ გადადის შექსპირზე, ისე, რომ არავითარ დასაბუთებას არ დაეძებს.

შოთა რუსთაველის სამართლებრივ „დოქტრინებთან“ შესადარებლად აღებულია ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ციციერონის, შექსპირის, კანტისა და ჰეგელის „დოქტრინები“.

1 ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1973, № 3, გვ. 80.

2 ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1973, № 3, გვ. 30.

3 იქვე. გვ. 81.

4 იქვე.



ავტორი არ ასახულებს იმას, თუ რა პრინციპის მიხედვით შეარჩია მან ჩამოთვლილი მოაზროვნეები შესადაარბლად: რატომ გამოტოვა სპეციალურად რუსთაველის ეპოქა.

ამასთანავე, ეს მოაზროვნეები ოცდახუთი საუკუნის მანძილზე არიან განლაგებულნი და ასეთი დიდი პერიოდისა და მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფოსებისა და მწერლების ნაწარგვის განხილვა ჟურნალის რამდენიმე გვერდზე არ შეიძლება სერიოზულ კვლევად მივიჩნიოთ.

4. შოთა რუსთაველის „სამართლებრივ შეხედულებების სისტემა“ ჯ. ბაქრაძეს ასე ესახება: „პიროვნებისა და საზოგადოების წინსვლა და სიცოცხლის უნარიანობა, რაც გულისხმობს ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, პოეტის აზრით დამოკიდებულია სამართლის ჭეშმარიტ „ქმნაზე“ ე. ი. მოღვაწეობაზე სამართლის მოთხოვნათა სწორი განხორციელების მიზნით: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად“ ავტორი განაგრძობს: „ასე მძლავრად და გამოკვეთილად არავის მოუცია მართლმსაჯულების არსის ამსახველი ზოგადფილოსოფიური ფორმულა, არავის დაუკავშირებია სამართლიანი მართლმსაჯულება ადამიანის სოციალურ ყოფასთან, საზოგადოების განვითარება, მისი ყოფნა არ ყოფნის საკითხი მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებასთან, როგორც ეს გააკეთა შოთა რუსთაველმა ზემოთ მოყვანილ აფორიზმში“⁵. ავტორი კიდევ უბრუნდება ამ საკითხს: „ძველი დროის არც ერთ იურისტს, მწერალს, ფილოსოფოსს არ აუმაღლებია მართლმსაჯულების როლი ისე, როგორც ეს გააკეთა შოთა რუსთაველმა. არ დაუკავშირებია ადამიანის საზოგადოებრივი ყოფნა-არყოფნის პრობლემა მართლმსაჯულების უსამართლო თუ სამართლიან განხორციელებასთან. როგორც ეს გააკეთა შოთამ ჩვენ განზრახ მოვიტანეთ სამი ციტატი, იმისათვის რომ გვეჩვენებია, თურმე რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჯ. ბაქრაძის აზრით, მართლმსაჯულებას შოთა. განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილი, რომლიდანაც ჯ. ბაქრაძეს გამოაქვს ასეთი დავცნა. ნესტანი ურჩევს ტარიელს სასიძოდ მოპატიუებულ ხვარაზმშას შვილის მოკვლას, ამასთან დაკავშირებით ეუბნება მას: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა

შეიქმნს ხმელსა ნედლად“. ე. ი. მართლია, მიძიეა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, სასიძოს მოკვლა, მაგრამ თავისუფალი სიყვარულისათვის შეიძლება მსხვერპლის გადაება. შოთას აღშფოთებს ანგარიშთანააზე დამყარებული ქორწინება, ის ითხოვს სიყვარულის ბორკილების დამხსვერვას და გვიჩვენებს თუ რა მიძიე მდგომარეობაში აყენებს ფეოდალური საზოგადოება ამ ბორკილებით ისეთ პატიოსან ადამიანებს, როგორც არიან ნესტანი და ტარიელი. ასეთია ამ გენიალური აფორიზმის შინაარსი და მისი გატოლება მართლმსაჯულების ქადაგებასთან, თანაც მართლდენ ამ საკითხთან, ჯერ ფიქრადაც არავის მოსვლია.

„ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად“ შოთას ეპოქაში შორული იყო და შოთამდე ეს შავთელს უთქვამს. ამიტომ ჯ. ბაქრაძე ცდილობს აზრობრივი განსხვავება მოახსოს შავთელისა და რუსთაველის აფორიზმებს შორის. ცნობილი მეცნიერის ამ საკითხების უდიდესი სპეციალისტის აკად. კ. კეკელიძის აზრით სავსებით ნათელია, რომ ამ შემთხვევაში შავთელისა და რუსთაველის გამოთქმებს შორის არავითარი განსხვავება არ არის და კ. კეკელიძის განმარტებით ჯ. ბაქრაძემ ეს „მარტივი აზრი ამ ორი დიდი პოეტის აფორიზმისა ავტორთა ბურჟუის სამოსელში გახვია, როდესაც მოინდომა მათ შორის აზრობრივი განსხვავების ძებნა“. კ. კეკელიძის აზრით არ არის მართებული ჯ. ბაქრაძის მიერ „რადაც ბუნდოვანი ჭეშმარიტების სახით“ მართლმსაჯულების საკითხის დაკავშირება „ვეფხისტყაოსანთან“⁶.

ასეთსავე გაუგებრობას ქმნის ისიც, თითქოს „პიროვნებისა და საზოგადოების წინსვლა და სიცოცხლისუნარიანობა, რაც გულისხმობს ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას“ შოთას აზრით, მართლმსაჯულებაზე დამოკიდებული. ასე ვიწროდ გავება პოემის, მისი იურისტპრუდენციასზე დაყვანა არაფრით არ არის გამართლებული.

5. ჯ. ბაქრაძის აზრით „ლევკე ლომისა სწორია, ძუ იოს თუნდა ხვადია“ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. ქალთა ემანსიპაციას ნიშნავს. რუსთაველი, როგორც ცნობილია, ფეოდალური საზოგადოების ნიადაგზე იდგა. ხოლო ფეოდალიზმის დროს ქალის და მამაკაცის თ-

⁵ უფრ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973 წ. გვ. 80.
⁶ იქვე, გვ. 81.
⁷ იქვე, გვ. 87.
⁸ უფრ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973 წ. გვ. 80.
⁹ იქვე, გვ. 81.
¹⁰ კ. ყველიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 260,

ნასწორობა განუხორციელებელია, ამ შემთხვევაში შოთას საუბარი აქვს ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე მეფე — ფეოდალთა ვიწრო წრეში, განსაკუთრებულ ვითარებაში და არა საერთოდ.

ასევე ითქმის პიროვნების თავისუფლებასა და „მოქალაქეთა ეკონომიურ და უფლებრივ გათანაბრებაზე“, რომელიც თითქოს მოცემულია შოთას სამართლის ფილოსოფიის „დოქტრინაში“.¹¹ ჯ. ბაქრაძის აზრით „სამართლის ფილოსოფიის“ ამ დოქტრინამ საუკუნეებს გაუძლო და ის განხორციელდა, „საკანონმდებლო წესით დეკანოზა“ მხოლოდ „მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში“.¹² სოციალიზმის იდეები შოთას არ წამოუყენებია, ვიმეორებ, ის ფეოდალიზმის ნიადაგზე იდგა. შოთას „დოქტრინებზე“ არ შეიძლება საუბარი, ხოლო რუსთაველის ზოგიერთმა გენიალურმა იდეამ, მავალითად, ხალხთა მეგობრობამ, არსებითად ახალი შინაარსით და ფორმით განხორციელდა ჩვენს სინამდვილეში.

მ. მართლმსაჯულებისა და ქალის ემანსიპაციის საკითხი უმართებულად არის ჯ. ბაქრაძის წერილში დასმული, მაგრამ ყველაზე საოცარია ის შედარებები, რომელსაც ჯ. ბაქრაძე აქეთებს.

ჯ. ბაქრაძე წერს: „შოთა რუსთაველის სამართლებრივი აზროვნება რომ თავისი დროისათვის უმაღლეს დონეზე იდგა, ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება თუ მის ნააზრევს შევედარებთ წარსულის დიდ მოაზროვნეთა მოძღვრებებს სამართლის შესახებ. ამ მოძღვრებათა ანალიტიკური შედარება რუსთაველის სამართლის მსოფლმხედველობასთან დავარწმუნებს, რომ ასე მძლავრად და გამოკვეთილად არავის მოუცია მართლმსაჯულების არსის ამსახველი ზოგად ფილოსოფიური ფორმულა, არავის დაუკავშირებია სამართლიანი მართლმსაჯულება ადამიანის სოციალურ ყოფასთან, საზოგადოების განვითარება მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი მართლმსაჯულების განხორციელებასთან, არ წამოუყენებია ქალთა ემანსიპაციის მოთხოვნა, ყველას გამდიდრებისა და უფლებრივი გათანაბრების წარმატადი დოქტრინა, ენების ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის შედეგად მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარების დოქტრინა. იმისათვის, რომ მკითხველი ზემოთ თქმულის სისწორეში დავარწმუნოთ საჭიროა გავცნოთ სამართლის ისტორიის ძირითად დოქტრინებს“.¹³

მაშასადამე, შოთას წამოუყენებია სამართლის შემდეგი საკითხები: მართლმსაჯულების, ქალთა ემანსიპაციის, ყველას გამდიდრების, უფლებრივი გათანაბრების, ენების (აღბათ ერების) ურთიერთპატივისცემის და აქედან გამომდინარე მშვიდობიანი განვითარების „დოქტრინა“. ეს „დოქტრინები“ „თავისი დროისათვის“ რომ უმაღლეს დონეზე იდგა, ამის დასამტკიცებლად სამართლის ფილოსოფიის ძირითადი დოქტრინებს უნდა გავცნოთ, წერს ჯ. ბაქრაძე. მრავალი რამ არის აქ გაუგებარი, მაგრამ მივყვეთ სტატიის ავტორის მსჯელობას.

ჯ. ბაქრაძე თავის შედარებას ჰერაკლიტით იწყებს.

„შესანიშნავი ბერძენი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე (დაახ. 544-488 წ. წ. ერამდე) იყო დიალექტიკის ერთერთი ფუძემდებელი (ლენინი). იგი მხოლოდ ღმერთში ხედავდა სამართლიანობას. Все — едино, делимо, рожденное — нерожденное, смертное — бессмертное, логое, вечность, отец, сын, бог — справедливость, не мне, по логосу внимая, мудро признать, что все — едино“.

ჰერაკლიტესათვის ადამიანთა კანონები ღვთაებრივი ნება-სურვილის გამოხატულებაა“ და სქოლიოში მითითებულია, რომ რუსული ციტატი ამოღებულია წიგნიდან: *Материализм древней Греции*, 1955, გვ. 45.

ეს არის და ეს. რა აქვს ამას საერთო რუსთაველთან? აბოლუტურად არაფერი. ამასთანავე ჰერაკლიტე იდეალისტად არის გამოყვანილი: ჰერაკლიტეს ადამიანთა კანონები ღვთაებრივი ნება-სურვილიდან გამოყავდა, წერს სტატიის ავტორი. მაშინ როდესაც ჰერაკლიტე მატერიალისტი იყო. ამას იმით მაინც უნდა მიმხვდარიყო ჯ. ბაქრაძე, რომ ჰერაკლიტეს ციტატი როგორც ვნახეთ, ამოღებულია წიგნიდან — „ძველი საბერძნეთის მატერიალისტები“.

ასეთია ჰერაკლიტეს „ანალიტიკური მეთოდით“ განხილვა.

ასეთივე „ანალიტიკური მეთოდით“ მოცემულია „სოკრატეს სამართლის ფილოსოფია“. ზოგადი ფრაზები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს რუსთაველთან და თავისთავად უმართებულთა:

ა. „სოკრატეს მოძღვრება ძველი ბერძნული

11 უტრ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973 წ. გვ. 80.
12 იქვე.
13 იქვე, გვ. 81.



ფილოსოფიის უძველესი წყარო¹⁴, წერს იგი ეს უმართებულოა: სოკრატემდე ცნობილია ფილოსოფოსთა მთელი პლიადა: თალესი, პითაგორი, ანაქსაგორა და სხვა.

ბ. სოკრატეს მოწაფეებსა და მიმდევრებში დასახელებულია არისტოფანე.¹⁵ სინამდვილეში კი არისტოფანეს კომედიაში გამახსარავებულოა სოკრატე შესაძლებელია ჯ. ბაქრაძეს ანტისტენეს ან არისტოპეს დაწერა უნდოდა და ეს სახელები აერია არისტოფანეში. ანტისტენე და არისტოპე კი მართლაც სოკრატეს მოწაფეებია.

გ. ჯ. ბაქრაძე წერს: „მონობის დაგმობას — გორგი აღკვიდა მანტი“ მოითხოვდაო. ისტორია არ იცნობს ასეთ პიროვნებას. სინამდვილეში ცნობილია გორგიასი (483-375 წ. წ. ერამდე) და მის სკოლიდან გამოსული აღკვიდამანტი.

შემდეგ ჯ. ბაქრაძეს საუბარი აქვს დემოკრიტეზე. აქაც მხოლოდ ზოგადი ფრაზებია. ალბათ ეფექტისათვის დიდი ასობით მოყვანილია ასეთი წინადადება: „სახელმწიფოებრიობა საჭიროებს მსხვერპლს, მაგრამ სამაგიეროდ სახელმწიფოს არის უდიდესი სიკეთე საზოგადოებისათვის“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ეფეზისტყაოსანში“ სახელმწიფოს შესახებ საკვებით გარკვევით ჩანს რუსთაველის შეხედულება (როგორი უნდა იყოს სახელმწიფო, როგორ უნდა მართავდეს მეფე სამეფოს, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება მეფესა და ვასალებს შორის და სხვა). მაგრამ ამ საკითხებს სრულიად არ ეხება ჯ. ბაქრაძე.

დემოკრიტე უარყოფითად უყურებდა ქალს, ხოლო რუსთაველი დადებითადო¹⁶. აქედან ჩანს, „ამ ორი მოაზროვნის პრინციპული დაშორება ამ სამართლებრივ დოქტრინაში“¹⁷. ეს არის და ეს. მაშასადამე, ჯ. ბაქრაძემ შესადარებელი ობიექტი მონახა „სამართლებრივ დოქტრინაში“. რამდენ მეცნიერს გამოუთქვამს ქალის შესახებ ესა თუ ის მოსაზრება, განა ყველა მათგანმა „სამართლებრივი დოქტრინა“ შექმნა? ყველა მათგანი შევადაროთ რუსთაველს? დემოკრიტემ, ჯ. ბაქრაძის აზრით, „სამართლის ფილოსოფიაში დიდი ადგილი ვერ დაიკავა“¹⁸. როგორც ჩანს, ამით ჯ. ბაქრაძეს სურს გვიოხ-

რას, რომ შოთასაგან დემოკრიტე სწორედ ამით განსხვავდება: შოთამ სამართლის ფილოსოფიაში დიდი ადგილი დაიკავა, ხოლო დემოკრიტემ ვერა!

სტატის ავტორის აზრით „პლატონი დამანავის მოქმედებაში წინასწარ განზრახვას გამოირიცხავდა“¹⁹, მაშინ, როდესაც პლატონი იცნობდა, როგორც განზრახ ისევე განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულს. Платон, Законны, стр. 267.

არისტოტელეს შესახებ ავტორისეული თხრობა გაუგებარია და უმართებლო. მაგალითად მისი თხრობის მიხედვით, არისტოტელეს ფილოსოფიური მრწამსი იყო მატერიალისტური²⁰, სინამდვილეში კი ის, როგორც ცნობილია, „ფილოსოფიაში მერყეობდა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის“ В. И. Ленин, Философские тетради 1973, გვ. 674, იხ. ამავე ნაშრომის შემდეგი გვერდები: 82, 156, 184, 224, 225, 230, 231, 233, 235, 240, 254-262, 268, 315, 316, 318, 325-331, 545).

რუსთაველთან შესადარებლად აღებულია ციციერონიც. ციციერონი უდიდესი ორატორი იყო, „ამას ამტკიცებს მის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებსაც მას დემოსთენესთან ერთად ორატორი ხელოვნების ოლიმპზე ზევსის ტახტი დაუდგეს“²¹. მაგრამ რა კავშირი აქვს ამას შოთასთან? იქნებ შოთაც ორატორი იყო?

ავტორი განაგრძობს: ციციერონს რომი უყვარდა და მისთვის კაცობრიობა რომელები-სათვის არსებობდა²², ხოლო შოთასათვის თავისი ხალხი და კაცობრიობა ერთ მთლიანობაში იყო წარმოდგენილიო.

საქმე ის არის, რომ ბერძენ და რომაელ მონათმფლობელთათვის საბერძნეთისა და რომის გარდა სხვა სამყარო ბარბაროსული იყო და ბარბაროსული სამყარო საბერძნეთისა და რომისათვის არსებობდა, მათ უნდა მსახურებოდა: ამიტომ შევუდაროთ ეს შოთა რუსთაველის შეხედულებებს? რას მოგვეცემს ეს? მაგრამ არის ერთი გარემოება, რომლისათვის ჯ. ბაქრაძეს, ალბათ მოჟავს ციციერონი. ციციერონის შესახებ, მას სტატია აქვს გამოქვეყნებული და სტატია წარმოადგინა სადოქტორო

14 ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 81.
15 ე. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 81.
16 იქვე, გვ. 82
17 იქვე
18 იქვე.
19 ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 83.
20 იქვე.
21 იქვე.
22 იქვე.



შრომათა სიაში. ამით მან ვითომ გაამართლა ციკერონის შესახებ სტატის შეტანა ამ სიაში.

ციკერონიდან, როგორც აღნიშნული იყო, ყოველგვარი განმარტების გარეშე ჯ. ბაქრაძე ვადლის შექსპირის შედარებაზე რუსთაველთან ავტორი მოგვითხრობს, რომ შექსპირს მსოფლიოს მწერლებს შორის სამართალზე ყველაზე მეტი აქვს ნათქვამი. შექსპირმა ვენციელის ვაჭრით²³ ვალდებულებითი სამართლის ვადის უფლებების პროგრესის²⁴ განვითარების გეზი მოსაზრა, ხოლო „ჰამლეტი“ სისხლის სამართლის ერთი ინსტიტუტის — „შურისძიების განვითარების გეზი²⁴. მაშასადამე, შექსპირმა მხოლოდ ამ ორი ინსტიტუტის (ვადლისა და შურისძიების) განვითარებას მისცა „გეზი“, მაგრამ მისი ნააზრევი ღრმავა; მიუხედავად იმისა, რომ შექსპირის ვენციელის ისეთ რთულსა და ღრმა სამართლებრივ ნააზრევს, ჩვენ საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ინვლისდელთა სიამაყე ვერ გვაძლევს სამართლის ისეთ ზოგად ფილოსოფიურ გააზრებას როგორც მოგვცა შოთა რუსთაველმა²⁵.

ჩვენ ვამბობთ, რომ გენიოსია შოთა, გენიოსია შექსპირი, და აი გამოჩნდა ჯ. ბაქრაძე, რომელმაც „დაასაბუთა“ სამართლის „დოქტრინებით“, რომ შოთა მაღლა იდგა შექსპირზე! სად ვიყავით ამდენხანს! ეს არის დაბალი ხარისხის დემაგოგია და შეუარაცხეოფა, როგორც რუსთაველის ისე შექსპირისა.

პირველ უკვლისა, რას ნიშნავს „შურისძიების განვითარება“? ვანა შექსპირი „შურისძიების განვითარებას“ უწუობდა ხელს? ის ხომ ებრძოდა მას? შურისძიება წარსულის მძიმე გადმონაშთია და ყოველი პროგრესული ადამიანი მისი აღმოფხვრისათვის იბრძვის.

გარდა ამისა, როგორ შეიძლება შექსპირის, ან რუსთაველის გენიალური მხატვრული შემოქმედება ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებისა ანდა შურისძიების „განვითარებამდე“ და თუნდაც მართლმსაჯულების აღიარებამდე დავეყვანოთ! ეს ხომ ხელოვნებისა და მეცნიერების აბუჩად აგდება იქნებოდა.

ჯ. ბაქრაძე კანტის შეხედულებებს გადმოგვცემს, მას სურს გვიჩვენოს ერთი მხრივ კანტის შეხედულება, მეორეს მხრივ თუ რამდენად მაღლა იდგა რუსთაველი კანტზე! მაგრამ შესადარებელი მათ არაფერი აქვთ! კანტს მართლაც აქვს სამართლის „დოქტრინა“, მაშინ რო-

დესაც რუსთაველს, ისე როგორც შექსპირს ასეთი რამ არა აქვს. მაგრამ ჯ. ბაქრაძისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. მას სურს შექსპირს შთანბვლილება, რომ ის მსჯელობს და რომ მისი მსჯელობა ხაგანს ეხება.

ავტორი ვადმოგვცემს, რომ კანტი ტალიონის პრინციპს აღიარებდაო, მკვლელის მოკვლას თბროულობდა და სხვა. ჯ. ბაქრაძე გვიხსენის, რომ მკვლელის სიკვდილის დასჯის შემთხვევაში საზოგადოება „ორ ინდივიდს კარგავს“; მკვლელი არ იბადება მკვლელად, „იგი იქმნება ან ფსიქიკური დეფექტის, ან ცუდი ცხოვრების პირობების გამო“, რომ სიკვდილით დასჯა როგორც ეს სისხლის სამართლის კლასიკურმა სკოლამ დაამტკიცა არ ამცირებს მკვლელობის დანაშაულს, ამას გვაუწყებს ჯ. ბაქრაძის ვადმოცემით, „მსოფლიო ისტორიული სტატისტიკა, რაც მშვენივრად არის დამუშავებული ღრმა იურიდიული ანალიზის საფუძველზე ჰაიდერბერგის უნივერსიტეტის პროფესორის ვ. ი. მიტერშიერის შრომაში „სიკვდილის დასჯა“ და მოუავს ამ შრომის დასახელება²⁶ კანტის შესახებ თსრობაში მესამედზე მეტი ამ საკითხზე საუბარი. ვანგებ მოვიყვანე ეს ადგილი იმის ნათელსაყოფად, რომ სტატისტიკის ავტორი ისეთ რამეზე მსჯელობს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს თემასთან.

ბოლოს, კანტის შესახებ მსჯელობისას, ის ასახელებს კანტის შრომას „მუდმივი მშვიდობიანობის შესახებ“. ამ შრომაში კანტს საუბარი აქვს „ხალხთა მსოფლიო ვაერთიანებაზე“, „მსოფლიო მოქალაქეობაზე“, მუდმივი მშვიდობიანობის იდეალზე, რომელიც შორეულ მომავალში შეიძლება განხორციელდეს.

ჯ. ბაქრაძე წერს: „საინტერესოა გამოვარკვიოთ, ჰქონდა თუ არა მუდმივი მშვიდობის ფილოსოფიური დოქტრინა შოთა რუსთაველს, და თუ ჰქონდა, როგორ ესმოდა იგი. ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს“ და ამის დასამტკიცებლად უთითებს პოემის 968 სტროფზე²⁷. ავთანდილის სიმღერამ შესწენელი მოაჯადოვა:

„რა ესოდის მღერა ყმისა, სენად მხენცი მოვიდიან,
მისვე ხმისა ტკობსაგან, წუღით ქვანიცა გადმოსხდიან,

23 უტრ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 83.
24 იქვე, გვ. 84.
25 იქვე.
26 იქვე, გვ. 85.
27 იქვე. 1

ისმენდიან, გაკვირდიან, რა იტირდის, ატირდიან, იმდერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“.

შოთა რუსთაველის ამ სტროფის მისდევს „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორის შემდეგი სტროფი (რომელზედაც ჯ. ბაქრაძე უთითებს):

„მოვიდიან შესამკობლად ქვეყნის ყოვლნი სულიერნი

კლდით ნადირნი, წყალშივ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,

ინდო-არაბ-საბერძნეთი, მაშრიყით და მადრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“.

პირველ ყოვლისა, ჯ. ბაქრაძის აზრით ეს სტროფი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ სტროფების შოთასეულობაში დაექვევა, სტროფებისა, რომლებიც ლოგიკური გვირგვინია ჩვენი მოაზროვნის მთელი მსოფლმხედველობისა და ამასთანავე მთლიანად უკვდავი პოეზიის, არ შეიძლება²⁸!

ეს სტროფი რომ „პოემის აუცილებელი ნაწილია“ იმით მტკიცდება, რომ მთელი პოემა იმ ქვეყანათა ფონზეა გაშლილი, რომელიც ამ სტროფშია დასახელებული²⁹.

ჯ. ბაქრაძე მოგვითხრობს, რომ ამ სტროფში დასახელებული ცხოველები სწორედ იმ ქვეყნებშია, რომლებიც იმავე სტროფშია მოხსენსებული, „ეს კი ამტკიცებს იმას, რომ ჩვენმა სასიქადლო პოეტმა კარგად იცოდა დასახელებული ქვეყნების ფაუნა“³⁰. მაგრამ ამ შემთხვევაში შოთას მსოფლმხედველობისა ან მისი იურიდიული „დოქტრინისათვის“ რა საჭიროა ფაუნა? ჯ. ბაქრაძე განაგრძობს: „მაგრამ მთავარი ამ სტროფში ის არის, რომ შოთას მიერ დასახელებული მაშინდელი სამყაროს ხალხები მოწოდებული არიან ქვეყნის შესამკობლად, დასამშვენებლად ამქვეყნიური ადამიანური სამყაროს ჰარმონიული ცხოვრების შესაქმნელად, ქვეყნის შემკობა კი მტრობით არ შეიძლება, მხოლოდ სიყვარულს შეუძლია იმის შენება, რასაც შური, მტრობა და ბოროტება ანგრევს. დედამიწაზე მცხოვრებ ერთადერთადი მიზანი ქვეყნის შემკობაა და არა გავრანება, უფრო მეტიც, როგორც ცას ფრინველი ამშვენებს, კლდეც ნადირი, ზღვაც ნიანგი,

წყალს კი თევზი, ასევე უნდა ამშვენებდეს ალამაზებდეს ქვეყანას ყველა სულიერი, ე. ი. ადამიანიც, და არა მარტო ზოგადად ადამიანი, არამედ კონკრეტულად იმ დროს რეალურად არსებული ერები. ხალხთა მეგობრობის, მათი დანიშნულების იდეას, კოსმოსისა და დემოსის ურთიერთდამოკიდებულებას უფრო ჰუმანურად, უფრო ღრმად და უფრო პროგრესულად ვერ გამოთქვამ და სინამდვილეშიც არც არავის გამოუთქვამს, მაგრამ შოთას მთელი სილიადე მარტო ის კი არ არის, რომ თეორიულად ასეთი წარმტაცი იდეა წამოაყენა „მუშტის სამართლის“ არსებობის ეპოქაში, არამედ პრაქტიკულადაც განახორციელა ეს თავისი წარმტაცი დოქტრინა მის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ არანაკლებ წარმტაც სამყაროში. შემთხვევითი არ არის, რომ შოთა თავის პოემას ამთავრებს ხალხთა სიყვარულის დევიზით და სამყაროში მშვიდობის სუფევის ძლიერი აკორდით“³¹.

ეს „კოსმოსი“ და „დემოსი“, „აკორდი“, „დოქტრინები“ და საერთოდ ჯ. ბაქრაძის მიერ შეკონსტრუირებული ფრაზები მხოლოდ გაუგებრობაზეა აგებული. საქმე იმაშია, რომ ციტირებულ სტროფში საუბარია ავთანდილის მომაჯდოვებელი სიმღერის მოსასმენად მოსულ მსმენელებზე და არა ქვეყნის „გასამშვენიერებლად“ მოსვლაზე. წინა სტროფში ავთანდილის მოსასმენად მოდიან მხეცნი და ქვანცი კი, ისმენენ და ავთანდილთან ერთად სტირიათ; მომდევნო სტროფში კი — ახსნილია, უფრო ფართოდ განმარტებულია მომსვლელები: ნადირნი, თევზნი, ნიანგნი, ფრინველნი და სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები. ეს არის და ეს. ჯ. ბაქრაძე წერს: „ამქვეყნიური ადამიანური სამყაროს ჰარმონიული ცხოვრების“ შექმნაზეა საუბარი ამ სტროფში, „ხალხთა მეგობრობის, მათი დანიშნულების იდეა“ „უფრო ღრმად და უფრო პროგრესულად“ არავის გამოუთქვამს — განაგრძობს იგი; მაგრამ ამ სტროფში თევზებზე, ნიანგებზე, ფრინველებზე და ადამიანებზეა საუბარი, ხლო თევზები, ნიანგები ან ფრინველები ვერ მიიღებდნენ „ხალხთა მეგობრობაში“ მონაწილეობას. სტროფი რომც რუსთაველის იყოს, მაინც არ შეიძლება მას ასეთი გაზვიადებული, ფანტასტიკური შინაარსი მიეცეს.

მაგრამ აქ ჯ. ბაქრაძეს ასეთი პასუხი აქვს მომზადებული: ხსენებულ სტროფში „შემკობაზეა“ საუბარი, შემკობა მშვენიერებას ნიშნავს,

28 ურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 86.
 29 იქვე.
 30 იქვე.
 31 იქვე.



მშენიერება კი ჰარმონიას გულისხმობს: მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო ადამიანთა მოდგმასთან ერთად ბუნების მშენიერებაა, რადგანაც მშენიერება ჰარმონიას მოითხოვს, ამით ის გამოირიცხავს ომს, ბორკულებს, განდგურებას და მოითხოვს მეგობრობას, მაშასადამე, ხალხთა მეგობრობასაც. ჯერ ერთი, რომ ბუნებაში ჰარმონია ბრძოლას არ გამოირიცხავს, რადგანაც განვითარება წინააღმდეგობით იკვლევს გზას. მეორე, ბუნებას რომ მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო ამშვენებს, ეს ვის არ უთქვამს რუსთაველამდე, ამისათვის რა საჭირო იყო რუსთაველის გენია! ამავე დროს ჯ. ბაქრაძის თქმით „თეორიულად ასეთი წარმტაცი იდეა არავის“ წამოუყენებია, და საყურადღებოა ისიც, რომ ჯ. ბაქრაძის თქმით, ეს „თეორიული იდეა“ შოთა რუსთაველმა თავისი პოემით „პრაქტიკულადაც განახორციელა“! პოემაში რეალურის მხატვრული წარმოსახვა შეიძლება, მაგრამ „პრაქტიკულად განხორციელება“ უცნაურია.

მაშასადამე, ჯ. ბაქრაძემ სიტყვა „შემოქობას“ თავისი ფანტაზიით მისცა თვითნებური განმარტებანი, გამოიტანა აქედან უმართებლო დასკვნები და ამაზე ააშენა თავისი მსჯელობა, რასაც რუსთაველთან არავითარი კავშირი არა აქვს.

რასაკვირველია, გენიალურმა რუსთაველმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხატვრულად დავესურათა ხალხთა მეგობრობის უკვლავი იდეა, ეს იდეა თვისებრივად ახალი შინაარსით და არსებითად განსხვავებული ფორმით რეალურად განხორციელდა სოციალისტურ სამყაროში³². მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა აქვს ჯ. ბაქრაძის მიერ მოყვანილ სტროფთან და არც ჯ. ბაქრაძის მსჯელობასთან.

დასკვნა:
1. რუსთაველისაც რომ იყოს ეს სტროფი, მაშინაც არ შეიძლება მისი შინაარსის ისეთი განმარტება, როგორც ამას ჯ. ბაქრაძე აკეთებს.

2. ამ შემთხვევაში ჯ. ბაქრაძის მსჯელობა აგებულია მის მიერ გამოგონილ მონაცემებზე. ჯ. ბაქრაძე ჰეგელის ფილოსოფიით ამთავრებს თავის შედარებებს. ჩვენ არ ვანვიხილავთ ჰეგელის ფილოსოფიის ავტორისეულ გადმოცემას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჰეგელის ფილოსოფიას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობასთან. ამასთანავე ამ შემთხვევაშიც ჯ. ბაქრაძე არ ლალატობს თავის თავს: რომ აჩვენოს არა სპე-

ციალისტ მკითხველს, რომ მსჯელობს ჰეგელის ფილოსოფიის შესახებ, თავის თხრობაში ჰეგელის შესახებ ეკამათება კიდევ ჰეგელს, აღნიშნავს მის შეცდომებს. ჰეგელი, — წერს ჯ. ბაქრაძე, — „შეცდომას უშვებს“, რომ ადამიანთა ფიზიკურ და გონებრივ „უთანაბრობას პოლიტიკური უფლებების საფუძველად აღიარებს“ და სხვა³³. თუ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკაზე მიდგება საქმე, რასაკვირველია, ეს სრულებით არ არის საკმარისი, ჩვენ მხოლოდ იმისი თქმა გვიწევს, რომ შოთას მსოფლმხედველობის დასახასიათებლად არც ჰეგელის ფილოსოფია და არც მისი კრიტიკა სრულებით საჭირო არ არის. ამასთანავე ჯ. ბაქრაძე უთითებს ჰეგელის „სულას ენციკლოპედიაზე“, რომელიც თითქოს ქართულად 1938 წელს გამოვიდა, ასეთი წიგნი ქართულად არ გამოსულა.

ჰეგელის შესახებ, (იხე, როგორც სხვა მოაზროვნეებზე), საყოველთაოდ ცნობილი დებულებები არ არის მართებულად გადმოცემული, ჰეგელის შესახებ ნათქვამია, რომ მისი შეხედულებებანი „შთაგონებული იყო საფრანგეთის რევოლუციის გავლენით“³⁴. ეს სწორია, მაგრამ ჰეგელის რეაქციონერულმა იდეებმა ყველაზე უფრო თავი იჩინა სწორედ მის სამართლის ფილოსოფიაში, სადაც სახელმწიფო ჰეგელის მიერ განხილულია, როგორც „ღვთების სვლა სამყაროში“ (სოფ., VIII, გვ. 268).

ჰეგელის თხრობას ავტორი ამთავრებს ისე, რომ რუსთაველს არც ახსენებს, არა თუ აღარებს მას ჰეგელთან. ამის შემდეგ სტატის ავტორი წერს: „ჩვენ განვიხილეთ ადამიანის ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმაციების გამოჩენილ იდეოლოგთა მოძღვრებანი სამართლის, მართლმსაჯულების, სხვადასხვა უფლებრივი ინსტიტუტების შესახებ. იდეოლოგთა ნააზრევის გაანალიზებამ ცხადყო შემდეგი: სამართლის ფილოსოფიაში სამართლებრივი ინსტიტუტების ახსნა ამა თუ იმ მოაზროვნის მიერ აბსტრაქტულ იდეათა ოპერირებით ხდება“³⁵.

რას ნიშნავს „აბსტრაქტულ იდეათა ოპერირება?“ ამ შემთხვევაში ეს არის ფრაზა, რომელსაც შინაარსი არა აქვს.

ციტირებული ადგილიდან ირკვევა: ჯ. ბაქრაძე ფიქრობს, რომ მან ანალიზი გაუკეთა ექსპლოატირებული საზოგადოების იდეოლოგიებს სამართლის ფილოსოფიის დარგში და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: 1. ისინი აბსტრაქტულ იდეებს მიმართავდნენ.

³² ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 178.

³³ უტრნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 87.

³⁴ იქვე, გვ. 86.

³⁵ იქვე, გვ. 87.



2. თავის დროის მიხედვით, წერს ჯ. ბაქრაძე, ამ მოძღვრებებს „პროგრესული მხარეებთან“ ერთად აქვთ არაპროგრესული მხარეებიც.

8. „ძველი დროის. — წერს ჯ. ბაქრაძე. — არცერთი იურისტს, მწერალს, ფილოსოფოსს არ აუმაღლებია მართლმსაჯულების როლი ისე, როგორც ეს გააკეთა შოთა რუსთაველმა; არ დაუკავშირებია ადამიანის საზოგადოებრივი ყოფნა-არყოფნის პრობლემა მართლმსაჯულულის უსამართლო და სამართლიან განხორციელებასთან“³⁸.

ამ ციტატის მიხედვით ვამოდის, რომ ჯ. ბაქრაძეს ამ წერილში განუხილავს ძველი დროის იურისტების, ფილოსოფოსების და მწერლების „დოქტრინები“, უჩვენებია მათ შეხედულებათა პროგრესული და არა პროგრესული მხარეები, შეუდარებია ეს შოთა რუსთაველის „დოქტრინებთან“ და გამოუტანია დასკვნა, რომ ყველაზე უკეთესი მათ შორის რუსთაველია, რადგანაც თუ დანარჩენ „დოქტრინებში“ არაპროგრესულიც არის, რუსთაველის მსოფლმხედველობაში ავტორის მიხედვით ყველაფერი პროგრესულია.

მთავარი ის არის, რომ ჯ. ბაქრაძის აზრით, საკითხი ეხება შოთა რუსთაველის სიდიადეს მართლმსაჯულების საკითხში: შოთა რუსთაველმა, თურმე, ამაღლა მართლმსაჯულების როლი და ადამიანის საზოგადოების ყოფნა-

არყოფნის საკითხი დაუკავშირა მართლმსაჯულების საქმიანობას.

მაშასადამე, თუ მართლმსაჯულება რუსთაველისათვის მთავარი საკითხია, ვამოდის, რომ ჯ. ბაქრაძის „ანალიტიკური ანალიზი“ სხვადასხვა ეპოქის მეცნიერების თუ მწერლებისა, — ამავე საკითხს შეეხებოდა, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, რუსთაველის შეხედულებასთან შედარებით, ჯ. ბაქრაძის წერილში არც ერთი მოაზროვნის შეხედულებასთან დაკავშირებით, ეს საკითხი დასმულიც არ არის.

მაგრამ მთავარია ის, რომ როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველს არ დაუსვამს მართლმსაჯულების საკითხი საერთოდ, კიდევ მეტი, „ვეფხისტყაოსანში“ არ ჩანს საერთოდ პოეტის შეხედულება ამ საკითხზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით თემის დასათაურებაც არ არის მართებული.

ჩვენ არ შეგჩერდებით ყველა შეცდომიზზე, რომელიც სტატიაშია, მოვიყვანეთ ზოგიერთი მათგანი, რომ გვეჩვენებია, ამ წერილში აბსოლუტურად არ მოინახება რაიმე, თუნდაც მცირე მეცნიერული „რაციონალური მარცვალი“, საკვირველია, როგორ მონახა ასეთმა წერილმა ადგილი ჟურნალში?

³⁸ ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1973, გვ. 87.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში
დამატებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23-ე მუხლში დამატებითა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 11 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლს მეცხრე ნაწილის შემდეგ დამატოს შემდეგ შინაარსის ახალი ნაწილები:

„იმ სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად უსჯიან თავისუფლებით აღკვეთის ვადით ერთიდან სამ წლამდე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავეს პიროვნების და

საქმის სხვა გარემოებების, აგრეთვე დამნაშავეს საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, მაგრამ მასზე ზედამხედველობის განხორციელებით გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, დანიშნული სასჯელის ვადით, განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. განაჩენში მითითებული უნდა იქნეს ასეთი გადაწყვეტილების მოტივები.

მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისა და მოხდის წესს და პირობებს ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოფინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი. 1974 წლის 30 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თავისა და სხვა მოკავშირე რეპუბლიკების უკანონო წარმოებისათვის სისხლის სამართლის
პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია გან-

მეორებით ანდა თავისი ჰერის სარეწი იარაღის, ფეოქებადი ან მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, მოპოვებულის და საჭერი იარაღის კონფისკაციით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოფინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი. 1974 წლის 30 აგვისტო.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის
მესამე ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, მომკვლევ პირს, გამოძიებელს, პროკურორს და სასამართლოს უფლება აქვთ იძულებით მოიყვანონ იგი და, ამავე დროს,

იმის მიმართ ვინც თავი აარიდა გამოცხადებას, მიიღონ იგივე ზომები, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის მეორე ნაწილით ან თუ გამოძახებული მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიო ცნობს, მას საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 30 მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. კოჭენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვბუცაძე.

თბილისი. 1974 წლის 30 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნათესავის, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანებისათვის
სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გააქტიურების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 179. ნათესავისა და ნარგავების განზრახ დაზიანება

ნათესავის, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანება, რამაც კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. კოჭენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვბუცაძე.

თბილისი. 1974 წლის 30 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამომავლოდ რევიზიის შესახებ

1. საქართველოს სსრ წყლის კოდექსის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე გამოიყენება საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობის ის

აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ წყლის კოდექსი გამოიყენება იმ საწყლო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა



კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ე. ა. 1974 წლის 1 ოქტომბრიდან.

საწყლო სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც წარმოიშვა საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, ამ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებათა და მოვალეობათა განხორციელება 1974 წლის 1 ოქტომბრიდან რეგულირდება კოდექსის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ წყლის კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ე. ა. 1971 წლის პირველი სექტემბრიდან, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად.

4. შუამდგომლობა განკერძოებულ სარგებლობაში წყლის იმ ობიექტების გადაცემის თაობაზე (მთლიანად ან ნაწილობრივ), რომლებზედაც კომპეტენტურ ორგანოებს არ მიუღიათ გადაწყვეტილებანი წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის, უნდა გადაწყვიტონ კოდექსის 28-ე მუხლში მოხსენებულ-

მა ორგანოებმა კოდექსით გათვალისწინებულ პირობების დაცვით.

შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილება განკერძოებული სარგებლობისათვის წყლის ობიექტების გადაცემის შესახებ, რომელიც მიღებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში 1974 წლის 1 ოქტომბრამდე, მაგრამ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის არ არის შესრულებული, უნდა შესრულდეს საქართველოს სსრ წყლის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ წყლის ობიექტები სარგებლობისათვის გამოყოფილი იყო 1974 წლის 1 ოქტომბრამდე იმ ორგანოების მიერ, რომელთა კომპეტენცია წყლის ობიექტების გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით შეიცვალა, წყლის ობიექტებით სარგებლობის უფლების შეწყვეტა აღნიშნული ვადის შემდეგ უნდა მოხდეს კოდექსის 43-ე და 44-ე მუხლების თანახმად იმ ორგანოების მიერ, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად სარგებლობენ ამ ობიექტების გამოყოფისა და ჩამორთმევის უფლებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ წყლის კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ძონდანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაძე.

თბილისი. 1974 წლის 30 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დაბამებათა შეთანხმების შესახებ

„საქართველოს სსრ წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1974 წლის 5 ივნისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართ-

ლის კოდექსში შეტანილ აქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 491-ე, 492, 506-ე, 508-ე 510-ე, 515-ე, 516ე, 521-ე, 526-ე და 528-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 491. საავტორო უფლება სსრ კავშირში გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე.

აღიარებულია საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც პირველად სსრ კავშირის ტერიტორიაზე გამოქვეყნდა ანდა არ გამოქვეყნებულა, მაგრამ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოიპოვება რაიმე ობიექტური ფორმით, ავტორისა და მისი მემკვიდრეებისათვის მათი მოქა-

ლაქიობის მიუხედავად, აგრეთვე ავტორის სხვა უფლებამონაცვლებისათვის.

მუხლი 492. საავტორო უფლება საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე.

ალიარებულია საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმ მოქალაქეთა საავტორო უფლება, რომელთა ნაწარმოები პირველად უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოქვეყნდა ან იქ რაიმე ობიექტურის ფორმით შიშობებოდა. ეს უფლება ალიარებულია აგრეთვე ამ მოქალაქეთა უფლებამონაცვლეთათვის.

სხვა პირთა საავტორო უფლების ალიარება ნაწარმოებზე, რომელიც პირველად უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოქვეყნდა ან იქ რაიმე ობიექტური ფორმით შიშობებოდა, ხდება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების, ან საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი. იმ შემთხვევაში, როდესაც საავტორო უფლების დაცვა ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაწარმოების გამოქვეყნების ფაქტი განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების დებულებათა თანახმად.

საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქე — ავტორთა უცხოელი უფლებამონაცვლების მიმართ საავტორო უფლება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ალიარებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება მათ გადაეცათ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

მუხლი 501. ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე გამოქვეყნების მიზნით ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნა დასაშვებია მხოლოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლების თანხმობით.

სსრ კავშირის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით ნება დართონ ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნისა და ამ თარგმანის გამოქვეყნებისა, მაგრამ შესაბამის შემთხვევებში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების პირობათა დაცვით, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი.

სხვა ენაზე თარგმნილი ნაწარმოების გამოყენებისათვის გასამრჩელოს კანონის უფლება ეკუთვნის ორიგინალის ავტორს ყველა შემთხვევაში, გარდა კანონში მითითებულისა“.

მუხლი 506. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჩელოს გადაუხდელოდ.

ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჩელოს გადაუხდელოდ, ოღონდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორის ვეარის და

თვით წყაროს აუცილებელი მითითებით, დასაშვებია:

1) გამოქვეყნებული სხვისი ნაწარმოების გამოყენება ახალი, შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნაწარმოების შესაქმნელად, გარდა თხრობითი ნაწარმოების ვადამუშავებისა დრამატულ ნაწარმოებად ან სცენარად და პირიქით, აგრეთვე დრამატული ნაწარმოების ვადამუშავებისა სცენარად და პირიქით;

2) რეპროდუცირება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ცალკეული გამოცემული ნაწარმოებებისა და მათი ნაწყვეტების მეცნიერულ და კრიტიკულ ნაშრომებში, სსსწავლო და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო გამოცემებში; ამასთან, რეპროდუცირება ციტატების სახით დასაშვებია იმ ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს გამოცემის მიზანი, ხოლო რეპროდუცირება სხვა სახით, მათ შორის კრებულებში, არ უნდა აღემატებოდეს ერთი ავტორის ნაწარმოებების ერთი საავტორო თხზავის საერთო ოდენობას;

3) პერიოდული პრესის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ანფორმაციის მიწოდება, მათ შორის რეფერატების, ანოტაციების, მიმოხილვების და სხვა საინფორმაციო-ლოკუმენტური ფორმით, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შესახებ;

4) საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოხსენებების, აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა რეპროდუცირება კინოში, რადიოში და ტელევიზიით. რეპროდუცირებად ითვლება აგრეთვე საჯაროდ შესრულებულ ნაწარმოებთა რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაცია უშუალოდ მათი შესრულების ადგილიდან;

5) საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოხსენებების, აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოქვეყნებული ორიგინალის თუ მათი თარგმანის რეპროდუცირება ვაზეთებში;

6) სახვითი ხელოვნების ნაწარმოების რომელიმე წესით რეპროდუცირება, გარდა მექანიკურ-კონტაქტური ხერხით პირის ვადიდებისა, თუ ეს ნაწარმოები ისეთ ადგილასაა, სადაც შესვლა თავისუფალია, გამოყენებისა და მუზეუმების გამოკლებით;

7) ბუკლეთი ნაწარმოებების რეპროდუცირება საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო მიზნით, მოგების მიუღებლად;

8) სხვისი ნაწარმოების გამოყენება ან რეპროდუცირება პირად მოთხოვნილებათა დამყოფილების მიზნით“.

მუხლი 508. საავტორო უფლების მოქმედების ვადა.



საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის მთელ სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 25 წლის განმავლობაში. ეს დრო გამოითვლება გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან.

ავტორის სიკვდილის შემდეგ მისი სახელის და ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვა ხორციელდება ამ კოდექსის 503-ე და 505-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 509. საავტორო უფლების მემკვიდრეობით გადასვლა.

საავტორო უფლება გადადის მემკვიდრეობით. მემკვიდრეობით არ გადადის ავტორის უფლება სახელზე და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.

ავტორის სიკვდილის შემდეგ საავტორო უფლება ნაწარმოებზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში გადადის მემკვიდრეობით და მოქმედებს 25 წლის განმავლობაში, ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან დაწყებული.

საავტორო უფლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებზე მოქმედებს 20 წლის განმავლობაში დღიდან ამ ნაწარმოების რეპროდუქციის წესით გამოქვეყნებისა.

საავტორო უფლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებზე გადადის მემკვიდრეობით იმ ვადის განმავლობაში, რაც დარჩა ავტორის გარდაცვალების დღისათვის.

მუხლი 510. საავტორო უფლების მოქმედების ვადა კოლექტიურ ნაწარმოებზე.

საავტორო უფლება კოლექტიურ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული ავტორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და გადადის მემკვიდრეობით.

თითოეული თანაავტორის მემკვიდრეები სარგებლობენ საავტორო უფლებით 25 წლის განმავლობაში, ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან დაწყებული“.

მუხლი 515. საავტორო ხელშეკრულება და მისი ტიპები.

ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვთ ნაწარმოების გამოყენების მიზნით დადოს სათანადო ორგანიზაციასთან საავტორო ხელშეკრულება.

საავტორო ხელშეკრულებები შეიძლება აყოს ორი ტიპისა:

საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ,

საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის

შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე გადასცემს ან კისრულობს შექმნას და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადასცეს ორგანიზაციის თავისი ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გამოსაყენებლად, ხოლო ორგანიზაცია კისრულობს გამოიყენოს ეს ნაწარმოები, ან ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შეუღდგეს მის გამოყენებას (ამ კოდექსის 522-ე მუხ.). აგრეთვე ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს მისცეს გასამრჩელო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულებით ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე უფლებას აძლევს ორგანიზაციას გამოიყენოს მისი ნაწარმოები (მათ შორის თარგმნოს სხვა ენაზე ან გადააყენოს იგი) იმ ფარგლებში და იმ ვადით, რაც დათქმულია ხელშეკრულებით, ხოლო ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მას გასამრჩელო ამ უფლებისათვის, ან ნაწარმოების გამოყენებისათვის ხელშეკრულებით დადგენილი ფორმით, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული ან თუ მხარეები სხვა რაიმეზე არ შეთანხმებულან.

მუხლი 516. გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებათა სახობებში.

გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებებს მიეკუთვნება:

1) ხელშეკრულება ორიგინალის სახით ნაწარმოების გამოცემის ან ხელახლა გამოცემის შესახებ (საგამოცემლო ხელშეკრულება);

2) ხელშეკრულება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების სეარარდ შესრულების შესახებ (დადგმის ხელშეკრულება), რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ ითვალისწინებს ერთდროული გასამრჩელოს გაცემას, ავტორს შეუძლია დადოს მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან;

3) ხელშეკრულება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების მრეწველობაში გამოყენების შესახებ; აგრეთვე სხვა ხელშეკრულებები ლიტერატურის, მეცნიერების ან ხელოვნების ნაწარმოებთა სხვა რომელიმე წესით გამოსაყენებლად გადაცემის შესახებ“.

მუხლი 521. მესამე პირის მიერ იმ ნაწარმოების გამოყენების შეზღუდვა, რომელზედაც დადებულია ხელშეკრულება.

გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებაში აღნიშნული ნაწარმოები ან მისი



ნაწილი იმავე სახით გამოსაყენებლად, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, გარდა ტაობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი შეზღუდვის ვადა წესდება ტაობრივი ხელშეკრულებით, მაგრამ არ შეიძლება აღმატებოდეს სამ წელს იმ დღიდან, როცა ორგანიზაციამ ნაწარმოები მოიწონა. ტაობრივი ხელშეკრულება შეიძლება ოთვალისწინებდეს შემთხვევას, როცა ავტორს უფლება არა აქვს გადასცეს თავისი ნაწარმოები გამოსაყენებლად სხვა სახით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის დათქმული“.

მუხლი 528. საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება სხვა ენაზე გადათარგმნის ან გადაკეთების გზით ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ.

სხვა ენაზე გადათარგმნის ან გადაკეთების გზით (კერძოდ, თხრობით ნაწარმოების დრამატულ ნაწარმოებად ან სცენარად, ანდა პირიქით) ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავენ მხარეები ხელშეკრულების დადებისას, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

მუხლი 558. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის.

თუ გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით დადგინდეს ვადაში (ამ კოდექსის 522-ე მუხ.) ორგანიზაცია არ გამოაყენებს მოწონებულ ნაწარმოებს, ან არ შეუდგება მის გამოყენებას, იგი მოვალეა ავტორის მოთხოვნით მთლიანად გადაუხადოს მას დათქმული გასამრჩელო. ამ შემთხვევაში ავტორს უფლება აქვს ავრთვე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულებით ჩაბარებული ნაწარმოების ცალკების დაბრუნება. ორგანიზაცია თავისუფლდება მოვალეობისაგან გადაუხადოს ავტორს გასამრჩელოს ის ნაწილი, რომელიც მას უნდა მიეღო ნაწარმოების გამოყენების დაწყების შემდეგ, თუ დაამტკიცებს, რომ არ შეეძლო გამოყენებინა ნაწარმოები თვით ავტორისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო“.

2. 489-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „გარამაფონის ფირფიტები და ნაწარმოებთა ტექნიკური ჩანაწერის სხვა სახეობანი“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნაწარმოებები, რომლებიც გამოსახულია მექანიკური ან სხვა ტექნიკური ჩანაწერის დახმარებით“.

3. 493-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქე—ავტორის მიერ უცხო

სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ნაწარმოების გამოყენების უფლების გადაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა“.

4. 495-ე მუხლს დამატოს სიტყვები:

„ეს დებულება არ ვრცელდება იმ იურიდიულ პირებზე, რომლებმაც საავტორო უფლება მოიპოვეს ხელშეკრულებით“.

5. მე-500 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტორის ნაწარმოების გამოყენება (მათ შორის თარგმნა) სხვა პირთა მიერ დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის უფლებამონაცვლებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა კანონში აღნიშნული შემთხვევებისა“.

6. 502-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი.

7. 503-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მეხამე ნაწილი:

„ავტორის თანხმობა, რომელიც მიღებულია საავტორო ხელშეკრულების დადების დროს, არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს ცალმხრივად“.

8. 518-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვა „მემკვიდრეებთან“ შეიცვალოს სიტყვებით „უფლებამონაცვლებთან“ და ამავე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ავტორმა ან მისმა უფლებამონაცვლებმა საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად ზარალი განიცადეს (ამ კოდექსის 212-ე მუხ.), ავტორს ან მის უფლებამონაცვლებს უფლება აქვთ, ამ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, მოითხოვონ აგრეთვე ზარალის ანაზღაურება“.

9. 514-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი.

10. 518-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საავტორო ხელშეკრულებები იდება ტიპოური ხელშეკრულებების შესაბამისად“.

11. 520-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორი მოვალეა შეასრულოს შეკვეთით ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და ჩააბაროს იგი ორგანიზაციას ხელშეკრულებით დათქმული წესით და დადგინდეს ვადაში“.

12. 522-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ორგანიზაცია მოვალეა გამოიყენოს ან შეუდგეს მის მის გამოყენებას ხელშეკრულებით დათქმული წესით და დადგინდეს ვადაში, რომელიც არ

შეიძლება აღმეტებოდეს ორ წელს ნაწარმოების მოწონების დღიდან. ეს მოვალეობა არ ვრცელდება იმ ორგანიზაციაზე, რომელმაც დადო სასცენარო ხელშეკრულება ან ხელშეკრულება სამხატვრო შეკვეთის შესახებ“.

13. 527-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტორი მოვალეა დააბრუნოს საავტორო გასამრჩელო, რომელიც მან მიიღო გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით, თუ ორგანიზაციამ მოშალა ხელშეკრულება იმის გამო, რომ ავტორმა: თავისი ბრალით არ ჩააბარა ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში; არ შეასრულა შეკვეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ან შეასრულა არაკეთილსინდისიერად; უარი თქვა შესწორებების შეტანაზე, რომლებიც მას მოთხოვეს იმ წესით და იმ ფარგლებში, რაც დადგენილი

იყო ხელშეკრულებით; დაარღვია მოვალეობა, პირადად შეესრულებინა სამუშაო ან დაარღვია ამ კოდექსის 521-ე მუხლით გათვალისწინებული წესები“.

II. ეს ბრძანებულება გამოიყენება იმ სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ.

1973 წლის 1 ივნისამდე წარმოშობილ სახელშეკრულებო და სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში ეს ბრძანებულება გამოიყენება იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 508-ე და 510-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები საავტორო უფლების მოქმედების ვადის შესახებ არ გამოიყენება იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომლებზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გავიდა 1973 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოჩინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კპაზაძე.

თბილისი. 1974 წლის 30 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

„მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საქონელზეაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების მე-2 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ადგილს:

„მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ის პირები, რომლებიც აღრიცხვის დროს გადამაღავენ პირუტყვის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებით დაჯარიმდებიან 30 მინუთამდე.

თუ მოქალაქე გაფრთხილების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში არ მოახდენს იმ პირუტყვის რეალიზაციას, რომელიც ჰყავს ნორმის ზევით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-

ტის გადაწყვეტილებით მას ჩამოერთმევა ეს პირუტყვი და გადაუხდინა მოქმედი სახელმწიფო შესყიდვის ფასების 50 პროცენტს, ამ პირუტყვის რეალიზაციისათვის გაწეული ხარჯების გამოქვითვით.

შრომისუნარიან მოქალაქეს, რომელიც არ ეწევა სასოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას პირუტყვის პირად საკუთრებაში ყოლის უფლება, ხოლო თუ ასეთი პირი ერთი თვის განმავლობაში გაფრთხილების შემდეგ არ მოახდენს პირუტყვის რეალიზაციას, მას ადმინისტრაციული წესით უნდა ჩამოერთვას იგი და გადაუხდინა მოქმედი სახელმწიფო შესყიდვის ფასების 50 პროცენტს, ამ პირუტყვის რეალიზაციისათვის გაწეული ხარჯების გამოქვითვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოჩინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კპაზაძე.

თბილისი. 1974 წლის 30 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლში
დამატების უმაღლესი უწყისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიუმი ადგენს:

შეტანა იქნეს დამატება საქართველოს სსრ
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
62-ე მუხლის პირველ ნაწილში და იგი ჩამო-
ყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მომკვლევ პირს, გამოძიებელს, პროკურორს
და სასამართლოს უფლება აქვთ მათ წარმოება-
ში არსებული საქმის გამო ამ კოდექსის დად-

გენილი წესით გამოიწვიონ ყოველი პირი და-
კითხვისათვის — როგორც მოწმე, დაზარალე-
ბული ან დასკვნის მისაცემად, — როგორც ექს-
პერტი; მოსთხოვონ დაწესებულებას, საწარმოს,
ორგანიზაციას, თანამდებობის პირს და მოქა-
ლაქელ წარმომადგინონ საგნები და დოკუმენტები,
რომელთა საშუალებით შეიძლება საქმისათვის
საჭირო ფაქტიური მონაცემების დადგენა; მი-
ითხოვონ რევიზიის ჩატარება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და

სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილების კალაბაკაგულად
ცნობის თაობაზე

„სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი
ორგანოების საქმიანობის საკითხებზე სსრ კავ-
შირის მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებათა
ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავ-
შირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ივლი-
სის № 604 დადგენილებასთან დაკავშირებით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-
უმი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩათვალოს სრულიად სა-
ქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის
7 დეკემბრის დადგენილება „სასოფლო აღმას-
რულებელთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ.
1937 წ. № 21, მუხ. 153).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

პროფესორ იანა შინხაიოს დაბადების 70-ე წლისთავის გამო

მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იანე ზაქარაიას ძე ცინცაძეს 70 წელი შეუსრულდა.

ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მას როგორც ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელს და საუკეთესო ლექტორს, პედაგოგს, რომელიც ახალგაზრდობას უნერგავს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და ხალხისათვის უანკარო სამსახურის კეთილშობილურ გრძნობას.

ი. ცინცაძე დაიბადა 1904 წელს სოფელ ბუკისციხეში (ჩოხატაურის რაიონი) მასწავლებლის ოჯახში. 1921 წელს, ფოთის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტად. ნიჭიერი ახალგაზრდა, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, სწავლობდა ქართველი ერის ისტორიას, ხოლო პროფესორ მიხეილ პოლიევქტოვის სემინარებში რუსეთის ისტორიაც შეისწავლა. თავისი საღიბლომო ნაშრომი ი. ცინცაძემ მიუძღვნა სოლომონ I-ის დროს რუსეთშიერეთის ურთიერთობის ისტორიას. 1926 წელს მ. პოლევქტოვის რეკომენდაციით ი. ცინცაძე დატოვეს უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრასთან სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად. ამიერიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემატიკა გახდა იანე ცინცაძის კვლევითი მუშაობის ძირითადი სფერო.

1929 წლიდან ი. ცინცაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1947-1950 წლებში იყო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1950 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის პროფესორია.

ამავე დროს ი. ცინცაძე მუშაობდა საქართველოს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში

და უმაღლეს სასწავლებლებში. კიბნულობდა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კურსს ჯერ ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, შემდეგ — უმაღლეს პარტიულ სკოლაში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც წლების მანძილზე სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრასაც ხელმძღვანელობდა. მუშაობდა აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტშიც.

1958 წელს ი. ცინცაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კახეთის სამეფოს საკითხი მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში XVI საუკუნეში“. ხოლო 1947 წელს — სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს)“.

იანე ცინცაძე ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემების კვლევაში ი. ცინცაძემ ბევრი საკითხი ახლებურად შეისწავლა და გადაჭრა, ამასთანავე გამოაქვეყნა ექვსი მნიშვნელოვანი ახალი დოკუმენტი.

თავის მონოგრაფიაში — „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს)“; — რომელიც 1956 წელს გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ, ი. ცინცაძემ გულდასმით შეაგროვა და შეისწავლა X-XVI საუკუნეების (80-იან წლებამდე) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მასალა ლიტერატურული წყაროების მიხედვით და ხაინტერესო დასკვნებზე მოგვცა. აღსანიშნავია, რომ, გარდა თვით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისა, მან საყურადღებო დაკვირვებები საკუთარ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც შემოგვთავაზა.



სპეციალური სტატია მიუძღვნა ო. ცინცაძემ XVI საუკუნის რუსულ ლიტერატურულ ძეგლს „თქმულებას დინარ დედოფალზე“. ეს სტატია გამოქვეყნდა 1939 წელს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში“. ქართული წყაროების მონაცემებთან ამ ძეგლის შინაარსის შედარების საფუძველზე ო. ცინცაძემ დაასკვნა, რომ რუსულ თქმულებაში მხოლოდ შამქორის ბრძოლის ამბავი კი არ არის ასახული, როგორც ეს მ. ბროსეს ეგონა, არამედ თამარ მეფის ეპოქის სხვა ბრძოლებიცა და მოვლენებიც. ამასთანავე, ო. ცინცაძემ გამოთქვა ხაინტურესო მოსაზრებები თვით ამ ძეგლის დაწერისა და ქართველებს მიერ პირველად ამ თქმულების გაცნობის ღრობის შესახებ და სხვ.

1962 წელს ო. ცინცაძემ გამოაქვეყნა საქართველოს შესახებ XI-XVI საუკუნეების რუსული წყაროების ქართული თარგმანები.

XII საუკუნის პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებს ო. ცინცაძე შეეხა რამდენიმე ნაშრომში.

მაგალითად, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არქივიდან (XVII ს)“ (დაიბეჭდა კრებულ „მიმოხილველის“ მეორე ტომში 1951 წ.), „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან“ (დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომების პირველ ტომში (1955 წ.), „საქართველოს მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან“ (გამოქვეყნდა 1955 წ. შურნალ „მნათობის“ მეორე ნომერში), „მძველს საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში“ (დაიბეჭდა 1961 წ. შურნალ „საბჭოთა სამართალში“, № 4), „ვასილ გაგარისა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ“ (გამოქვეყნდა 1965 წ.), ამასთანავე უნდა აღინიშნოს ო. ცინცაძის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილ და გამოქვეყნებული მასალები: „ალექსი ივლევის 1650-1652 წ. წ. იმერეთის სამეფოში ელჩობის ხანგარისო აღწერილობა“ (თბილისი, 1960 წ.) „ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივ აღწერილობა (1650-1652 წ. წ.)“ (თბილისი, 1970).

მრავალი ხაინტურესო გამოკვლევა და დოკუმენტური მასალის პუბლიკაცია მიუძღვნა

იასე ცინცაძემ XVII საუკუნის პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას.

ამ ნაშრომთა შორის დედასახელებთ შემდეგს: „რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლს ისტორიისათვის“ („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942 წ.), „კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან“ (1754-1756 წწ.), „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. XXVII, 1946 წ.), „ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში 1752-1754 წლებში“ (საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს „საისტორიო მთაბე“, 1952 წ.), „1788 წლის მფარველობითი ტრაქტატი“ (თბილისი, 1960), „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლ-კახეთის ელჩობა რუსეთში“ („საისტორიო მთაბე“, ტ. XVII-XVIII, თბილისი, 1964), „ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“. ამ უკანასკნელმა ნაშრომმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ამიტომ წიგნი ორჯერ გამოიცა 1968 და 1969 წლებში.

აღნიშნული ნაშრომებით იასე ცინცაძემ გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია და ზოგ ისტორიულ საბუთს პირველმა მოჰქინა შუქი.

ო. ცინცაძის პუბლიკაციებით ხშირად სარგებლობენ საქართველოს ისტორიის სპეციალისტები, როგორც თვით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის, ისე სხვადასხვა საკითხების კვლევისაც. რუსეთ-საქართველოს ისტორიის დარგში იასე ცინცაძის მიერ დაწერილი საყურადღებო მონოგრაფიები ხშირად გამხდარა სპეციალური განხილვის საგანი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ო. ცინცაძის მიერ დაწერილი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომებიც, რომლებმაც მკითხველთა ფართო წრეების დიდი ინტერესი გამოიწვიეს. მათს რიცხვს ეკუთვნის: „ბასიანის ბრძოლა“, (თბილისი, 1971), „უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (თბილისი, 1954), პროფესორ შ. მესხიასთან თანავტორობით რუსულ ენაზე გამოქვეყნებული „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVIII სს)“ (თბილისი, 1958) და მრავალი წერილი, რომელიც შურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა.

საქართველოს მშენებელი

1. საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვის დროს, მარტოდღენ უკმარის მიწოდების ფაქტი არ იძლევა საფუძველს მიწოდების შესახებ არსებული დებულებების 82 მუხლის შეფარდებისათვის

„საქბაკალის“ თბილისის ბაზამ აღძრა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილებასთან 1972 წელს ჩაის აუთენსებლობისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე. თავის მოთხოვნას „საქბაკალის“ თბილისის ბაზა იმ ფაქტით ასაბუთებდა, რომ გამოყოფილი 9,8 ტონა ჩაის ფონდიდან მოპასუხემ აითვისა 6,1 ტონა და მოითხოვა 3,7 ტონის ღირებულებიდან 5 პროცენტიანი ჯარიმის გადახდევინება თანხით 1391,2 მან. საქმის გარჩევის პროცესში სახარბიტრმა დაავალა მხარეებს ურთიერთანგარიშების შედარება, რის შედეგად დადგინდა 1,3 ტონა ჩაის აუთენსებლობა. სარჩელი დაკმაყოფილდა ჯარიმის შესაბამისი თანხით. არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხემ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილებამ, რომელმაც მთლიანად უარყო თავისი პასუხისმგებლობა და განაცხა-

და: ურთიერთანგარიშება კომპეტენტურ პირს არ მოუხდენია, ხოლო საქონლის მიწოდება ცენტრალიზებული წესით ხდებოდა და, მაშასადამე, საქონელი მყიდველის საწყობში თვითონ მიმწოდებელს უნდა მიეტანაო.

საჩივარი დაკმაყოფილდა. ზედწესით გამოტანილ დადგენილებაში მთავარმა არბიტრმა აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება ჩაის შეზიდვას ცენტრალიზებული წესით ითვალისწინებს, ამდენად, მაძიებელი ვალდებული იყო თვითონ შეეხიდა ჩიი მოპასუხისათვის.

ხოლო ვინაიდან მან ვერ დაადასტურა, რომ მყიდველმა უარი განაცხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებაზე ამდენად მაძიებელს საფუძველი არ ჰქონდა მოეთხოვა მოპასუხისაგან ჯარიმა სადავო პერიოდში საქონლის აუთენსებლობისათვის.

2. სახლმწიფო არბიტრაჟზე გაწეული ხარჯის ანაზღაურება დაეკისრა მაძიებელს მისი მცდარი, უკანონო მოქმედების გამო

სარატვისი სავაჭრო-მემსყიდველმა ბაზამ აღძრა სარჩელი თბილისის მეორე უნივერსიტეტის № 3 მაღაზიის მიერ 10602 მან. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა მიწოდებულ სამრეწველო ნაწარმის ღირებულებას. მიმწოდებლის ანგარიშის აქცეპტზე მყიდველმა უარი განაცხადა ფასების დაუსაბუთებლობის გამო. გარდა ძირითადი თანხისა მაძიებელი მოპასუხისაგან ითხოვდა კიდევ ჯარიმას ანგარიშის აქცეპტზე უსაფუძვლოდ თქმისათვის და სახელმწიფო არბიტრაჟზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებებს. საქმის განხილვის პროცესში არბიტრაჟმა დაადგინა, რომ სადავო ანგარიში ნამდვილად არ იყო აღნიშნული საქონლის ფასის დასაბუთება და რომ ასეთი დასაბუთება არ იყო ნაჩვენები არც საპრეტენზიო წერილში და არც ძიებით განცხადებაში. გამომდინარე აქედან სარჩელი დაკმაყოფილდა, მხოლოდ ძირითადი თანხის 10602 მან. ნაწილში, ჯარიმის გადახდევინებისა და საბაჟის ხარჯის ანაზღაურებაში მოსარჩელეს უარი ეთქვა. მაძიებელმა გაასა-

ჩივრა არბიტრაჟის გადაწყვეტილება და საჩივარს დაურთო დებულების ასლი ვაგზავნილი მოპასუხის მისამართით საქონლის ვაგზავნიდან სამი თვის შემდეგ, რომელიც შეიცავდა ფასების პრეისკურანტზე მითითებას. საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. მაძიებელს მიეთითა, რომ საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 50 მუხლის ძალით გადამხდელს უფლება აქვს მთლიანად თქვას უარი სავადასახლო მოთხოვნის აქცეპტზე, როცა სავადასახლო მოთხოვნაში არ არის ნაჩვენები მიწოდებული საქონლის ფასის დასაბუთება. მაშასადამე მოპასუხის უარი სადავო ანგარიშის აქცეპტზე სასჯებით კანონიერი იყო, ხოლო მისი დაჯარიმებისათვის საფუძველი არ არსებობდა. მოსარჩელემ პრეტენზიის წარმოდგენის დროსაც არ შეავსო ეს ხარვეზი, არ მიუთითა ვადამხდელს გამოწერილი ანგარიშის ფასების დასაბუთება და, მაშასადამე, არაფერი იღონა დავის ნებაყოფლობით მოგვარებისათვის. ამიტომ სამეურნეო დავების განხილვის მოქმედი წესე-

ბის 42-ე მუხლის მეოთხე აბზაცის ძალით, სახელმწიფო ბაჟის ხარჯი სწორად დაეკისრა მაძიებელს, რომლის არასწორი მოქმედების გამო აღიძრა საარბიტრაჟო დავა. შემდგომში მოსარ-

ეღემ შემოიტანა განმეორებით საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდას, მაგრამ ეს საჩივარიც დატოვებული იქნა უშედეგოდ.

3. მიწოდების ხელშეკრულების დადების დროს პროდუქციის ტექნიკური დახასიათების წარმოდგენა მყიდველის მოვალეობა.

იაროსლავის ჩარხმშენებელმა ქარხანამ არბიტრაჟში აღძრული სარჩელით მოითხოვა სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატისაგან 500 მანეთი ჯარიმა ხელშეკრულების დადების ვადის დარღვევისათვის. სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 77 მუხლის შესაბამისად, ვინაიდან საქმეში დართული საბუთებით დადგინდა, რომ ხელშეკრულების პროექტი მიმწოდებელმა იაროსლავის ქარხანამ გაუგზავნა მყიდველს 1972 წლის 31 აგვისტოს, ხოლო ხელშეკრულება ხელმოწერილი სახით დაბრუნებული იქნა 16 ოქტომბერს ე. ი. თვენანჭერის შემდეგ ნაცვლად დადგენილი ათი დღისა.

ზეწესით შემოტანილ საჩივარში მოპასუხემ განაცხადა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა შეჩერებული იქნა, ვინაიდან მას არ ეართოდა ტექნიკური დახასიათება, რომელიც მიღებულ იქნა მიმწოდებლისაგან 12 ოქტომბერს, ხელშეკრულება კი გაფორმდა 16 ოქტომბერს ე. ი. ტექნიკური დახასიათების მიღებიდან ოთხი დღის შემდეგ. მომჩივანი ეყრდნობოდა რა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1972 წლის

№—1-27 ინსტრუქციულ წერილს ითხოვდა ჯარიმის გადახდასაგან განთავისუფლებას.

ზეწესით შემოტანილი საჩივრის განხილვის დროს მთავარმა არბიტრმა გაითვალისწინა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის №—1-27 ინსტრუქციაში ლაბარავია ტექნიკურ პირობებზე, რომელიც გარკვეული პირობების დაცვით მიმწოდებელმა უნდა დაუერთოს ხელშეკრულების პროექტს, ხოლო ტექნიკური დახასიათების გამოგზავნა, პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 92 მუხლის ძალით, შეადგენს მყიდველის მოვალეობას და ესეც იმ შემთხვევაში თუ მისაწოდებელი პროდუქცია თავისი ხასიათით მოითხოვს ასეთი ტექნიკური დახასიათების წარმოდგენას სპეციფიკაციასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების დადების ინიციატივა გადადის მყიდველზე. მოცემულ დავაში კი მყიდველს, თუ მას სჭირდებოდა ტექნიკური დახასიათება, უნდა მიემართა სპეციალური კატაღისადმი ან მისი ზემდგომი ორგანოსადმი, რომელმაც დაუშვა მას განრიგი, ხოლო ხელშეკრულების დადების დადგენილი ვადა კი უნდა ყოფილიყო დატული. საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

4. გადაფასების შემდეგ დარჩენილი პროდუქციის რელიზაცია უნდა მოხდეს ახალი ფასებით

რუსთავის ამწმშენებელმა ქარხანამ 1973 წლის მაისში შეიძინა ტრესტ საქმასტმშენის საწარმოთ ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოსაგან ზედმეტი გამოუყენებელი ფასეულობათა რელიზაციის წესით ოთხი ცალი საკომპლექტო დეტალი ოგ. №—1. პროდუქციის ღირებულება განადგებული იქნა 1971 წლის პრეისკურანტით. ვინაიდან ფასები ამ სახის პროდუქციაზე 1973 წლის იანვრიდან შეცვლილ იქნა და ნაცვლად 265 მანეთისა თითოეული ცალის ღირებულება გახდა 130 მან. რუსთავის ამწმშენებელმა ქარხანამ აღძრა სარჩელი ფასთა სხვაობის ანაზღაურებაზე და განაცხადა, რომ განადგობის დროს მან არ იცოდა ახალი პრეისკურანტის არსებობის შესახებ. მოპასუხემ სარჩელი არ იცნო და განმარტა, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს № 9-113 ინსტრუქციის ძალით ახალი პრეისკურანტის

მიხედვით გადაფასებული იქნა, მხოლოდ ძირითადი ფონდები, შექმნილი კაპიტალური დაბანდებათა დაფინანსების ანგარიშში, ხოლო სადავო ცალკეული დეტალები მას შექმნილი აქვს სხვადასხვა მიმწოდებელისაგან წინათ მოქმედი ფასებით საბრუნავი სახსრებიდან და როგორც ასეთი გადაფასებას არ ექვემდებარებოდა. მაძიებლის წარმომადგენელი ვაძრთხილებული იყო ფასის შესახებ და თანახმა იყო ასეთის გადახდაზე და კიდევაც გადაიხადა ჩეკის გამოწერის გზით, ამის საფუძველზე მოპასუხე ითხოვდა სარჩელში უარის თქმას.

წამოჭრილი დავასთან დაკავშირებით სახელმწიფო არბიტრაჟი შეეითხა ფასების სახელმწიფო კომიტეტს. ფასების კომიტეტმა № 3-1-18 წერილით აცნობა არბიტრაჟს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ

კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის 20 დეკემბრის № 403/19 ინსტრუქციის ძალით გადაფასების შემდეგ დარჩენილი პროდუქციის

რეალიზაცია უნდა მოხდეს ახალი ფასებით. ამის შესაბამისად რუსთავეის ქარხნის საარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა.

5. ხელშეკრულება იმ პროდუქციის მიწოდებაზე, რომელიც ნაწილდება საგეგმო წესით იღება დადგენილი წესით გაცემული განრიგების ან მათი შემცველი დოკუმენტების საფუძველზე

მეტალურგმშენის ტრესტის საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველომ შემოიტანა განცხადება თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მიმართ მარმარილოს ფილების მიწოდებაზე ხელშეკრულების დადების იძულების შესახებ და მოითხოვა ხელშეკრულების დადებისათვის თავის არიდებისათვის დადგენილი ჯარიმის თანხის გადახდევინება. თავისი მოთხოვნის საფუძველად სამმართველომ წარმოადგინა ტრესტი „მშენკომპლექტაციის“ შეტყობინება ფონდების განაწილების შესახებ. თბილისის საშენ მასალათა კომბინატმა უარყო მოთხოვნა და განაცხადა, რომ მას არა აქვს განრიგი გაცემული სათანადო მომარაგება-გამსღებელი ორგანოს მიერ სამმართველოსათვის მარმარილოს ფილების მიწოდებაზე და ამიტომ იგი არ არის ვალდებული დაუდოს მას ხელშეკრულება. საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოს მის მოთხოვნაში უარი ეთქვა სათანადო დასაბუთების უქონლობის გამო. არბიტრაჟის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორჯერ მთავარი არბიტრისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

წინაშე. ორივე საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. მომჩივანს მიეთითა, რომ საწარმოო ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების მე-6, მე-8 და მე-9 მუხლების თანახმად ხელშეკრულება იმ პროდუქციის მიწოდებაზე, რომელიც ნაწილდება საგეგმო წესით, იღება მომარაგება გასაღების შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული განრიგების ან მათი შემცველი დოკუმენტების საფუძველზე. სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ტრესტი „მშენკომპლექტი“ წერილი ფონდების გამოყოფის შესახებ, ისევე როგორც მშენებლობის სამინისტროს მიერ მოხდენილი ფონდების განაწილება ასეთ განრიგს ვერ სცვლის, ვინაიდან ფონდების განაწილება ფონდის მფლობელს უნდა ეცნობებოდა მომარაგება გასაღების ორგანოსათვის, რომელიც ამის საფუძველზე 15 დღის განმავლობაში გასცემდა სათანადო განრიგს.

ხელშეკრულების დადებისათვის სათანადო გეგმური საფუძვლის უქონლობის გამო საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოსათვის უარის თქმა სწორად არის მიჩნეული.

მშახის ორჯანოების პრაქტიკა

1. სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის დადგენის აქტის რეგისტრაციის დროს საჭიროა სრულწლოვანი პირის თანხმობა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მშახის ორჯანოების სამმართველოში შემოვიდა მოქ. თაის საჩივარი იმის შესახებ, რომ მშახის ბიურომ მას მიმართ მამობის დადგენის აქტის რეგისტრაციის შედეგად, ისე შეიტანა ცვლილება დაბადების ჩანაწერში (დედის გვარი შეიცვალა მამის გვარით). რომ მას, სრულწლოვან მოქალაქეს არავინ არაფერი შეუთანხმა.

სამმართველომ განუმარტო მოქ. თაის, რომ რაიონის მშახის ბიუროს მოქმედება უსწორია, რადგან საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის 170-ე მუხლის შესაბამისად, სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის დადგენის აქტის რეგისტრაციის დროს საჭიროა მისი თანხმობა.

2. მამის მონაცემები შეიტანება ჩანაწერში, როცა მამობა არ არის დადგენილი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მშახის ორჯანოების სამმართველოში შემოვიდა მოქ. ლის საჩივარი იმის შესახებ, რომ იგი დაბადებულა არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად და მის დაბადების მოწმობაში არ არის შეტანილი მამის მონაცემები. ვინაიდან ამოთ იგი ტრავირებულია, მომჩივანმა და მისმა დედამ მიმართეს მშახის ბიუროს რათა არსებული წესის შესაბამისად შეეტანათ დაბადების ჩანაწერში მამის მონაცემები, მაგრამ მშახის ბიუ-

რომ იმ მოტივით, რომ მომჩივანი უკვე სრულწლოვანია, თავი შეიკავა დაბადების ჩანაწერში სათანადო გრაფის შევსებაზე.

სამმართველომ განუმარტა როგორც მომჩივანს, ისე მშახის ბიუროს, რომ სრულწლოვანისა და მისი დედის განცხადების, აგრეთვე დაბადების მოწმობის საფუძველზე მშახის ბიურო დედის გვარის მიხედვით შეაფასებს მამის მონაცემებს, (სახელს, მამის სახელს და ეროვნებას) და გასცემს დაბადების მოწმობას:

3. მსჯავრდებული პირის მეუღლის განცხადებით განქორწინების აქტის რეგისტრაციისათვის საჭიროა მსჯავრდებული მეუღლისაგან ცნობა იმის შესახებ რომ არა აქვს დავა ბავშვების თაობაზე, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე, ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ აღიშენების გადახდებზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მშახის ორჯანოების სამმართველოს საჩივრით მიმართა მოქ. კ-ქმ, იმის შესახებ, რომ მის მეუღლეს კანონიერ ძალაში შესული სახალხო სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიიტანა რა განაჩენის პირი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშახის ბიუროში იგი არ ახდენს განქორწინების რეგისტრაციას, ვიდრე არ მიიღებს პასუხს განმცხადებლის მსჯავრდებულ მეუღლისაგან.

სამმართველომ განუმარტა მოქ. კ-ქმს, რომ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად შეტანილი განცხადების შესახებ მშახის ბიურო უწყებს პატიმრობაში მყოფ მეუღლეს. ამ უწყებაში განისაზღვრება ვადა პასუხის შეტყობინებისა იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულ მეუღლეს არა აქვს დავა განმცხადებელთან ბავშვების თაობაზე, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე, ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ აღიშენების გადახდებზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე მშახის ბიუროს მოქმედება სწორია. თუ მშახის ბიურო დაწესებულ ვადაში (არა უმეტეს 3 თვისა) არ მიიღებს ხსენებულ ცნობას მსჯავრდებულ მეუღლისგან, შეუძლია გააფაროს განქორწინების რეგისტრაცია. თუ პატიმარი მეუღლე აცნობებს მშახის ბიუროს, რომ ზემოთხაზოთვლილ მომენტებიდან ერთ ერთზე მაინც დაობს განმცხადებელთან, მაშინ განქორწინების საკითხი წყდება სასამართლოში.

სამმართველომ განუმარტა მოქ. კ-ქმს, რომ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად შეტანილი განცხადების შესახებ მშახის ბიურო უწყებს პატიმრობაში მყოფ მეუღლეს. ამ უწყებაში განისაზღვრება ვადა პასუხის შეტყობინებისა იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულ მეუღლეს არა აქვს დავა განმცხადებელთან ბავშვების თაობაზე, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე, ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ აღიშენების გადახდებზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს.



4. შაჩის მიერ სახელის გამოცვლა იმას არ ნიშნავს, რომ სრულწლოვანმა შვილმაც გამოიცვალოს შაჩის სახელი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს აღვოკატურის, ნოტარიატისა და შაჩის ორგანოების სამმართველოს საჩივრით მიმართა მოქ. კ-ქმ, იმის შესახებ, რომ შაჩისმა გამოიცვალა სახელი, რის შედეგად გამოეცვალათ შაჩის სახელი მის არასრულწლოვან და-ძმას, ხოლო შიში დაბადების საქტო ჩანაწერში შაჩის ორგანოებმა არ შეიტანეს ცვლილებები და დაუხედავად იმისა, რომ შაჩა კარგახანია სხვა სახელს ატარებს მას საბუთებში ისევ შაჩის ძველი სახელი უწერია.

სამმართველომ განუმარტა მოქ. კ-ქმ, რომ შაჩის ორგანოების მოქმედება სწორია, რადგან „სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ გვარის, სახელის და შაჩის სახელის გამოცვლის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის წესის შესახებ“ დებულებაში ხანგასმითაა აღნიშნული, რომ ასეთ შემთხვევაში შაჩის სახელი ეცვლება არასრულწლოვან შვილებს, რაც შეეხება სრულწლოვან შვილებს მათ დამოუკიდებლად, უნდა დააყენონ შაჩის ბიუროში შაჩის სახელის გამოცვლის საკითხი.

5. ბავშვისათვის სახელის მინიჭება თუ მშობლის სურვილის გაუთვალისწინებლად მოხდა, შაჩი, შაჩის ბიუროს საფუძველი აქვს გააფორმოს არასრულწლოვანის დაბადების ჩანაწერში სახელის შესწორების საქმე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს აღვოკატურის, ნოტარიატისა და შაჩის ორგანოების სამმართველოში შემოვიდა მოქ. გ-ქმის საჩივარი იმის გამო, რომ იმყოფებოდა ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებაში და შვილის დაბადების რეგისტრაციის დროს არ ჰქონდა საშუალება გამოეთქვა თავისი ნება ბავშვისათვის სახელის მინიჭების გამო. შიშია შეუძლებელი ბავშვს მინიჭა თავისი გარდაცვლილი შიჩის სახელი, რაც ოჯახში ხშირად იწვევს არასასიამოვნო ემოციებს. თვით განმცხადებელს კი სურდა სრულიად სხვა სახელის დარქმევა შვილისათვის, რაც გაზიარებული ჰქონდა მეუღლესთან.

მიმართა რა შაჩის ბიუროს სახელის გამოცვლის თაობაზე, მიიღო უარი იმ განმარტებით, რომ არასრულწლოვანის სახელის გამოცვლა არ შეიძლება.

სამმართველომ განუმარტა მოქ. გ-ქმ, რომ მოქალაქეთა გვარის, სახელის და შაჩის სახე-

ლის გამოცვლა დაიშვება მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევიდან, ე. ი. 18 წლიდან. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, როცა მცირეწლოვანს სახელი მინიჭეს შაჩის ნების გაუთვალისწინებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 14 თებერვლის № 64 დადგენილებით დამტკიცებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შეტანისა და აღდგენის წესების მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესაძლებელია სახელი შეიცვალოს შესწორების წესით, თუ შაჩის ბიურო მივა იმ რწმენამდე, რომ ბავშვს სახელი ნამდვილად მიენიჭა მშობელთა სურვილის გაუთვალისწინებლად.

იმ შემთხვევაში არ წარმოებს გვარის, სახელის და შაჩის სახელის აქტის რეგისტრირება, არ გარეცმა ამის შესახებ მოწმობა და არც გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი (15 მანეთის ოდენობით).

ინფორმაცია

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების რესპუბლიკური აქტივის კრება

გამართა საქართველოს სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელშიც განიხილა „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესახებ ღონისძიებათა საკითხი.

მოსხენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი, ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. იობიძე, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე გ. წულაია, ახალციხის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დ. ჯღარკავაძე, ადვოკატთა პრეზიდიუმის კოლეგიის თავმჯდომარე მ. თოფურაძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის იუსტიციის განყოფილების გამგე ბ. ვაგლოვაძე, იუსტიციის სამინისტროს პარტორგანიზაციის მდივანი ე. მეტრეველი, პირველი მაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ი. ისაკაძე, ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ზ. ცქიტიშვილი, ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლე ს. მედეველი, თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი ე. ისაკაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თ. შავგულიძემ, მმაჩის რესპუბლიკური არქივის გამგე ც. ხომერვიძე.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ხინტაძე.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორი ა. ტაკიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ა. აბესაძე.

აქტივის კრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება შურნალის შემდეგ ნომერში.

პროტესტიონიზმს — უპირიპიპილი ზრკოლა


გამართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის დია კრება, რომელშიც იმსჯელა რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად უმაღლესი სასამართლოს ამოცანებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, — თქვა მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე გ. ბედინიშვილმა, — მთელ ჩვენს საზოგადოებას უსახავს ბრძოლისა და შრომის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. ახლა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ მთელ საზო-

გადობრიობას, ყველა მშრომელს ჩაუენერგოთ პროტექციონიზმისადმი სიძულვილი, დაგზაზმით მის წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ თითოეულმა კომუნისტმა თავისი აზრი გამოთქვას პროტექციონიზმზე, რომ ამ საკითხს მიეცეს ჯეროვანი პარტიული შეფასება, გამოითქვას პრინციპული დასკვნები. ამ მიმართებით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პარტიული ორგანიზაციის აზრსაც.

ჩვენმა მშრომელებმა უნდა იბრძოლონ ამ დადგენილების შესასრულებლად, რათა პროტექციონიზმის სენისაგან განთავისუფლდნენ ადამიანები. შესაძლოა საზოგადოების ზოგიერთ



წევრს ჰქონდეს პროტექციის სურვილი. ეს უნდა დაგვიმოთ. პროტექცია ზემოდან მოდის. ეს დანადგებობით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებაა. პროტექცია დამახასიათებელია იმ პიროვნებისათვის, ვისაც ხელთ აქვს ძალაუფლება. ერთ-ერთი მიზეზი ჩვენს რესპუბლიკაში პროტექციის გავრცელებისა არის პროტექციის მეტასტაზები. ამ ძველი, მანვე ვადმიანაშთის გავრცელებისათვის რესპუბლიკაში ბოლო დრომდე ხელშემწყობი პირობები არსებობდა. პროტექციონიზმი იმიტომ გავრცელდა, რომ არ გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებსაც შეეძლოთ განემარტოთ მასებისათვის პროტექციონიზმის საშიშროება.

წლების განმავლობაში პროტექციის ხანაში ცხოვრობდით და არავის აზრად არ მოსვლია ვთქვა, რომ პროტექციონიზმი არის ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი არსებობის მტერი. ფაქტურად, პროტექციონიზმი იმის ხელყოფაა, რისთვისაც რევოლუცია მოხდა. პროტექციონიზმი გამყდარი იყო ადამიანებში წლების მანძილზე. ეს მოქმედებდა ადამიანის ფსიქიკაზე და ამ საწყისებზე იზრდებოდა ჩვენი ახალგაზრდობა. იგი ზიანს აყენებდა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ჩვენს საერთო საქმეს, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის წინსვლას.

დღეისათვის დიდი მუშაობა გაიშალა მშრომელთა მასებში ამ დადგენილების ფართოდ გაცნობისათვის. პარტიული აქტივები, კრებები, თათბირები შედგებიან მიმდინარეობს და ამ საკითხის განხილვის დროს კომუნისტები მკაცრად აკრიტიკებდნენ ხელმძღვანელებს.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, ახლო წარსულში საქმე იქამდე მიდიოდა, რომ გავლენიანი საქმოსნები და კომბინატორები უღირს პირებს სამუშაოზე მოწყობისათვის პროტექციას უწყევდნენ ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებშიც კი. არის იმის ფაქტები, რომ პროტექციას ენიჭებოდა შენიღბული ქრთამის ფორმა, რადგან, იძენდნენ რა პასუხსავე თანამდებობას, ძალასა და გავლენას, გავლენიანი პირნი ვალში არ ჩნებოდნენ თავიანთი პროტექტორების წინაშე, მორალურ და სხვა მხარდაჭერას უწყევდნენ მათ.

პროტექციონიზმი მართლმსაჯულების ერთ-

ერთი მტერია და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ დაუნდობელი და უღმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ დიდ ბოროტებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს სსრ ელექტიციის სამინისტროს მოამზადოს რა რეაპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განსახილველად წარუდგინოს წინადადებები პროტექციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რადგან იგი სერიოზულ ვნებას აყენებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს. აქ გარკვეული როლი საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსაც ენიჭება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოა წევრმა შ. მახარაძემ. მან მოიყვანა კონკრეტული მაგალითები „გარაზისხევის“, სარალიძისა და ჭკუასელის საქმესთან დაკავშირებით და ილაპარაკა მოქალაქეთა პრინციპულობის მოდუნებაზე, თავაშვებულობაზე, კრიტიკისა და ოფიციური უქონლობის შედეგებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ვ. ლუქოვიჩმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში სწორად არის შეფასებული პროტექციონიზმის მანვე შედეგები პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტების საქმეში. საპარტიო-ანობა მოითხოვს ვალიაოთ, რომ პროტექციონიზმი გარკვეულ წილად თითოეული ჩვენთაგანის საქმიანობაშიც შეინიშნებოდა. დროა ყველამ კრიტიკული თვალთ შევაფასოთ ჩვენი მუშაობა და ამიერიდან ყველაფერი გადავკეთოთ ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ნ. ერკომაიშვილმა თქვა: პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად დროულია და საჭირო. მთელი ჩვენი კოლექტივი ერთსულვნად უნდა ჩაებას ამ ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად განსორციელებაში. ეს ჩვენი, მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს, უმნიშვნელოვანესი და სისხლწორეული საქმეა. ზოგიერთ საქმეთა შესწავლით ნათლად ვლინდება პროტექციონიზმის შემთხვევები. მაგალითად, თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლომ წარმოებაში

მიიღო თ. გაბუნია და სხვათა ბრალდების საქმე, ქმედობა დაკვალიფიცირებულ იყო საქართველოს სსრ სსკ 151-ე მუხლის მეორე ნაწილით. სასამართლომ (მოს. მამულაშვილი) სრულიად, უსაფუძვლოდ აიცილა ეს საქმე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სახალხო სასამართლოს განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში განსახილველად. ამის შემდეგ მოსამართლე მამულაშვილმა საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. განა ეს ფაქტი არ მიგვანიშნებს რაღაც ზეგავლენაზე?

მეორე მაგალითი: ქ. მახარაძის სახალხო სასამართლოს (მოს. ვ. სალუქიაძე) განაჩენით ა. გოგოძე (ადრე ორჯერ მსჯავრდადებული სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის) ცნობილი იქნა დამნაშავედ იმისათვის, რომ, მუშაობდა რა სოფ. შრომის კოლმეურნეობაში ბენზინგაწყობის სადგურის ოპერატორად, მატერიალურ პასუხისმგებელ პირად, ყალბი საბუთების შედგენის გზით მიითვისა 2552 მანეთი. გარდა ამისა, ყაჩაღურად თავს დაესხა მოქ. შ. გ-ძეს და წაართვა 4.000 მანეთი და 400 კვ. მანღარინი. მას 8 წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ყურადსაღებია, რომ ადრე ჩადენილ დანაშაულზე მას უფრო მკაცრი სასჯილი მიესაჯა, ვიდრე ამ მესამე, მძიმე დანაშაულზე. ბუნებრივია, რომ აქაც პროტექციონიზმა თქვა თავისი სიტყვა. ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, იმისა, რომ პროტექციის შედეგად დღედან დღემდე იდება ცალკეული საქმეები, ერთი და იმავე საქმის განხილვა რამდენიმეჯერ ინიშნება, შემდეგ კი იძებნება მოტივები საქმის აცილებისათვის, ეს და ამის მსგავსი შემთხვევები ამცირებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება დაუთმო პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართებით: შესამჩნევად გაუმჯობესდა მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია, შეიქმნა მოქალაქეთა მიღების სათანადო სამსახური, ერთი და იგივე მოქალაქეებისაგან მრავალჯერ შემოსული საჩივრების სპეციალური (კომისიური) შემადგენლობა, არსებითი სიახლე დაინერგა საკა-

საციო ინსტანციაში საქმეთა განაწილების მხრივ და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის გ. იოსავას აზრით, ყველა იურისტმა საკუთარი ინიციატივით უნდა შეიმუშაოს პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. პროტექციონიზმის, თანასოფლელობის, ნათლიამობის, ერთმანეთის თავდებობისა და სხვა ამის მსგავსი ფაქტების აღმოფხვრა იურისტთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა გადაიქცეს. უნდა ვებრძოლოთ იმ მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს ცხოვრებას, ადუნებდა ადამიანთა სიფხიზლეს, ზიანს აყენებდა სახალხო მეურნეობასა და კულტურას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თ. შავგულიძემ აღნიშნა, რომ პროტექციონიზმი ჩვენი სახელმწიფოს, სოციალისტური საზოგადოების და რევოლუციის მონაპოვრის მტერია, იგი ხელყოფს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პროტექციონიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გამოცხადება სასარგებლო, ღროული და აუცილებელია. პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კარგად უნდა გვესმოდეს თვით პროტექციონიზმის ცნება მისი უარყოფითი გავლენით, იმ გავებით, როგორც ეს ესმის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს. თუ არადა, პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შესაძლოა მოჰყვეს თანამდებობის პირთა ინდეფერენტობი, ჩაურევლობა, იმის შიში, რომ მათ არ დასწამონ პროტექციონიზმი. პროტექცია მფარველობას ნიშნავს და იგი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენით. დადებითი გავლენა ჰქონდა მ. გორკის „მაკარ ჩუღრას“ დაბეჭდვას საქართველოში, ილია ჭავჭავაძის მიერ „დილის“ მოთავსებას „ივერიაში“. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა ისეთ მფარველობას, რომელიც ობიექტურად სასარგებლო და საჭიროა საზოგადოებისათვის, არამედ ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანამდებობის პირი, იყენებს რა თავის თანამდებობას ბოროტად, სამსახურებრივი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, განზრახ, პროტექციით სჩადის ისეთ მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენ-



ნებს სახელმწიფოს, საზოგადოებას ან ცალკეულ პირთა ინტერესებს. ასეთი მოქმედება ძირითადად მოიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით. იმ მიზნით, რომ პროტექციონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კანონის ძალა, ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი, თუკი საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებად გათვალისწინებული იქნება თანამდებობის ბოროტად გამოყენება პროტექციით. მაშინ ამ მუხლის მეორე ნაწილი მიიღებს შემდეგ რედაქციას: „...იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტე-

მატურად ან პროტექციით, ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი...“

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა: ალ. გვეგნავამ, დ. მახარაძემ, საქართველოს კპ ცკ აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორმა ვ. აბულაძემ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ავ. კარანაძემ.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც დაისახა ქმედითი ღონისძიებები პროტექციონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიულ კრებაზე

გამართა საქართველოს სსრ პროკურატურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელმაც მოისმინა რესპუბლიკის პროკურორის ა. ტაყაიძის მოხსენება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და პროკურატურის ორგანოების ამოცანები“.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ პროტექციონიზმი წარსულის მანვე გადმონაშთია, რასაც, სამწუხაროდ, ბოლო დრომდე არ განიხილავდნენ სწორი, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, რის გამოც იგი დანერგა როგორც კომუნისტთა პრინციპულობის მოღუწეების, მათი მებრძოლური თვისებების დაკარგვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უქონლობის პირდაპირი შედეგი.

თანამედროვე პირობებში, როცა რესპუბლიკაში უკომპრომისო ბრძოლაა გაჩაღებული ყველა და ყოველგვარი დამახინჯებისა და ანტიპოდეების წინააღმდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრით, სავსებით შესაძლებელია და კიდევაც უნდა მოედოს ბოლო პროტექციონიზმს ჩვენს რესპუბლიკაში.

ამხ. ე. ტაყაძემ ყურადღება გაამახვილა იმ მომენტებზე, რომლებიც თან სდევს პროკურატურის ორგანოებში ამ საშიში მოვლენის გავრცელებას, მან აღნიშნა, რომ ახლო წარსულში პროტექცია ქრთამის შენიღბული ფორმა იყო, რადგან პროტყეები, პასუსსაგებ თანამდებობას, ძალასა და გავლენას რომ იღებდნენ ხელთ,

არ რჩებოდნენ თავიანთი პროტექტორების ვალში.

აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურატურის ორგანოების მუშაობა საქმიანობაში ამ საშიში მოვლენის აღმოფხვრას. პროტექციონიზმს ხომ შეუძლია ნიადაგი შეუქმნას საშიშ დანაშაულებს — მექრთამეობას, ხელისუფლების, თანამდებობის, ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებას.

თავის დროზე პროკურატურის ორგანოებში იოლად დანერგილი და ფეხმოკიდებული ურთიერთნაცნობობის, ძმა-ბიჭობისა და ნათლიანობის მანვე შედეგები დღესაც მწვავედ იჩენს თავს ჩვენს მუშაობაში, კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის დარგში. ე. წ. „საშუალო მუშაობა“ საცმაოდ დიდი ჯგუფის უმრავლესობა დღეს აშკარად ვეღარ უპასუხებს პროკურატურის ორგანოების მუშაებისათვის წაყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს. ასეთი პირები ყოველი ღონისძიებით ცდლობენ შეინარჩუნონ თანამდებობა და კომუნისტისა და მოქალაქისათვის შეუფერებელი საქციელით აფერხებენ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს — პროკურატურის ორგანოებში ახალი, ენერგიული კადრების მოზიდვას, ისეთი ახალგაზრდების მოზიდვას, რომლებსაც გულით სურთ უანგაროდ ემსახურონ რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცებას.

პარტიულ ორგანიზაციას, კოლეციას, განყო-

ფილებათა უფროსებს, თითოეულ ზონის პრო-
კურორს მეტი პასუხისმგებლობა მართებთ. მათ
მეტი მომთხოვნელობით, მეტი პირდაპირობით
უნდა იმუშაონ საერთოდ კადრებთან, კერძოდ
თანამშრომელთა ატესტაციების დროს.

ამავე დროს არც ის უნდა დაგვაფიქვადეს, —
აღნიშნავს მომხსენებელი, — რაც ახალგაზრდა
კადრების აღზრდასა და დაოსტატების შევსება.
დადგენილებაში ნათქვამია, რომ წლების გვ-
მავლობაში რესპუბლიკაში პროტექციონიზმის
ფესვადგმულმა სენმა დიდი ზიანი მიაყენა
ათასობით ახალგაზრდა ადამიანის ფიქიკვას,
მომავალი სპეციალისტების აღზრდას. ეს კი
გვავალებს განსაკუთრებული მზრუნველობა გა-
მოვრჩინოთ ახალგაზრდა კადრების საქმიანი
თვისებების ჩამოყალიბებისა და აღზრდისადმი.
თვითეული ახალგაზრდა მუშაკი ყოველდღიუ-
რად უნდა ხედავდეს და რწმუნდებოდეს, რომ
ცხოვრებაში იბარგვებს რწმენა, სიბეჯითე, კე-
თილსინდისიერი შრომა, პირდაპირობა, კომუ-
ნისტური პრინციპულობა და არა გავლენიანი
პირების კეთილსასურველი განწყობა ვინმეს მი-
მართ; ეს გვავალებს, რომ ავამაღლოთ იდეურ-
აღმზრდელობითი მუშაობის დონე. აღზრდის,
წახალისებისა და დასჯის ყოველი ღონისძიება
სრულად უნდა გამოვიყენოთ იმ მიზნით, რომ
პროკურატურის თითოეულ მუშაკს ჩაეუნერგოთ
ჩვენს წინაშე მდგომი დიდი და საპატიო ამო-
ცანების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის
გრძნობა. ჩვენი მუშაობის სპეციფიკაში მოთ-
ხოვანა ის არის, რომ დამნიშავებელსა და სამარ-
თალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში ვეყრდ-
ნობოდეთ სწორედ მშრომელთა, მთელი საზოგა-
დობრიობის ნდობასა და მხარდაჭერას.

— დადგენილებაში ნათქვამია: „მტიკედ უნ-
და გვახსოვდეს, რომ პროტექციონიზმი ზოგჯერ
ხელს უწყობს საქმის გაკვიანურებასა და ბიუ-
როკრატიზმს, რომლებიც ჯერ კიდევ არის სამი-
ნისტრობებისა და უწყებების, ორგანიზაციებისა
და დაწესებულებების, საბჭოთა ადმინისტრაცი-
ული ორგანოების მუშაობაში“ — განაგრძობს
მომხსენებელი — და მართლაც დასამალავი არ
არის, რომ ადმინისტრაციულ, მათ შორის პრო-
კურატურის ორგანოებში პროტექციონიზმი
ხშირად იჩენს თავს ბევრი საკეთხის გადაწყვე-
ტაში. ეს საკითხებია: სისხლის სამართლის საქ-
მეთა აღუძვრელობა, საქმეთა შეწყვეტა, დამ-
ნიშავებათა თავდებქვეშ გადაცემა, ადვოკატის ღო-
ნისძიებების შერჩევა, სასამართლო პროცესზე
სასჯელის მინიმალური ზომის მოთხოვნა, სა-
პროკურორო შემოწმებების დროს აღმოჩენილ
დარღვევებსა და ნაკლოვანებებზე თვალის და-
ხუჭვა და ა. შ.

დადგენილებამ ხელმძღვანელ პირებსა და ორ-

განოებს დაავალა სისტემატურად გააანალიზონ
დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პრო-
ტექციონიზმის კონკრეტული ფაქტები და გა-
მოსცენ სპეციალური ბრძანებები და დადგენი-
ლებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქ-
ნება პროტექციონიზმის აღმოფხვრის ეფექტიან-
ი ღონისძიებები. ეს კი ჩვენს პროკურატურის
ორგანოებს, გვავალებს, რესპუბლიკაში პრო-
ტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კანონიერე-
ბისათვის ბრძოლის ორგანულ შემადგენელ ნა-
წილად ვაქციოთ, რათა პროტექციონიზმი არ გა-
დაიზარდოს სისხლის სამართლის დანაშაულში.
საჭიროა მეტი გულისხმიერებით და გულისყუ-
რით მოვეყილოთ მშრომელთა შეტყობინებებს,
განცხადებებს, წერილებსა და საჩივრებს, რომ-
ლებშიც ხშირად აშკარად არის მითითებული ამა
თუ იმ უწყებაში გამეფებული პროტექციონიზმი;
დასახელებულია კონკრეტული ფაქტები, მხილე-
ბულნი არიან ცალკეული პირები, მხილებულია
მათი ნათესაური, მეგობრული და სხვა შინაუ-
რული კავშირები, საჭიროა სისხლის სამართლის
საქმეთა გამოძიების, მათი სასამართლოში გან-
ხილვის თითოეული შემთხვევა გამოვიყენოთ აგ-
რეთვე დასაბუთებული წარდგინებებისა და
პროტესტების შესატანად, რათა შესაბამისი ორ-
განოების ყურადღება გავამახვილოთ შემწყნა-
რებლობისა და მფარველობის მავნე შედეგებზე.
სისხლშია და სამოქალაქო სამართლის საქმეთა
განხილვის დროს უნდა გამოვიყენოთ სასამარ-
თლოს ტრიბუნა, საჯაროდ უნდა გავამაობაროთ
წარსულის მავნე გადმონაშთი პროტექციონიზმი
და ის პირები, ვინც ჯერ კიდევ თავი ვერ დააღ-
წია მის ტყვეობას. პროტექციონიზმის წინააღ-
მდეგ აქტიურმა ბრძოლამ თავისი კუთვნილი
აღვილი უნდა დაიკავოს აგრეთვე სამართლებ-
რივ პროპაგანდაში. მართლშეგნების დონის
ამაღლებს, პოლიტიკური და შრომითი აქტი-
ვობის შედეგად მშრომელებმა უშუალო მონა-
წილეობა უნდა მიიღონ წარსულის ამ მავნე
და მანკიერი გადმონაშთის აღმოფხვრაში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელ-
შიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ
პროკურორის უფროსმა თანამშემე მ. უიფიან-
მა, სასამართლოებში სისხლის სამართლის გან-
ხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების
პროკურორმა ნ. ქედიძემ, საერთო ზედამხედვე-
ლობის განყოფილების პროკურორმა რ. ხუნწა-
რიამ, სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა
განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების
უფროსის მოადგილემ ქ. ხიდუშელმა, რესპუბ-
ლიკის პროკურორის მოადგილემ ვ. ედიშერაშ-
ვილმა, რომლებმაც მოიყვანეს იმის კონკრეტუ-
ლი მაგალითები, რომ პროტექციონიზმის გამოვ-
ლინებები ჯერ კიდევ არის თვით პროკურატუ-



რის ცალკეულ თანამშრომელთა შორისაც, იმათ შორის, ვინც თვითონ უნდა იყოს პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სანიმუშო და მაგალითის მიმცემი. მოყვანილი იყო პროტექციონიზმის თვალსაჩინო მაგალითები „ვარაზის-ხევის“, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელობის საქმეების განხილვასთან დაკავშირებით, პროკურატურის ორგა-

ნოებში ვაკანტურ ადგილებზე პროტექციით მოწყობის ცდების შესახებ და სხვა. კრებამ მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც დასახულია პრაქტიკული ღონისძიებები პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე.

დ. ნანოზაშვილი

განკვეთილთ შრომის დისციპლინა, კვაკალღოთ მუშაობის სკრინსი

ამას წინათ საქართველოს სსრ ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა თბილისის, რუსთავის, აგრეთვე გარდაზნის, მცხეთის, კასპის, ქარელის, გორის, მარნეულის, ბოლნისის და თიანეთის რაიონების იურიდიულ კონსულტაციაში მომუშავე ადვოკატთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი: „ადვოკატთა კოლეგიის წევრთა შრომის დისციპლინის განმტკიცების, მათი პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

შესავალი სიტყვით თათბირი განსნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **მ. ფოთურიძემ**.

მოსხენება გააკეთა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **გ. როინიშვილმა**.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადვოკატთა კოლეგიას, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, მოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და განმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებასა და საბჭოთა კანონების პროპაგანდას, გარკვეული დადებითი მუშაობა აქვს ჩატარებული. საქმარისა აღნიშნოს, რომ 1973 წელს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრებმა ზეპირი იურიდიული დახმარება აღმოუჩინეს 13.760 მოქალაქეს, აქედან უფასო 12.389-ს. იურიდიული ხასიათის წერილობითი დოკუმენტი შეუდგინეს 13.781 მოქალაქეს, მათ შორის უფასოდ 3694-ს.

ამავე პერიოდში რესპუბლიკის იურიდიულ კონსულტაციებს მიღებული აქვთ დავალებები 29.814 საქმის წარმოებაზე. ადვოკატების მიერ იურიდიულ თემაზე წაკითხულია 4.999 ლექცია-მოსხენება, მოეწყო 519 კითხვა-პასუხის საღამო. პრესაში მათ გამოქვეყნებული აქვთ 131

წერილი და სხვ. ადვოკატები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საწყისებზე. შექმნილ იურიდიულ კონსულტაციო პუნქტებში, თავიანთი წვლილი შეაქვთ დანაშაულის წარმომშობი მიზეზების გამოვლინებასა და აღკვეთის საქმეში.

ამასთან ერთად ადვოკატურის საქმიანობაში ბევრი ნაკლოვანებებია. სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია, რომ ადვოკატი, რომელიც მოვალეა დაიცვას კანონი და იყოს უმწიკვლო ყოფაცქევის მაგალითი, თვითონ არღვევს დისციპლინას, ჩადის ადვოკატისათვის შეუფერებელ მოქმედებას, ზოგჯერ გვევლინება სამართალდამრღვევთა შორისაც.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში, აღნიშნავს მომხსენებელი, — არ ერიდება გამოავლინოს ასეთი ფაქტები, ახდენს სათანადო რეაგირებას, ატარებს აღმზრდელი პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მომავალში ასეთი მოქმედებათა ლიკვიდაციის მიზნით.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა იმ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, რამაც განაპირობა ადვოკატთა მხრივ შრომის დისციპლინის დარღვევა, სისხლის სამართლის დანაშაული, აღნიშნა, რომ წარსულში ადვოკატთა შორის კადრებს სწორად არ არჩევდნენ. ამჟამად დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი ადვოკატთა კოლეგიების შემადგენლობის გაჯანსაღებისათვის.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის ლენინის, 1-ლი მაისის და საქარსნი რაიონის იურიდიულ კონსულტაციის გამგეები **ლ. ბელიავსკაია**, **რ. თაბაქვაძე**, **ნ. თუხარელი**, ადვოკატები: **ბ. ხოშერიკი**, **თ. ფაღავა**, **შ. ლექვიშვილი**, **ვ. დლოძიძე**, **ა. შარვაში**, **მ. სხვიტარიძე**, **ნ. დგებუაძე**, **ნ. გაჯიევი**.

ორატორებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს გადაცდომათა წარმოშობის მიზეზებს და ამ მიზეზების აღმოფხვრის საშუალებებს.

თათბირზე აღინიშნა, რომ მოქმედი დებუ-

ლება საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ, ინსტრუქცია, რომელიც აწესრიგებს საქართველოს სსრ ადვოკატთა მიერ მოქალაქეთათვის საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული

დახმარების ანაზღაურების წესს მოძველებულია, ვერ პასუხობს დღევანდელ პირობებს და ამოცანებს. ზოგიერთ იურიდიულ კონსულტაციაში არ არის შექმნილი მუშაობის ნორმალური პირობები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ა. პაიჭაძემ.

სოციალისტურ შევიდრევაში გამარჯვებისათვის

საუკუნეობრივი მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხს. იგი დღესაც გრძელდება. ამის ერთერთი დადასტურებაა აზერბაიჯანელი ადვოკატების ინიციატივით სოციალისტური შევიდრების გამოცემა ბაქოს ოქტომბრის რაიონის № 1 იურიდიულ კონსულტაციის და თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებს შორის.

წლებს, 5 ივნისს ბაქოელი სტუმრები ეწვივნენ თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიულ კონსულტაციას, სოციალისტური შევიდრების ხელშეკრულების გასაფორმებლად. ხელშეკრულების მიზანია ორი რესპუბლიკის ადვოკატებს შორის მეგობრობის განმტკიცება ურთიერთგამოცდილების გაზიარება. ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე მხარის ვალდებულებას იზრუნონ ადვოკატთა პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, გააუმჯობესონ მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა მომსახურება, დაეხმარონ ამხანაგურ სასამართლოებსა და სახალხო რაზმეულებს, განახორციელონ დონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს ადვოკატთა ავტორიტეტის აღმავლობას.

პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებმა ერთხლოვნად მიიღეს მეგობართა გამოწვევა. სტუმრებმა დაათვალაირეს ქ. თბილისის ღირსშესანიშნოობანი, იყვნენ მცხეთაში და ზედაზენზე.

თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებს მეტი საზრუნავი გაუჩნდათ. სოციალისტურ შევიდრებაში გამარჯვებისათვის ფართოდ გაიშალა მუშაობა მოსახლეობაში, სამართლებრივი პროპაგანდის გასაუმჯობესებლად, ხორციელდება დონისძიებანი მოქალაქეთა მომსახურების კულტურის დონის ამაღლებისათვის. დამუშავდა და სისტემაშია მოყვანილი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები. რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებულია იურიდიული საკონსულტაციო პუნქტი. ამხანაგური სასამართლოების წევრთა დასასამარებლად 45-მდე ამხანაგურ სასამართლოში გაიგზავნენ ადვოკატები, რომლებმაც ადგილებზე სათანადო პრაქტიკული დახმარება გაუწიეს მათ. მაგრამ ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ დიდი საქმიანობისა, რასაც ყოველდღიურად ატარებს იურიდიული კონსულტაცია. სოციალისტური შევიდრების შედეგები შემოწმდება 1975 წლის იანვარში. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ამ შევიდრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ.

რ. მხალაშვილი,

პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე.

ი. გალახაძე



სანგრძლივი და შიშვე ავადოყვარობის შემდეგ 81 წლის ასაკში გარდაიცვალა ილარიონ ილარიონის ძე ტალახაძე — ძველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ი. ტალახაძე დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ ჩინაში, ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1914 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ჯარისკაცებს შორის ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას, ხოლო ამავე წლის ივნისში შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. 1918 წლის ზაფხულში მონაწილეობას იღებდა საჩხერის რაიონის მშრომელთა აჯანყებაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მალე დააპატიმრეს და 20 ბოლშევიკთან ერთად გაასახლეს ქ. ვლადიკავკაზში (ქ. ორჯონიკიძე). 1919 წელს არაღებულად ბრუნდება ქ. თბილისში. იმავე წელს ბოლშევიკური პარტიის კავკასიის კომიტეტის დავალებით იზავენება ქ. ბაქოში და ლენქორანში. ზურბაიჯანში რევოლუციური მოღვაწეობისათვის დააპატიმრებულ

იქნა მუსავატური ხელისუფლების მიერ, მაგრამ გამოიქცა ციხიდან და არაღებულად დაბრუნდა თბილისში, სადაც კვლავ დააპატიმრეს. 1920 წელს ვლადიკავკაზშია, ჯერ თერგის ოლქის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობს, შემდეგ დაღესტნის ასსრ საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა ქუთაისის გუბერნიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილედ და საქართველოს გაერთიანებული სამხედრო სკოლის უფროსად. 1922-24 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოში კონტრრევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ.

1927-28 წლებში მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრად, შემდეგ კი საქართველოს სსრ რუსტიციის სახალხო კომისიის მოადგილედ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

1928 წელს დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესორის ინსტიტუტი, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, განაგებდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრას, მიიღო პროფესორის წოდება. ერთდროულად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

1936-46 წლებში საქართველოს სსრ პროკურორად მუშაობის პერიოდში არ შეუწყვეტია მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, იყო ბევრი მეცნიერული შრომის ავტორი, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პროკურატურის ორგანოებიდან, ავადმყოფობის გამო, წასვლის შემდეგ ი. ტალახაძე განაგრძობდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1956 წელს ვაჟიდა პენსიაზე. იგი არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კვანტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

ი. ტალახაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: საპარტიველო სსრ პროკურატურა; საპარტიველო სსრ უმაღლესი სასამართლო; საპარტიველო სსრ რუსტიციის სამინისტრო; საპარტიველო სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შეცდომების გასწორება

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1974 წლის მე-
ოთხე ნომრის მე-17 გვერდზე, ბოლოდან მეექვსე
სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „ქ. გორის სახალხო
სასამართლო...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია;

82-ე გვერდის პირველი სვეტის მე-12 სტრიქონი
ზემოდან უნდა იკითხებოდეს: „როგორცაა ბრალი
და მიზეზობრიობა, ... და შემდეგ როგორც ტექსტშია;

82-ე გვერდის მე-2 სვეტის ბოლოდან მე-5 სტრი-
ქონი უნდა იკითხებოდეს: „преступление и на-
казание...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

6/222



ფასი 50 ჰპპ.

ИНДЕКС 76185

საბჭოთა სამართალი № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР